საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
15 - 21 დეკემბერი, 2021
№45 (610)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ბრიტანელთა საზარბაზნე ხორცი




საქართველოს, უკრაინასა და პოლონეთს „რუსეთის შეკავების“ საქმეში „მნიშვნელოვანი როლის“ შესრულებას სთავაზობენ 24

## ჯეიკ სალივანი, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში:



# ჩვენ შევედით საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების იმ ფაზაში, როცა უკვე საუბარი აღარ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, მსოფლიო ბანკზე და ა.შ. ეს მომავლის საქმე კი არაა, ეს უკვე ხდება

3

## რაზე იმსჯელეს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა


2-3


## რას კარგავს საქართველო «3+3»-ის ფორმატში მონაწილეობაზე უარის თქმით

4-5




ჯობია თუ არა «ჩათრევას ჩაყოლა»?

## რიგითი ადამიანების საცხოვრებლებში მაცივარი გამოაღეთ და ეკონომიკურ ზრდაზე იქ არსებული პროდუქტების მიხედვით იმსჯელეთ, ბატონებო!

11




10

## ხორბალი, ფქვილი, რუსეთი და სახელმწიფოს ინტერესები

ვიდეო-კონფერენცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ASSOCIATD PRESS-ი წერს: „აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ამოცანა არის ის, რომ კიევს უბიძგოს, გააცნობიეროს საქმის რეალური ვითარება უკრაინის აღმოსავლეთში და, ამასთანავე, არ შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის უთმობს პრეზიდენტ პუტინს, მაგრამ ეს, აზუსტებს სააგენტო, იოლი საქმე არ იქნება. ვაშინგტონმა უკვე განუცხადა კიევს, რომ ნატოში უკრაინის ინტეგრაციას არავინ დათანხმდება უახლოესი 10 წლის განმავლობაში.**

# რაზე იმსჯელეს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა


ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის ვიდეოკონფერენციაზე პუტინი მარტო იყო

**ვიდეოკონფერენციიდან მეორე დღეს, 8 დეკემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი არ განიხილავს სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას უკრაინაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ამერიკის ლიდერს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, — უარს ხომ არ ამბობს უკრაინის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანის ვარიანტზე რუსეთსა და უკრაინას შორის უთანხმოების გამო. «ეს არ განიხილება», — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მეთაურმა**


ვიდეოკონფერენციის მიმდინარეობისას ჯო ბაიდენს ოთხი თანაშემწე აზღვევდა

**2021 წლის 7 დეკემბერს რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა — ვლადიმერ პუტინმა და ჯოზეფ ბაიდენმა — ვიდეოკონფერენციის რეჟიმში გამართეს მოლაპარაკება, რომელიც 2 საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებების დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ, ექსპერტთა ვარაუდით, განხილული თემები იყო ორმხრივი ურთიერთობები, ვითარება უკრაინაში, ნატოს წინსვლა რუსეთის საზღვრებთან, რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივა უსაფრთხოების გარანტიების შესახებ და კიბერუსაფრთხოების პრობლემა.**

პუტინისა და ბაიდენის მოლაპარაკების პირველი შედეგები ვიდეოშეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე წუთში შეიქნა ცნობილი, მაგრამ არა პრეზიდენტების ან მათი სპეცსამსახურებისგან:

*** ამერიკის კონგრესის ორივე პალატის მიერ შეთანხმებულ აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის პროექტში ნახსენები არ იქნება სანქციები „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის, რუსეთის სუვერენული ვალისა და „პუტინის გარემოცვიდან“ 35 რუსის წინააღმდეგ.**

*** ძალაში დარჩა, მაგრამ რამდენიმეჯერ შემცირებული მოცულობით, უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევა.**

### ბაიდენმა გამორიცხა ამერიკის სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანა უკრაინაში „რუსული შეჭრისგან“ დასაცავად

ვიდეოკონფერენციიდან მეორე დღეს, 8 დეკემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი არ განიხილავს სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას უკრაინაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ამერიკის ლიდერს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, უარს ხომ არ ამბობს უკრაინის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანის ვარიანტზე რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბული ვითარების გამო. „ეს არ განიხილება“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მეთაურმა. Aმის თაობაზე იუწყება CNBC.

**„თუ თქვენ უკრაინაში შეიჭრებით, ამას მოჰყვება სერიოზული შედეგები, ეკონომიკური შედეგები“,** — ბაიდენის თქმით, სწორედ ეს სიტყვები უთხრა მან პუტინს ვიდეოკონფერენციაზე.

აშშ-ის პრეზიდენტმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, სამხედრო დახმარებას მიიღებს როგორც უკრაინა, ისე მისი მოსაზღვრე ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები არიან, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რომელი ქვეყნები.

### აშშ და ნატო მზად არიან, შეისწავლონ რუსეთისთვის ბლოკის გაფართოებაზე უარის თქმის შესახებ გარანტიების მიცემის შესაძლებლობა

თეთრი სახლის მეთაურის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს განზრახული აქვთ, შეისწავლონ რუსეთისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემის შესაძლებლობა. ამ საკითხზე ჯო ბაიდენმა 8 დეკემბერს თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა. **აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ და ნატო ამუშავებენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შესაძლებლობას, რათა იმსჯელონ ევროპის უსაფრთხოებაზე. ე.ი., განიხილავენ რუსეთის მოთხოვნას, ნატოში არ მიიღონ უკრაინა და საქართველო, თანაც განიხილავენ არა ერთმანეთში, არამედ რუსეთთან ერთად.**

შეგახსენებთ: რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ნატოს შესთავაზა, გააფორმონ იურიდიულად დასაბუთებული წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ალიანსი არ გაფართოვდება აღმოსავლეთით.

ამის საპასუხოდ ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** მყისვე განაცხადა, რომ რუსეთს არ აქვს უფლება, ნატოში შესვლაზე შეზღუდვა დაუწესოს ქვეყნებს, მათ შორის უკრაინას.

### უახლოეს ხანში შეიძლება პროცესები მკვდარი წერტილიდან დაიძრას

სიგნალები, რომლებიც მოდის თეთრი სახლიდან და ამერიკული მედიასაშუალებებიდან, მიუთითებს იმაზე, რომ დონბასში პროცესები შეიძლება უახლოეს ხანში დაიძრას მკვდარი წერტილიდან. ანალოგიური სიგნალები მოდის რუსეთიდანაც.

სახელმწიფო დეპარტამენტის წყაროებზე დაყრდნობით, ამერიკულ მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონი დაიწყებს კიევზე ზემოქმედებას იმ მიზნით, რომ მოხდეს მინსკის შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის რეალიზაცია.

საინფორმაციო სააგენტო Associatd Press-ი ბაიდენის ადმინისტრაციაში თავის წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ თეთრი სახლის ზემოქმედებით **უკრაინა ავტონომიას მიანიჭებს დონბასს, ანუ შეასრულებს მინსკის შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილს.**

„ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ივარაუდეს, რომ აშშ დაიწყებს ზემოქმედებას უკრაინაზე, რათა მან ოფიციალურად დაუთმოს ავტონომიის ნაწილი უკრაინის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს“, — წერს სააგენტო. ეს სწორედ ის არის, რისი გაგონებაც ოფიციალურ დონეზე არ სურდათ უკრაინაში, ხოლო მათ, ვინც მოუწოდებდა, დონბასისთვის მიეცათ ავტონომია, სეპარატისტებად აცხადებდნენ.

Associatd Press წერს: „აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ამოცანა არის ის, რომ კიევს უბიძგოს, გააცნობიეროს საქმის რეალური ვითარება უკრაინის აღმოსავლეთში და, ამასთანავე, არ შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის უთმობს პრეზიდენტ პუტინს, მაგრამ ეს იოლი საქმე არ იქნება.

**ვაშინგტონმა უკვე განუცხადა კიევს, რომ ნატოში უკრაინის ინტეგრაციას არავინ დათანხმდება უახლოესი 10 წლის განმავლობაში“,** — ეს ინფორმაციაც Associatd Press-მა გაავრცელა სახელმწიფო დეპარტამენტში წყაროზე დაყრდნობით.

მოსკოვი კი აცხადებს, რომ ნორმანდიულ ფორმატში აშშ-ის ჩართვის წინააღმდეგი არ არის. „პრინციპში, აშშ-ის ნორმანდიულ ფორმატში ჩართვის უკუჩვენებები არ არსებობს, რადგან ის რეალურად ახდენს გავლენას უკრაინაზე, და ვაშინგტონის პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული უკრაინის კონფლიქტის რეგულირების საქმეში“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა **ოლეგ კრასნიცკიმ.** დიპლომატის თქმით, რუსეთი წინააღმდეგი არ იქნება, აშშ-ს გავლენა ჰქონდეს უკრაინაზე, თუ ამერიკის ხელისუფლება მართლაც მზად არის, წვლილი შეიტანოს კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში.

### სინამდვილეში რაზე იმსჯელეს პუტინმა და ბაიდენმა

თეთრი სახლის ბოლო განცხადებებიდან და ამერიკული მედიის მიერ გავრცელებული ცნობებიდან გამომდინარე, პუტინისა და ბაიდენის მოლაპარაკებები მოიცავდა შემდეგ საკვანძო საკითხებს:

**1. რეალური გეგმების შემუშავება დონბასში ვითარების რეგულირებისთვის და არა, უბრალოდ, მოსაზრებების გაცვლა (რომელთა შესახებაც პრეზიდენტების პირადი შეხვედრის გარეშეც ყველასთვის ცნობილია). თანაც ამ გეგმებში აშკარად შედის დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება უკრაინის შემადგენლობაში, როგორც მინსკის შეთანხმების ქვაკუთხედი.**

უფრო ზუსტ სურათს მოგვცემს სამომავლო კონსულტაციები ან ნორმანდიულ ფორმატში, რომელშიც ჩაერთვება აშშ-იც, ან მოსკოვისა და ვაშინგტონის ორმხრივი მოლაპარაკებები პრეზიდენტების წარმომადგენელთა დონეზე;

**2. რუსეთის მეზობლებისთვის ნატოში ინტეგრაციაზე უარის თქმაც საკვანძო თემაა — მიუხედავად ამერიკის ადმინისტრაციის მცდელობებისა, ისე წარმოეჩინათ, თითქოს ამ მოთხოვნაზე პუტინს უარი უთხრეს. სხვაგვარად ჩვენ ვერ მოვისმენდით ნატოს მიმართ რუსეთის მოთხოვნებზე მსჯელობას, აგრეთვე, განცხადებებს იმის შესახებ, რომ არც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და არც აშშ უკრაინისთვის არ იომებენ.** ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება აღვიქვათ, როგორც სიგნალი უკრაინისთვის, რომ არ არის ▶

**„ივნისში ერთი-ერთზე შეხვედრისა და სამი სატელეფონო საუბრის შემდეგ პუტინმა გაიმყარა ლიდერის პოზიციები. ამდენად, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოუწევს მისი სურვილების გათვალისწინება, როცა ევროპელ მოკავშირეებსა და უკრაინასთან ალიანსის განმტკიცებას შეეცდება“.**

რეზონანსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საჭირო, შეუტიოს დონბასს ან სხვა პროვოკაცია მოუწყოს რუსეთს (ამ მხრივ საჩვენებელია პენტაგონის განცხადება, რომელმაც მოუწოდა უკრაინას, „ჯაველინები“ გამოიყენოს ვითარების „შესაბამისად და მხოლოდ თავდაცვისთვის“).

**ასევე, საინტერესოა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ კიევს უარი უთხრეს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივაზე მომავალი ათი წლის განმავლობაში.**

სხვათა შორის, ეს სიგნალები, აგრეთვე, მიმართულია უკრაინისკენაც. თუ რეალური სამხედრო დახმარება არ იქნება, და ამის გარანტიას არავინ იძლევა, ეს ნიშნავს, რომ კიევს უბიძგებენ დიპლომატიური რეგულირების გზაზე. და ეს პირდაპირ არის დაკავშირებული პირველ პუნქტთან.

**არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ უკრაინის ხელმძღვანელობა უარს იტყვის მინსკის შეთანხმების პოლიტიკური ნაწილის შესრულებაზე, რათა პარლამენტში თავს არ დაიტეხოს ნაციონალისტთა ბრალდებები „ზრადასა“ (ღალატი) და „კაპიტულაციაში“. ნაციონალისტები უკვე იმუქრებიან „ახალი მაიდნით“, თუ პრეზიდენტი გადაკვეთს მათ „წითელ ხაზებს“ დონბასის მიმართ,** რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, არის განსაკუთრებული სტატუსი და „მინსკი-2“-ის სხვა პოლიტიკური პუნქტები.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სახელდობრ, კიევი აღმოჩნდება განტევების ვაცი სამშვიდობო პროცესის ჩაშლაში, რაც დამატებით არგუმენტს მისცემს რუსეთსა და დასავლეთს, ერთმანეთში მოილაპარაკონ აღმოსავლეთ ევროპაში თამაშის ახალ წესებზე, რომლებიც გამორიცხავს რეგიონში ვითარების გამწვავების შესაძლებლობას.

### რას უნდა ველოდოთ?

პუტინისა და ბაიდენის ვიდეოკონფერენცია გარკვეულ ოპტიმიზმს იწვევს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე **ლეონიდ სლუცკის** განცხადებით, „ორივე მხარის საკმაოდ ლაკონიური გზავნილები მაინც იძლევა იმედის საფუძველს, რომ დაძაბულობა, რომელიც ბოლო თვეში აღინიშნებოდა, შემცირდება, ისევე, როგორც ანტირუსული ისტერიკის გრადუსი დასავლურ პოლიტიკურ და მედიასივრცეში. მთლიანობაში, სამიტის შედეგები იძლევა ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს, თუმცა, სასწაულს არავინ ელოდა“.

ამ ვიდეოკონფერენციაში მთავარი არის ის, რომ აშშ და მისი მოკავშირეები შეშფოთდნენ რუსეთის მტკიცე გადაწყვეტილებით, იარაღით ხელში დაეცვა თავისი ინტერესები და ახლა მკაფიოდ ხედავენ ამ მუქარას. თუ არ შეამჩნევენ, რუსეთი სრულიად გაწყვეტს დასავლეთთან ურთიერთობას და თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოაგვარებს უკრაინასა და სხვა მეზობლებთან პრობლემებს.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

## «ჩვენ შევედით საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების იმ ფაზაში, როცა უკვე საუბარი აღარ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, მსოფლიო ბანკზე და ა.შ. ეს მომავლის საქმე კი არაა, ეს უკვე ხდება»



**ჯეიკ სალივანმა, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, პუტინ-ბაიდენის ვიდეოკონფერენციის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:** „დღევანდელი ადმინისტრაციის ერთ-ერთი ცენტრალური სტრატეგიული თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ დროთა განმავლობაში მრავალმხრივი მიდგომა უნდა გახდეს უფრო მოქნილი, ახალ პირობებთან უფრო მეტი ადაპტაციის უნარის მქონე, მოიცავდეს თავის თავში ალიანსების, პარტნიორობისა და ინსტიტუტების ქსელს. თუ გავიხსენებთ, მხოლოდ გასულ წელს ჩვენ Quad-ი ლიდერების დონეზე ავიყვანეთ, შევქმენით AUKUS-ი, მოვაწყვეთ სამიტი დემოკრატიისთვის, ჩამოვაყალიბეთ საერთაშორისო კოალიცია ვირუს-გამომძალველებთან საბრძოლველად, მოვიწვიეთ გლობალური თათბირი კოვიდის ირგვლივ. ჩვენ შევედით საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების იმ ფაზაში, როცა უკვე საუბარი აღარ არის ოფიციალურ უზარმაზარ სტრუქტურებზე, პართენონზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, მსოფლიო ბანკზე და ა.შ.

ჩვენ ახლა სტრუქტურების უფრო რთული ნარევი გვაქვს. და ეს ძალიან კარგია, რადგან ხელს აძლევს აშშ-ს... რათა, საბოლოო ჯამში, უზრუნველვყოთ ამერიკელი ხალხისთვის საჭირო შედეგები მისი უსაფრთხოებისა და აყვავებისთვის. და ეს მომავლის საქმე კი არაა, ეს უკვე ხდება“.


Bloomberg the Company & Its Products | Bloomberg Terminal Demo Request | Bloomberg Anywhere Remote Login | Bloomberg Customer Support
Bloomberg
Politics
Biden Is Left Guessing Over Putin's Ultimate Aim in Ukraine

## Bloomberg-ი: მოლაპარაკებები რუსეთის მორიგ გამარჯვებად იქცა

### პუტინი თავის გავლენას ბაიდენთან ყოველი შეხვედრის შემდეგ აძლიერებს

**„ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის ვიდეოკავშირით გამართული მოლაპარაკებები 2 საათს გაგრძელდა, მაგრამ თვეები გავა, სანამ ცხადი შეიქნება, შეძლეს თუ არა მხარეებმა უკრაინის კრიზისის ჩაცხრობა. უახლოეს პერსპექტივაში ეს მოლაპარაკებები, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელმძღვანელის მორიგი აშკარა გამარჯვება იქნება. ივნისში ერთი-ერთზე შეხვედრისა და სამი სატელეფონო საუბრის შემდეგ პუტინმა გაიმყარა ლიდერის პოზიციები. ამდენად, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას მოუწევს მისი სურვილების გათვალისწინება, როცა ევროპელ მოკავშირეებსა და უკრაინასთან ალიანსის განმტკიცებას შეეცდება“, — იუწყება ამერიკული საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ი.**

ამერიკული გამოცემა წერს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი გეგმავდა, მრისხანედ გამოეცხადებინა, რომ უკრაინაში შეჭრა დაუშვებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში „მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს“ დააწესებდა, კრემლში კი, როგორც მისი განცხადებებიდან ჩანს, მხოლოდ ერთი რამ სურთ — ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე შეიარაღების განლაგების დაუშვებლობას ნიშნავს.

„პუტინმა უკვე მიიღო, რაც სურდა, სახელდობრ, ეს მოლაპარაკებები. ყოველ ჯერზე, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი რუსეთის ლიდერისთვის რაღაცის ახსნას ცდილობს, მის წისქვილზე ასხამს წყალს; პუტინი კი ცდილობს, რუსეთი ისეთ სახელმწიფოდ აქციოს, რომელსაც ყველამ პატივი უნდა სცეს“, — მოჰყავს Bloomberg-ს პროექტ „კრიტიკული მუქარების“ დირექტორ **ფრედერიკ კაგანის** ციტატა.

სტატიის ავტორის აზრით, მოლაპარაკებებმა პუტინს შესაძლებლობა მისცა, განესაზღვრა ბაიდენის პოზიციები, ბაიდენს კი, საეჭვოა, საჭირო დასკვნა გამოეტანა ამ მოლაპარაკებებიდან.

**„ბაიდენის პრობლემა არის ის, რომ ყველა კოზირი პუტინის ხელშია, რუსეთის ლიდერი აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრების შემდეგ აძლიერებს თავის გავლენას და ეს ყოველ ჯერზე იწვევს თეთრი სახლის შეშფოთებას“,** — ასკვნის Bloomberg-ი.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## ზელენსკიმ დონბასის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება არ გამორიცხა



უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარი ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის ვიდეოკონფერენციიდან ორი დღის შემდეგ გაიმართა.

**უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ არ გამორიცხა სახელმწიფოებრივი რეფერენდუმის ჩატარება დონბასის საკითხზე.**

„აქ ლაპარაკი არ არის სტატუსზე. ეს შეიძლება მოხდეს დონბასის მიმართ, ყირიმის მიმართ, ცეცხლის შეწყვეტის მიმართ“, — განაცხადა უკრაინის ლიდერმა ტელეარხ „1+1“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ზელენსკიმ, აგრეთვე, დაუშვა რუსეთის პრეზიდენტთან პირდაპირი მოლაპარაკებების ფორმატი უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების საკითხზე. ზელენსკის თქმით, უკრაინის ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები მხარს უჭერენ ამ მიმართულებას. უკრაინის პრეზიდენტმა დააზუსტა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენს** ცოტა ხნის წინათ გამართულ სატელეფონო საუბარში არ შეუთავაზებია კიევის კონტროლიდან გამოსული დონბასის წარმომადგენლებთან პირდაპირი კონტაქტი — ამის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა. მე მივიღე მესიჯი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან: რუსეთმა დაარწმუნა აშშ და მსოფლიო, რომ არ აპირებს ესკალაციას ჩვენი დამოუკიდებელი ტერიტორიის მიმართ. ვფიქრობ, ეს არის არა საბოლოო, მაგრამ მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი. კომპრომისებზე ჩვენ არ გვისაუბრია, ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ აშშ-ის წყალობით გაგვიჩნდება კიდევ ერთი მოედანი რუსეთთან მოლაპარაკებების გასამართავად“, — განაცხადა ვლადიმერ ზელენსკიმ.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

## ბელარუსის ყველა ბანკი რუსეთის ფედერაციის ფინანსური მონაცემების გადაცემის სისტემას მიუერთდა

**„ბელარუსის ყველა საკრედიტო ორგანიზაცია მიუერთდა რუსეთის ფინანსური მონაცემების გადაცემის სისტემას (ფმგს)“, — განაცხადა რუსეთის ბანკის ეროვნული საგადასახადო სისტემის დეპარტამენტის საგადასახადო სისტემის განვითარებისა და რეგულირების სამმართველოს უფროსმა დენის ბარიშკოვმა VIII ეროვნული საგადასახადო ფორუმის მიმდინარეობისას, როცა ლაპარაკობდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საგადასახადო სფეროში ინტეგრაციულ პროცესებზე.**

ფინანსური მონაცემების გადაცემის სისტემა გაჩნდა 2014 წელს ანტირუსული სანქციების პირველი ტალღის საპასუხოდ, ამ სანქციებში მოყვა რამდენიმე ბანკიც. **ფმგს** -ს შექმნით რუსეთის ხელისუფლებას სურდა, უზრუნველეყო რუსეთის ფედერაციის ბანკების უსაფრთხოება და დაეცვა ისინი შესაძლო პრობლემებისაგან SWIFT-ის (ინფორმაციის გადაცემისა და გადასახადების გადახდის საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემა. დაარსებულია 19 ქვეყნის 248 ბანკის მიერ — ნ.კ.) გათიშვის შემთხვევაში. ბანკების ჩართვა SWIFT-ის ქსელში ცენტრალურ ბანკთან გადაცემული შესაბამისი ხელშეკრულებით ხორციელდება.




რუსეთისთვის SWIFT-ის გათიშვაზე ლაპარაკი მაშინ იწყება, როცა მწვავდება მისი ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. ბოლო ხანს სანქციების დღის წესრიგში რუსეთთან ერთად ბელარუსიც აღმოჩნდა.

ამა წლის ივნისში ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **ოლღა სკორობოგატოვამ** აღნიშნა, რომ ფმგს ტექნიკურად მზად არის ასამუშავებლად. „შიდა ბაზრის თვალსაზრისით, რუსულ სისტემას შეუძლია ფინანსური მონაცემების 100%-ით დამუშავება. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარს, აქ გვჭირდება სხვა სამინისტროებისა და უწყებების დახმარება — საგარეო საქმეთა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, იმიტომ, რომ ეს მთავრობათაშორისი შეთანხმებაა. ჩემი აზრით, ყველას ძალისხმევაა საჭირო ამ მიმართულებით“, — აღნიშნა სკორობოგატოვამ და დასძინა, რომ ფმგს-ის მონაწილეთა რაოდენობის ტექნიკური გაფართოება პრობლემა არ არის, მაგრამ ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნებაც.

**interfax.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მცდარი გადაწყვეტილება**

**დიალოგს ალტერნატივა რომ არ აქვს, აღიარებს ყველა, საქართველოს გარდა. აღსანიშნავია, რომ ფორმატის მონაწილე ხუთი ქვეყნიდან სამი — აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი — საქართველოს დღემდე ედავება ტერიტორიებს, ხოლო რუსეთის გარეშე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე ფიქრი აბსურდულია. აქედან გამომდინარე, ქართული მხარე ვალდებული იყო, ამ შეხვედრაზე წასულიყო და, სულ ცოტა, ის დაეცვა, რაც დღეს გვაქვს. როგორ გგონიათ, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, როცა საქართველოზე დაიწყება საუბარი, ჩვენს ინტერესებს დაიცავენ თუ საკუთარი ქვეყნისას?**

# «3+3»-ის ფორმატში მონაწილეობაზე უარის თქმით საქართველო უდიდეს შეცდომას უშვებს, შედეგებს კი მალე მოვიმკით

**10 დეკემბერს მოსკოვში „3+3“ ფორმატის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, წესითა და რიგით, 6 ქვეყანა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი — საქართველო, რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სომხეთი. შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების დონეზე გაიმართა და ეს არის დასაწყისი იმ დიდი შეხვედრის სამზადისისა, რომელიც 2022 წელს უკვე ამ ქვეყნების პირველი პირების მონაწილეობით უნდა შედგეს, მაგრამ...**

„საგარეო საქმეთა სამინისტრომ „3+3“ რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივაზე არაერთხელ გამოხატა მკაფიო პოზიცია, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრმაც ისაუბრა ამ საკითხზე ბოლო საპარლამენტო მოსმენაზე. ჩვენ არ განვიხილავთ აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობას და, შესაბამისად, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე საქართველო არ იქნება წარმოდგენილი“, — ეს განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

გამოვიდა ისე, რომ „3+3“ ფორმატში მონაწილე ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები მოსკოვში ჩავიდნენ, იქ არ გაემგზავრა მხოლოდ საქართველოს წარმომადგენელი. მიზეზად კი ის დასახელდა, რომ საქართველო რუსეთს ოკუპანტად მიიჩნევს და მიწებს ედავება. არადა, ამ შეხვედრაზე აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები ისხდნენ და საუბრობდნენ. საუბრობდნენ წარმომადგენლები იმ ორი ქვეყნისა, რომლებმაც ომი ცოტა ხნის წინათ დაასრულეს და სომხეთი დღემდე ამბობს, რომ აზერბაიჯანმა მისი ტერიტორიების ოკუპაცია თურქეთის დახმარებით მოახერხა და... აღნიშნულ შეხვედრაზე თურქეთიც იყო. **დიალოგს ალტერნატივა რომ არ აქვს, აღიარებს ყველა, საქართველოს გარდა. აღსანიშნავია, რომ ფორმატის მონაწილე ხუთი ქვეყნიდან სამი — აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი — საქართველოს დღემდე ედავება ტერიტორიებს, ხოლო რუსეთის გარეშე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე ფიქრი აბსურდულია. აქედან გამომდინარე, ქართული მხარე ვალდებული იყო, ამ შეხვედრაზე წასულიყო და, სულ ცოტა, ის დაეცვა, რაც დღეს გვაქვს. როგორ გგონიათ, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, როცა საქართველოზე დაიწყება საუბარი, ჩვენს ინტერესებს დაიცავენ თუ საკუთარი ქვეყნისას?** და იმავე შეხვედრაზე არავინ იქნება ისეთი, ვინც იტყვის, რომ საქართველოს ინტერესი გასათვალისწინებელია და, თუ ისინი შეთანხმდებიან, რომ, მაგალითად, გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მთლიანად აზერბაიჯანს ეკუთვნის, ხმის ამომღები და პროტესტის გამომხატველი არავინ იქნება. ზუსტად შეგვიძლია იმის თქმა, რომ **ქართული მხარე ამ ფორმატით გამართულ შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობას განიხილავდა. თანაც, საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები არ არიან ის დონეები, სერიოზული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად რომ მიიღონ.** ისინი, უბრალოდ, უფრო მაღალი რანგის პირების შეხვედრის მომზადებას დაიწყებენ და საბოლოოდ მაგიდას ქვეყნების ლიდერები მიუსხდებიან. ჰოდა, როცა საქართველო მონაწილეობას განიხილავდა, ჯერ **მიხეილ სააკაშვილი** (?!) ჩაერია საქმეში და შემდეგ — ამერიკის საელჩო. მიშამ ხმამაღლა თქვა: დასავლეთი მხარს არ მიჭერს, რაც რეგიონის სხვა ლიდერებისთვის მესიჯი იქნება, რომ გასაჭირში მხარში არ ამოგვიდგებიანო. არადა, **რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, რომლის ხელისუფლებაც უსიტყვოდ ასრულებს დასავლელი პარტნიორების მითითებებს, თორემ არც აზერბაიჯანი, არც სომხეთი, თურქეთი და მით უმეტეს რუსეთი დასავლეთს არ ექვემდებარებიან.** ისიც გემახსოვრებათ, როგორც კი **ნიკოლ ფაშინიანმა** დასავლურ მუსიკაზე დაიწყო როკვა, მას არა მხოლოდ მთავარმა პარტნიორმა, რუსეთმა, უგანა, არამედ მთელი ერი ფეხზე დადგა და რიგგარეშე არჩევნებიც დაინიშნა. სწორედ მაშინ მიხვდა ფაშინიანი, რომ ჯერ თავის ქვეყანაზე უნდა ეფიქრა და შემდეგ — დასავლეთზე. ანალოგიური რამ ხდება საქართველოს მიმართ. დასავლეთმა კარგად იცის, რომ რეგიონში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც შეიძლება საკუთარ ნებაზე ატრიალოს და ამიტომ „3+3“ ფორმატში მონაწილეობა აგვიკრძალა.

რეგიონში პირველობის ამბიცია თურქეთს რომ აქვს, კარგად მოგეხსენებათ. უფრო ზუსტად, რეგიონში კი არა, **თურქეთი დიდ ქვეყნებს ეტოლება და ერდოღანი იმასაც ამბობს, რომ ოსმალური იმპერიის აღდგენა დროის ამბავია. იმავე ერდოღანმა საჯარო შეხვედრისას ლექსი წაიკითხა მესხეთზე და მას თურქეთის გულიდან მოგლეჯილი ყვავილი უწოდა, რომელიც დედასამშობლოს თურმე მალე დაუბრუნდება. ასეთ პირობებში, ნებისმიერი შეხვედრა და საკუთარი პოზიციების დაცვა სავალდებულოც კი არის, მაგრამ დასავლეთს ნაკლებად აინტერესებს თურქეთიც, მესხეთიც და მხოლოდ რუსეთზე აკეთებს აქცენტს.** რატომღაც გვგონია, რომ „3+3“ ფორმატი კონკრეტულად საქართველოსა და რუსეთისთვის იქნებოდა სერიოზული საბაბი იმისა, რომ მომავალში ამ ორი ქვეყნის ლიდერის პირისპირ შეხვედრა გამართულიყო. თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ **ზალკალიანი** და **ლავროვი** „შემთხვევით“ რომ გადაიკვეთნენ, მაშინ დასავლეთს ისტერიკა დაეწყო. ახლა კი...

„3+3“ ფორმატიდან ამერიკას ამბის გამომტანიც კი არ ეყოლება, არავინ ეტყვის, დეტალებში რა მოხდა და ეს ფორმატი დასავლეთმა, როგორც შეთქმულება, ისე განიხილა. თავად განსაჯეთ — **ამ ექვსმა ქვეყანამ შეთანხმება რომ მოახერხოს, მშვიდობიანი თანაცხოვრება რომ მოახერხოს, სადავო ტერიტორიებზე შეთანხმება რომ მოახერხოს, დამთავრდება რუსეთთან შუღლი და დამთავრდება რეგიონის ქვეყნებით რუსეთთან მანიპულირება.** ჰო, შეიძლება ტერიტორიებზე შეთანხმება და საზღვრის ისე გავლება, რომ ყველა მხარე კმაყოფილი იყოს, შეიძლება სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე საუბარი, ანუ პირისპირ შეხვედრისას ყველაფერი შეიძლება და ჩვენ ამ ფორმატზე უარი გვათქმევინეს.




**ხუთი სახელმწიფო მომავალ შეხვედრაზე შეთანხმდა და შეთანხმდა იმაზეც, რომ უფრო მაღალი დონის მაღალჩინოსნები უნდა დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან და უფრო სერიოზული საკითხები უნდა განიხილონ. ეს არ შეეხება მხოლოდ სადავო ტერიტორიებს, ეს შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, სავაჭრო თემებს. მაშინ, როცა მსოფლიოში კვების პროდუქტები კატასტროფულად გაძვირდა, რეგიონის ქვეყნები, შესაძლოა, შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ და საკვებ პროდუქტებსა თუ ენერგომატარებლებზე სხვასთან შედარებით შეღავათიანი ტარიფი ჰქონდეთ. ჰოდა, ამ ფორმატში ჩვენ არ ვიქნებით და ზუსტად ისე დაგვემართება, როგორც ხორბლის შემთხვევაში**

**ხუთი სახელმწიფო სამომავლო შეხვედრაზე შეთანხმდა და შეთანხმდა იმაზეც, რომ უფრო მაღალი დონის მაღალჩინოსნები უნდა დასხდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან და უფრო სერიოზული საკითხები უნდა განიხილონ. ეს არ შეეხება მხოლოდ სადავო ტერიტორიებს, ეს შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, სავაჭრო თემებს. მაშინ, როცა მსოფლიოში კვების პროდუქტები კატასტროფულად გაძვირდა, რეგიონის ქვეყნები, შესაძლოა, შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ და საკვებ პროდუქტებსა თუ ენერგომატარებლებზე სხვასთან შედარებით შეღავათიანი ტარიფი ჰქონდეთ. ჰოდა, ამ ფორმატში ჩვენ არ ვიქნებით და ზუსტად ისე დაგვემართება, როგორც ხორბლის შემთხვევაში.**

აზერბაიჯანმა და სომხეთმა აჩვენეს მაგალითი, რომ ერთმანეთში ომის მიუხედავად, დიალოგი მაინც შესაძლებელია. სომხეთმა გაგზავნა წარმომადგენელი იმ პირობებში, როცა თურქეთი პირდაპირ დაადანაშაულა აზერბაიჯანის დახმარებასა და თავისი ჯარისკაცების დახოცვაში. **სომხეთი მიხვდა, რომ ამ ფორმატზე უარის თქმა ქვეყნისთვის არათუ ცუდი, არამედ დამღუპველი იქნებოდა და რეგიონში თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა.** სომხეთი, რომლის საერთაშორისო ლობი იმავე ევროპასა თუ ამერიკაში საქართველოსთან შედარებით გაცილებით ძლიერია, განზე არ დარჩა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამით დიდ სარგებელს ნახავს და თანაც უახლოეს პერიოდში. ჩვენ კი...

**2003 წლის შემდეგ საქართველო სრულად დაექვემდებარა დასავლეთს. 2008 წლის შემდეგ კი დასავლეთის გარეშე ნაბიჯსაც არ ვდგამდით და ახლა ირკვევა, რომ ამერიკა საქართველოს საშინაო საქმეებში ამა თუ იმ პოსტზე ადამიანების დანიშვნის დონემდე იყო ჩარეული და იმასაც კი წყვეტდა, რომელი მოსამართლე სად უნდა დანიშნულიყო. სწორედ მაშინ იყო, სასამართლო განაჩენების 99,% გამამტყუნებელი რომ დგებოდა და რა გამოდის? ამერიკის მიერ დანიშნული მოსამართლეები დებდნენ ამ განაჩენებს და ახლა თურმე დღევანდელი ხელისუფლება ჩქარობს მოსამართლეების დანიშვნას და ამერიკის მითითებებს არ ითვალისწინებს?** არ ვამბობთ, რომ დღევანდელი სასამართლო იდეალურია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ წინა ხელისუფლებისდროინდელ სასამართლოს ბევრად სჯობს.

**მიუხედავად იმისა, რომ „3+3“ -ის შეხვედრა ერთი შეხედვით მესამე რანგის ჩინოსნებს შორის გაიმართა, მის მნიშვნელობაზე უკვე ისაუბრა ერდოღანმა და განაცხადა, რომ აღნიშნული ფორმატისგან ბევრს ელის. რაც მთავარია, თურქეთის პირველმა პირმა ფორმატზე საუბრისას ხუთი ქვეყანა ჩამოთვალა და არ უხსენებია საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არა მხოლოდ შეეგუა ჩვენი ქვეყნის უარს, არამედ ხელს აძლევს კიდეც ამ ფორმატში საქართველოს არყოფნა, რადგან ჩვენი ქვეყნის მიმართ თურქეთს სხვა გეგმები რომ აქვს, არაერთხელ თქმულა.** ჰოდა, ფორმატს პირობითად მაინც „3+3“ ერქმევა, მაგრამ რეალურად მასში 5 ქვეყანა იქნება ჩართული. **საქართველოს კი იმ გადაწყვეტილებებთან და იმ შედეგებთან შეგუება მოუწევს, რომლებიც იქ გაჟღერდება და ამის წინააღმდეგ, უბრალოდ, ვერ წავა. რატომ? იმიტომ, რომ რეგიონში მარტო იქნება და მხარს არავინ დაუჭერს.**

როგორ გგონიათ, რას მოიმოქმედებს ასეთ შემთხვევაში დასავლეთი? არც არაფერს, **უფრო მეტად დაგვიმონებს და თავს იმით იმართლებს, რომ დანარჩენები მას არ უჯერებენ და საშინაო საქმეებში არ რევენ.** ადრეც ვთქვით, რომ, თუ საქართველო „3+3“-ის ფორმატში მონაწილეობაზე უარს იტყოდა, ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა და ახლა ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ შეცდომას უშვებს, შედეგებს კი მალე მოვიმკით. სამწუხაროდ, არავინ ჩანს ისეთი, ვინც იტყვის, რომ რეგიონის ხუთ სახელმწიფოსთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდასთან საქართველოს წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს.

**ბესო ბარბაქაძე**

**„საქართველოს ხელისუფლების უარი „3+3“ ფორმატში მონაწილეობაზე მოკლებულია არგუმენტს. მას არ აუხსნია, რატომ არ მიდიან ამ მოლაპარაკებაზე. ჩვენს ხელისუფლებას არ უსაუბრია იმაზე, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ფორმატის სრულად განხორციელებას. ჩვენებს შეეძლოთ, კულუარულად გაეგოთ — რისი მიღება შეგვეძლო, შეგვეძლო თუ არა სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა აფხაზეთის მიმართულებით?! მოკლედ, საქართველოს მხარეს ყველაფერი უნდა გაერკვია და საუბარი ჰქონოდა აღნიშნული ფორმატის ინიციატორებთან, ჩვენ რა სარგებელს მივიღებდით“.**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის პირველი შეხვედრა 3+3 ფორმატში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი + რუსეთი, თურქეთი, ირანი), რომლის ინიციატივაც სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა — რეჯეფ თაიფ ერდოღანმა და ილჰამ ალიევმა წამოაყენეს. შეხვედრას ესწრებოდნენ 5 ქვეყნის — რუსეთის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანისა და სომხეთის — საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები. საქართველომ უარი განაცხადა ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე, მაგრამ ბაქოსა და ერევანს მშვიდობის შესანარჩუნებლად მოლაპარაკებების საკუთარი ფორმატი შესთავაზა. „ჩვენ არ განვიხილავთ ამ ფორმატში მონაწილეობას და, შესაბამისად, საქართველო არ დაესწრება 10 დეკემბერს ე.წ. 3+3 ფორმატში შეხვედრას“, — განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. „ჩვენ რეგიონში მარტო ვრჩებით და, ბუნებრივია, რუსეთს უფრო მეტი გავლენა ექნება, ამ ფორმატში ჩვენც რომ შეგვიყვანოს, თურქეთი და ირანი ერთვებიან და, გარკვეულწილად, მათი მხრიდანაც იქნება წნეხი, აქ საუბარია რეგიონულ ჰეგემონიაზე. რუსეთი, თურქეთი და ირანი კავკასიაში რეგიონული ჰეგემონები იქნებიან, ეს ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებშია“, — ამბობენ ქართველი პოლიტოლოგები. რას კარგავს საქართველო „3+3“ ფორმატში მონაწილეობაზე უარის თქმით და ჯობია თუ არა „ჩათრევას ჩაყოლა“ — ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი რევაზ კილასონია ესაუბრება:**

# რას კარგავს საქართველო და ჯობია თუ არა «ჩათრევას ჩაყოლა»?


რევაზ კილასონია

**«საქართველოს ხელისუფლება და ქართველი დიპლომატები იმ მდგომარეობაში ნამდვილად არ არიან, რომ ვინმეს ულტიმატუმი წაუყენონ, უფრო მეტიც, ეშმაკობის თავიც არ აქვთ. ის, რასაც ახლა საქართველო სჩადის, დასავლეთის გავლენაა ჩვენს სისტემაზე, რომ როგორღაც შეევაჭრონ იმ ძალებს, რომლებიც ამ ფორმატში შედიან, რადგან თვით ნატოსაც კი არასახარბიელო ურთიერთობა აქვს თურქეთთან»**

— „3+3“ ფორმატი ითვალისწინებს ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარებას. ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველო მას არ უერთდება, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს რეგიონში დაძაბული ვითარებაა. ამ დაძაბული ფონის მოსახსნელად აუცილებელია, თვით ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების წარმომადგენლებიც კი — აზერბაიჯანისა და სომხეთის — დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კომპრომისის მისაღწევად თავიანთი ქვეყნების სტარატეგიული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

**„3+3“ ფორმატი ითვალისწინებს, როგორც პოლიტიკური პროცესების რეგულირებას, ასევე, ეკონომიკური და ენერგეტიკული პროგრამების განხორციელებას. ახალი ენერგეტიკული გზების გახსნას, ისეთების, რომლებიც წლების განმავლობაში დახურული იყო და ხელს უშლიდა ეკონომიკურ-ენერგეტიკული პროცესების განვითარებას. ასე რომ, „3+3“ ფორმატი ძალიან ხელსაყრელია ყველა ქვეყნისთვის, რომლებიც მასში განიხილება.**

იმ ძალებს, რომლებიც საქართველოს მართავენ 30 წელიწადია, აქვთ ერთი არგუმენტი — საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს რუსეთთან და აქედან გამომდინარე, ყველაფერი გამართლებულად მიაჩნიათ. მაგრამ ეს არგუმენტი ქარწყლდება, როდესაც სომხეთ-აზერბაიჯანის კომპომისზე იწყება საუბარი, მათ მოახერხეს ერთმანეთთან დალაპარაკება და თავიანთი ქვეყნების ინტერესების დაცვის პრაგმატულად გადაწყვეტა. ასე რომ, ვერ იმართლებს თავს საქართველო იმით, რომ რუსეთს არ ელაპარაკება, ეს არგუმენტი მყარი არ არის.

მომხრე ვარ, რომ 3+3 ფორმატის მსგავს მოლაპარაკებებში საქართველოც ჩაერთოს, რადგან ჩვენ დაკარგულ ტერიტორიებზე რუსეთს ისედაც ვესაუბრებით ეუთოს ფორმატში, რომელიც პრაღაში ტარდება. მაშ, რატომ არ შეიძლება ვისაუბროთ მეზობელ ქვეყანასთან ჰუმანიტარულ პროგრამებზე, დევნილების დაბრუნების პრობლემებზე?! „3+3“ ფორმატი ხომ სწორედ ამისთვისაა შექმნილი?! ამ პროცესში საქართველოს ჩართვა ჩვენს ქვეყანას მისცემდა შანსს, რომ დაუძლეველი პრობლემა, რომელიც გვაწუხებს და რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია, გარკვეულწილად მოგვარდებოდა.

**— როგორც ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი ამბობს, „რუსეთი, თურქეთი და ირანი კავკასიაში რეგიონული ჰეგემონები იქნებიან. ეს ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებშია. ისინი „3+3“ ფორმატზე შემთხვევით არ ამბობენ უარს, ჯიუტად ფიქრობენ, რომ საქართველო მაინც დათანხმდება მონაწილეობაზე“. შეიძლება საქართველოში ჩამოვიდეს ერდოღანი, რომელიც ეცდება, ჩვენი ხელისუფლება დაიყოლიოს; შესაძლოა, თურქეთმა ფარული ეკონომიკური სანქციები განახორციელოს, ის ხომ ჩვენი მეორე სავაჭრო პარტნიორია; შესაძლოა, ირანიც ჩაერთოს... ამ ფორმატის ამოქმედებით აზერბაიჯანიცაა დაინტერესებული. 10 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა, რომელსაც „3+3 “ერქვა და არა „3+2“...**

— ფაქტია, არ გაუქმდა „3+3“ ფორმატი და არ გადაკეთდა „3+2“-ად, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ საქართველო დარჩა აქტუალური იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ამ ფორმატის ფარგლებშია გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ჩართულობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „3+3“ ფორმატის იდეა ვერ მოუტანს აღნიშნულ ფორმატს იმ პოზიტიურ შედეგებს, რომლებიც დაგეგმილია. **გავლენიანი ქვეყნები, რომლებიც ამ ფორმატში არიან ჩართულნი — რუსეთი, ირანი, თურქეთი — ყველანაირად ეცდებიან, დაითანხმონ საქართველო ამ ფორმატში მონაწილეობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთის გავლენა ამიერკავკასიაში მკვეთრად დაეცა, მათ ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ.** ისტორიულად ისედაც გავლენიანი ძალების ხელახალი გავლენა ამ რეგიონზე იზრდება. ვრცელდება ცნობა, რომ პრეზიდენტი ერდოღანი აპირებს საქართველოში ვიზიტს და, დიდი ალბათობით, შეეცდება, საქართველოს ხელისუფლება დაარწმუნოს, ჩაერთოს ამ პროექტში.

**— ზოგიერთი ექსპერტის აზრით, პროექტები, რომლებიც ამ ფორმატის ფარგლებშია გათვალისწინებული, ჩვენი ქვეყნის ჩართულობის გარეშე ვერ განხორციელდება და ვერ მოიტანს იმ პოზიტიურ შედეგებს, რომლებიც დაგეგმილია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ეშმაკობენ — ჩვენ გარეშე მაინც ვერაფერს გააკეთებენ და ულტიმატუმების წაყენების საშუალება გვექნებაო...**

**— საქართველოს ხელისუფლება და ქართული დიპლომატია იმ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, რომ ვინმეს ულტიმატუმი წაუყენოს, უფრო მეტიც, ეშმაკობის თავიც არ აქვთ. ის, რასაც ახლა საქართველო სჩადის, დასავლეთის გავლენაა ჩვენს სისტემაზე, რომ როგორღაც შეევაჭრონ იმ ძალებს, რომლებიც ამ ფორმატში შედიან, რადგან თვით ნატოსაც კი არასახარბიელო ურთიერთობა აქვს თურქეთთან.**

საქართველოს ხელისუფლების უარი „3+3“ ფორმატში მონაწილეობაზე არგუმენტს მოკლებულია, მას არ აუხსნია, რატომ არ მიდიან ამ მოლაპარაკებაზე. ჩვენს ხელისუფლებას არ უსაუბრია იმაზე, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ფორმატის სრულად განხორციელებას. ჩვენებს შეეძლოთ, კულუარულად გაეგოთ — რისი მიღება შეგვეძლო, შეგვეძლო თუ არა, სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა აფხაზეთის მიმართულებით?! მოკლედ, საქართველოს მხარეს ყველაფერი უნდა გაერკვია და საუბარი ჰქონოდა აღნიშნული ფორმატის ინიციატორებთან იმაზე, ჩვენ რა სარგებელს მივიღებდით.

სამწუხაროდ, ჩვენმა მთავრობამ უარი განაცხადა 3+3 ფორმატში მონაწილეობაზე უარგუმენტოდ, რაც დასავლეთის ნეგატიური გავლენის შედეგია. დასავლეთს ერთდერთი საქართველო ჰყავს გამოჭერილი ბოლომდე ჩვენს რეგიონში და ბოლომდე ვაჭრობენ საქართველოს ხარჯზე იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც მას არც ისე კარგი დამოკიდებულება აქვს.

**— როგორც ჩანს, ჩვენ მაინც დაგვიყოლიებენ ამ ფორმატში მონაწილეობაზე. ამბობენ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო...**

— სასურველია საქართველოს მონაწილეობა „3+3“ ფორმატის მსგავს შეხვედრებში, რადგან სამშვიდობო თემებზე საუბარს ალტერნატივა არ აქვს. თუკი, როგორც ამბობთ, „ჩათრევა“ მოგვიწია, ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ვერ მივიღებთ იმ სიკეთეებს, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეღო ნებაყოფლობითი მონაწილეობის შემთხვევაში, რაც იქნება ძალიან ცუდი ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზნებისთვის.

**— ახლახან შეთანხმდნენ ირანი და აზერბაიჯანი, რომ მდინარე ასტარაჩაიზე აშენდეს ახალი 100-მეტრიანი და 4-ზოლიანი ხიდი, რომელიც ირანული ტვირთების აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპისკენ და პირიქით ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება ქართული პორტებისთვის, რომელთა სიმძლავრეებიც სანახევროდაც არ არის ათვისებული... როდესაც მსგავსი რამ ხდება ქვეყანაში, რამე პროექტზე უარის თქმის უფლება გაქვს?**

— ის, რაზეც ახლა თქვენ საუბრობთ, აუცილებლად იქნებოდა 10 დეკემბერს გამართული „3+3“ ფორმატის შეხვედრის თემა, თუმცა ირანსა და აზერბაიჯანს შორის ახალი სატრანსპორტო ხაზის გახსნა და შემდეგ ტვირთების გადაზიდვა საქართველოს გავლით არანაირ დაბრკოლებას არ ქმნის, რადგან დღესაც ირანიდან ტვირთი იგზავნება აზერბაიჯანში და შემდეგ საქართველოს პორტებიდან ევროპისკენ და ამ გზას დაბრკოლება არ აქვს. მსგავსი პროექტების გახორციელებას საქართველო უნდა მიესალმოს, რადგან ეს ზრდის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მიზიდულობას, პოტენციალს.

**— ასეთი გზები ხომ არ აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავხედობის უფლებას, თამამად განაცხადოს უარი ისეთ პროექტზე, როგორიცაა „3+3“?**

— არ მგონია, რადგან ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მცირე ნაწილია იმისა, რაც შეიძლება 3+3 ფორმატმა მოგვიტანოს, რადგან ეს ფორმატი არ არის მხოლოდ ეკონომიკური. **ეს განახლებული გეოპოლიტიკის შედეგია ჩვენს რეგიონში, ეს არის ახალი რეალობა რეგიონში, აქ ვიღაცის გავლენა მცირდება, ვიღაცის — მატულობს. „3+3“ ფორმატი პოლიტიკური პროექტია, აქ არის ძალთა ბალანსის გადანაწილება, როგორმე ამერიკის გავლენა შემცირდეს ახლო აღმოსავლეთში, ასევე, სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში — ცდილობენ, ამ რეგიონებიდან გაიყვანონ ამერიკა. ასე რომ, ამ მასშტაბური „3+3“ ფორმატის უმთავრესი ნაწილი და მიზანი ამერიკის გავლენის შემცირებაცაა.**

საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე ამ ქვეყნისა, ვურჩევ — იყოს პრაგმატული, რაციონალური... მათ უნიკალურ შემოთავაზებაზე თქვეს უარი.

1859-1865 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა, ლორდმა **ჰენრი ჯონ ტემპლ პალმერსტონმა თქვა: „ინგლისს არ ჰყავს არც მუდმივი მოკავშირეები და არც მუდმივი მტრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“. საქართველომაც სწორედ ამ პრინციპით უნდა იმოქმედოს, უნდა იხელმძღვანელოს ჯანსაღი, რეალური, პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე. ის, რაც უკვე მოხდა ერთი წლის წინათ ჩვენს რეგიონში, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს.** ასე რომ, მოუსმინონ იმ ტექტონიკურ ძვრებს, რომლებიც მოხდა, და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ, არ აღმოჩნდნენ რომელიმე ქვეყნის თუ ქვეყნების გავლენის ქვეშ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინდა, საქართველოს ხელისუფლებას გავაგებინო: სხვაგვარად როგორ უნდა აგიხსნათ ადამიანმა უმარტივესად გასაგები ჭეშმარიტება?! თქვენ უფლება გაქვთ, ის გზა აირჩიოთ, რომელიც მისაღებად მიგაჩნიათ, მაგრამ რუსეთსაც აქვს უფლება, მის საზღვრებთან მტრის რაკეტები არ დაუშვას. ვინაიდან თქვენ რუსეთის მტრების ბანაკში ჩაეწერეთ, თქვენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც რუსეთი იწყება, გაიგეთ? რა თქმა უნდა, ვერ გაიგეთ, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტმა ეს მარტივი ჭეშმარიტება თქვენს მბრძანებელს, ბატონ ბაიდენს გააგებინა.**



# ფარატინა ქაღალდი, რომელიც პუტინმა ბაიდენს თავისივე აკანკალებული ხელებით დაახევინა

## «ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს...»

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ორმოცდამეოთხე გამოშვება

**XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი. საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. „გარდაქმნის“ ეპოქა, საქართველო კი მოიცვა ეროვნულმა მოძრაობამ, მაგრამ კონდრატე თათარაშვილის (უიარაღო) ბრწყინვალე მოთხრობაში ნათქვამი ცნობილი ფრაზის — „არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი, ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“ — ალეგორიულ პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, არც „გარდაქმნა“ იყო საბჭოთა და არც „ეროვნული მოძრაობა“ იყო ქართული, ორივე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი სიბინძურე იყო, რომელსაც საბჭოთა კავშირი უნდა დაენგრია და საქართველოსთვის ისტორიული ლოგიკა და გეოპოლიტიკური მიმართულება შეეცვალა. „საქართველო ნატოს წევრი უნდა იყოს!“ — ეს სიშლეგე სწორედ იმ ე.წ. ეროვნულ მოძრაობაში წამოაყრანტალეს პირველად.**



მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდა, მაგრამ დასავლეთის აგენტურის ბევრი წარმომადგენელი ან, უბრალოდ, გონებაჩლუნგი ქართველი, საქართველოს ბედს დღემდე ნატოსთან აკავშირებს. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ნატოს წევრობაზე უბრალოდ თუ ყრანტალებდნენ, ხელისუფლებაში უკვე მეორე წრეზე მოსული **შევარდნაძე** უშუალოდ ნატოს კარს მიადგა და დააკაკუნა. **სააკაშვილმა** ნატოს კარზე კაკუნი არ იკმარა და მისი შეღება სცადა, რაც არ გამოუვიდა, მაგრამ გაურკვეველ მომავალში (ოდესმე) ნატოს წევრობის დაპირება მიიღო. **ეს 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მოხდა, თუმცა ამ ფაქტს რამე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. ეს მოვლენა შედეგზე გათვლილი არც ყოფილა. მისი მიზანი ქართველებისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო, რათა ნატოს წევრობის იმედით გაბრუებულ ხალხს ნატოს გარდა სხვა რომელიმე მიმართულებაზე ფიქრი არ დაეწყო.** ასეც მოხდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ალტერნატივაზე ფიქრი ქართველ ხალხს (ყოველ შემთხვევაში, ოფიციოზის დონეზე) არც დაუწყია. ხელისუფლების წარმომადგენლები დღესაც მთელი არსებით ნატოსკენ ილტვიან, თუმცა ბუქარესტის სამიტის შემდეგ ამ მიმართულებით ძვრა არ მომხდარა, ყველაფერი ერთ ადგილზე გაიყინა.

ამას აქვს ახსნა. **ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რთული კონგლომერატია, მისი წესდება კი ახალი წევრის მიღებისას სრულ კონსენსუსს ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ, დღევანდელი მონაცემებით, ოცდაათივე წევრმა სახელმწიფომ უნდა მისცეს ხმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს წევრობას ალიანსის შემადგენლობაში**. იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია ნატოს გაფართოებისა, ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე სახელმწიფო, რომლებიც თუნდაც იმის გამო, რომ რუსეთი არ გაანაწყენონ, ახალი წევრის მიღებისთვის ხმის მიცემისგან თავს შეიკავებენ. გარდა ამისა, **ნატოს წესდების მიხედვით, ამ ალიანსის წევრად არ მიიღებიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ სადავო ტერიტორიები, ანუ საქართველო ამ ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, კოლექტიურმა დასავლეთმა ალიანსის წევრად საქართველოსა და უკრაინის მიღება ვერ გარისკა. ბევრს ეცადნენ, ბევრი იწვალეს, მაგრამ ეს საკითხი აქამდე ვერ გადაწყვიტეს, ახლა კი საქმე უფრო გართულდა.** ნატოს გაფართოების შეჩერების შესახებ რუსეთის მოთხოვნა კატეგორიული გახდა, ვინაიდან ამ ე.წ. გაფართოებამ აშკარად რუსეთის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. რუსეთი ამ საკითხზე დიდი ხნის განმავლობაში ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ ბოლო პერიოდში პუტინის განცხადებები სულ უფრო კატეგორიული ხდებოდა. ერთ-ერთი ბოლო განცხადება ასეთი იყო: „Расширение блока НАТО на восток, в том числе за счет Украины — это один из ключевых вопросов обеспечения безопасности России на среднесрочную и даже стратегическую перспективу. Мы об этом говорим постоянно, публично, предупреждаем наших партнеров о том, что для нас это не приемлемо. Один из тезисов очень простой, мы об этом тоже говорили, конечно, каждая страна имеет право выбирать наиболее приемлемый для себя способ обеспечения безопасности, но это должно быть сделано таким образом, чтобы не нарушать интересы других стран, и не подрывать безопасность других стран, в данном случае России“. ამ კონკრეტულ განცხადებაში საქართველო ნახსენები არ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხადზე უცხადესია, რომ ეს ნათქვამი, უკრაინასთან ერთად, საქართველოსაც ეხება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ უკრაინაში მაიდნის სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალება მხოლოდ იმ მიზნით განახორციელეს ამერიკელებმა, რომ უკრაინა რუსეთისთვის მოეგლიჯათ, მისი გავლენის სფეროდან მთლიანად გამოეყვანათ და ნატოში ძალადობრივად შეეთრიათ. ძალადობის გარდა სხვა რა სახელი უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოში, სადაც სხვადასხვა მონაცემით (ამ თვალსაზრისით ნამდვილი მონაცემები უკრაინის ხელისუფლებას, პრაქტიკულად, გასაიდუმლოებული აქვს) ორმოც პროცენტზე მეტი რუსი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, რუსეთის მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკის წევრად რომ შეჰყავთ. ეს არის მოსახლეობისთვის მათი ბუნებრივი განწყობის საწინააღმდეგო განწყობათა თავს მოხვევა, რაც საგარეო ურთიერთობებში აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის ხელწერად იქცა. **ამერიკელები ისე შემაშფოთებლად გააქტიურდნენ შავ ზღვაზე, თუკი რუსეთის მხრიდან საკითხი რადიკალურად არ დაისმებოდა, ყველაფერი გლობალური დაპირისპირებისა და მესამე მსოფლიო ომისკენ მიექანებოდა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების ვიდეორეჟიმში შეხვედრამ და მოლაპარაკებამ უკიდურესად დაძაბული ვითარება განმუხტა.** ამგვარი შეხვედრების შემდეგ საკითხს, არამხოლოდ ფართო საზოგადოება, პოლიტიკური მიმომხილველებიც კი ასე სვამენ: რომელმა გაიმარჯვა და რომელი დამარცხდა, რაც მთლად ზუსტი მიდგომა არ არის. გააჩნია, რა რაკურსით შევხედავთ საკითხს. ამ შემთხვევაში, როდესაც საერთო დაძაბულობა მთლიანად თუ არ მოიხსნა, საგრძნობლად განიმუხტა, რა თქმა უნდა, არავინ დამარცხებულა, პირიქით, ყველა გამარჯვებულია, მაგრამ მაინცდამაინც ის თუ გვაინტერესებს, რომელი მხარის პოზიცია უფრო დაკმაყოფილდა, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლეს დონეზე წარმოებულ ამ პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ და დიპლომატიურ ორთაბრძოლაში რუსეთის პრეზიდენტმა გაიმარჯვა. **ვლადიმერ პუტინმა ჯო ბაიდენთან საუბარში პირდაპირი ტექსტით განაცხადა, რომ თქვენ თქვენი სახელმწიფოდან ათასობით კილომეტრის იქით გაწუხებთ რუსეთის არმიის ნაწილების განლაგება ჩვენსავე ტერიტორიაზე, ჩვენ კი — ჩვენს საზღვრებთან არსებული ვითარება და, აქედან გამომდინარე, რუსეთის გლობალური უსაფრთხოების საკითხი გვაწუხებს, ამიტომ ვითხოვთ იურიდიულ გარანტიებს, რათა ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდეს.** ასე პირდაპირ დასმულ საკითხზე **ბაიდენის რეაქცია სწორი, მაგრამ დაუჯერებელი იყო. მან თქვა, რომ იგი უახლოეს მოკავშირეებთან მოილაპარაკებს რუსეთისთვის უსაფრთხოების იურიდიული გარანტიების მიცემაზე. ბაიდენმა ისიც ხაზგასმით თქვა, რომ აშშ რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის შემთხვევაშიც არ აპირებს ამერიკული ჯარის გაგზავნას უკრაინაში, ვინაიდან უკრაინა არ არის ნატოს წევრი სახელმწიფო.** ძალიან შორს ვდგავარ იმ გულუბრყვილობისგან, რომ ამერიკელთა და, საერთოდ, კოლექტიური დასავლეთის ნათქვამი დავიჯერო ან მათი ნათქვამისა ვიწამო, მაგრამ ჩვენ ამჟამად ამის შესახებ არ ვსაუბრობთ, ჩვენ ვაანალიზებთ იმას, რა ითქვა შეხვედრისას და ვინ უფრო შეძლო აქამდე გახმაურებული პოზიციებისა და აღებული გეზის დაცვა. **ორ პრეზიდენტს შორის გამართული საუბრის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ძუნწი ინფორმაციიდან გამომდინარე ისე ჩანს, რომ რუსეთს მისხალითაც არ დაუხევია უკან, მაშინ, როდესაც ამერიკის პრეზიდე-** ▶

**რუსეთთან ლაპარაკი არ გსურდათ, ხომ? აღარც რუსეთს სურს თქვენთან ლაპარაკი, იგი თქვენს მბრძანებელს დაელაპარაკა და მას გააკეთებინა ის, რასაც თქვენ თუ გააკეთებდით, რუსეთისგან ტერიტორიული მთლიანობის გარანტიებს მიიღებდით, ახლა კი ვერაფერს ვერ მიიღებთ. ახლა ბაიდენის ახალ დირექტივას დაელოდეთ იმიტომ, რომ, რაკი ნატო მსოფლიოში ძალთა შორის ბალანსისა და მშვიდობის შენარჩუნების უმაღლესი იდეალისადმი პატივისცემის გამო აღმოსავლეთით გაფართოებაზე უარს აცხადებს, საქართველოსა და უკრაინის ამ ორგანიზაციის წევრად მიღება განუსაზღვრელი ვადით გადადებულია**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე ისე შემობრუნდა ვითარება, რომ რუსეთი ნატოს მიერ ცამეტი წლის წინათ გაცემული იმ დაპირების გაუქმებას ითხოვს, რომლის შესახებაც საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება გაჰყვიროდა: ბუქარესტის სამიტზე მაპზე უკეთესი მივიღეთო. რუსეთი არამხოლოდ მომავალში, არამედ წარსულშიც იუმჯობესებს მდგომარეობას. საქართველო კი არამხოლოდ წარსულში აფუჭებდა საკუთარ საქმეს, არამედ მომავალსაც ღუპავს.**

# ბაიდენის რეაქცია სწორი, მაგრამ დაუჯერებელი იყო. მან თქვა, რომ იგი უახლოეს მოკავშირეებთან მოილაპარაკებს რუსეთისთვის უსაფრთხოების იურიდიული გარანტიების მიცემაზე. ბაიდენმა ისიც ხაზგასმით თქვა, რომ აშშ რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის შემთხვევაშიც არ აპირებს ამერიკული ჯარის გაგზავნას უკრაინაში, ვინაიდან უკრაინა არ არის ნატოს წევრი სახელმწიფო

**◀ნტი იძულებული შეიქნა ელიარებინა, რომ იმუშავებენ რუსეთისთვის უსაფრთხოების გარანტიების დოკუმენტზე და ისიც, რომ ნატო უკრაინაზე რუსეთის აგრესიის შემთხვევაშიც კი ამ ქვეყანას სამხედრო დახმარებას არ გაუწევს,** ვინაიდან უკრაინა ნატოს წევრი არ არის. მართალია, ამ დიალოგის დეტალებზე საუბრისას ყველა მხარე მისთვის სასურველ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ რუსეთისთვის უსაფრთხოების გარანტიის დოკუმენტის შექმნაზე თანხმობა უკვე საბოლოოდ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ამჯერად რუსეთმა თავისი გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები ვერც ერთ შემთხვევაში ველარ გახდებიან. ეს რომ ნამდვილად ასეა, მოწმობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული და ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის განცხადება, რომ რუსეთი ნატოსგან მოითხოვს, გააუქმოს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის მიცემული პირობა:

**„ევროპული უსაფრთხოების ფუნდამენტური ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ოფიციალურად მოხდეს ბუქარესტის ნატოს 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილების უარყოფა იმის შესახებ, რომ „უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები“, როგორც ეუთოს წევრი სახელმწიფოების ყველა ლიდერის ვალდებულებასთან წინააღმდეგობაში მყოფი — „არ გააძლიერონ თავისი უსაფრთხოება სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე“. მოვითხოვთ, იურიდიულად მოხდეს შეთანხმების დამოწმება ამერიკისა და ნატოს სხვა წევრების შეტევითი შეიარაღების სისტემების განუთავსებლობის შესახებ რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან რუსეთს. ასევე მოვითხოვთ ნატოს კონკრეტულ რეაქციას ჩვენ მიერ ადრე წამოწეულ წინადადებებზე ევროპაში დაძაბულობის შემცირების შესახებ. მათ შორის: ოპერატიული სწავლებების რაიონის გადაწევას რუსეთ-ნატოს საკონტაქტო ხაზიდან შეთანხმებულ მანძილზე; საბრძოლო ხომალდებისა და თვითმფრინავების ზღვრულ დისტანციაზე მიახლოების შესახებ შეთანხმებაზე საშიში სამხედრო მოქმედებების ალსაკვეთად, პირველ რიგში, ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონებში; რეგულარული დიალოგის განახლება თავდაცვით უწყებებს შორის რუსეთ-ამერიკისა და რუსეთი-ნატოს ხაზით. მოვუწოდებთ ვაშინგტონს, შეუერთდეს რუსეთის ცალმხრივ მორატორიუმს ევროპაში მიწისზედა საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების განთავსების შესახებ, მოხდეს შეთანხმება და საჭირო ზომების შემოღება ორმხრივი ვალდებულებების შესრულების ვერიფიკაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მიმართულებებზე რუსეთი უახლოეს პერიოდში წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი დიკუმენტების პროექტებს მოლაპარაკებების დასაწყებად შესაბამის ფორმატებში. კერძოდ, შევიტანთ კომპლექსურ წინადადებებს უსაფრთხოების სამართლებრივი გარანტიების შესახებ სტრატეგიულ სტაბილურობაზე რუსეთ-ამერიკის დიალოგის მორიგი რაუნდის მომზადების ფარგლებში. გამოვალთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამხედრო ასპექტების საგნობრივი განხილვისთვის თავდაცვის სამინისტროების ხაზით, ასევე რუსეთისა და ნატოს ქვეყნების საგარეო პოლიტიკური უწყებების მონაწილეობით. აუცილებლად მივიჩნევთ, რომ ეუთოც არ დარჩეს ევროუსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის საკითხზე დისკუსიების მიღმა“.**

რუსეთის ამ უაღრესად სერიოზულ განცხადებაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ მას ამ განცხადების გაკეთების საფუძველი შეექმნა. **უკვე ისე შემობრუნდა ვითარება, რომ რუსეთი ნატოს მიერ ცამეტი წლის წინათ გაცემული იმ დაპირების გაუქმებას ითხოვს, რომლის შესახებაც საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება გაჰყვიროდა, ბუქარესტის სამიტზე მაპზე უკეთესი მივიღეთო. რუსეთი არამხოლოდ მომავალში, არამედ წარსულშიც იუმჯობესებს მდგომარეობას. საქართველო კი არამხოლოდ წარსულში აფუჭებდა საკუთარ საქმეს, არამედ მომავალსაც ღუპავს.** ამის დასტურად თუნდაც ის განცხადება გამოდგება, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ინიციატივის პასუხად გაავრცელა:

„საგარეო საქმეთა სამინისტრო მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაცია „აუცილებლად მიიჩნევს ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების — რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები“ — გაუქმებას (ლეზთვუმპრვთიტ). 2008 წლის 3 აპრილს ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა ბუქარესტის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო (და უკრაინა) გახდება ნატოს წევრი. ზემოაღნიშნული წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან, კონსენსუსის საფუძველზე მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. ამასთანავე, ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლიდან, რომლის თანახმადაც ნატოს წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, რომელიც გაიზიარებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პრინციპებს და წვლილს შეიტანს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში. ნატოში გაწევრება წარმოადგენს საქართველოს სუვერენულ გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ურყევ ნებაზე. აღნიშნული მიზანი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში.




აღსანიშნავია, რომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება გამეორებულ იქნა 2008 წლის შემდგომ გამართულ ნატოს ყველა სამიტზე. 2021 წელს ბრიუსელში ნატოს სამიტზე მიღებული კომუნიკე კი ხაზს უსვამს, რომ მოკავშირეები დაუშვებლად მიიჩნევენ ქვეყნების საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრაში ნებისმიერი მესამე მხარის ჩარევას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიუღებელია მესამე მხარის მიერ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გადახედვაზე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარ გამოწვევას დღეს წარმოადგენს სწორედ რუსეთის ფედერაციის ქმედებები, რომლებიც გამოიხატება მეზობელი სუვერენული ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციასა და ანექსიაში, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფაში და მის მიერვე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში“.

ამ ტექსტის ავტორს ერთგვარი რიხით კი გამოუთქვამს გულისნადები, მაგრამ „ოკუპაციისა“ და „ანექსიის“ ფუჩეჩს თუ მოვაცლით, მისგან არაფერი დარჩება. **არაფერი გამოვიდა ამ ნატოსგან, ამ ოკუპაციისა და ანექსიის გაუთავებელი ძახილისგან, ამ ბუქარესტის სამიტისგან და ნატოს გენერალური მდივნის ცრუ მხარდაჭერისგან. აი, თუნდაც იმგვარი მხარდაჭერისგან, რომელიც ჩვენი სამინისტროს წყალწყალა და, ალბათ, მის მიერვე ნაკარნახევი ტექსტის პარალელურად რომ გამოაქვეყნა:**

„ჩვენი პოზიცია უცვლელია. ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი გზა. ეს ასახულია მრავალ დოკუმენტსა და შეთანხმებაში, რომელთა ხელმომწერი რუსეთიც არის. მკაფიოდ ნათქვამია, რომ ყველა დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს საკუთარი კურსი, მათ შორის ის, თუ რა ტიპის უსაფრთხოების შეთანხმებებში სურს მონაწილეობა. ნატოს ურთიერთობები უკრაინასთან მხოლოდ ალიანსის 30 მოკავშირისა და უკრაინის გადასაწყვეტია და არავის სხვის მიერ. ჩვენთვის მიუღებელია, რომ რუსეთი ცდილობს, აღადგინოს სისტემა, რომელშიც რუსეთის მსგავს დიდ სახელმწიფოებს აქვთ გავლენის სფეროები, შეუძლია გააკონტროლოს და გადაწყვიტოს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სხვა წევრებს“. არავითარი სურვილი არ მაქვს, ვინმე შეურაცხვყო, მით უმეტეს ისეთი მაღალი თანამდებობის პირი, როგორიც ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგია,** მაგრამ სხვა გზასაც არ მიტოვებს, — ამ კაცს ან ყურში არ ესმის, ან ყურში ესმის, მაგრამ მისი ტვინი ვერ იგებს იმას, რასაც ეუბნებიან. აზრის უფრო გასაგებად გამოხატვა, ვიდრე ამას პუტინი აკეთებს, შეუძლებელია. აი, რა თქვა მან უკრაინის საკითხზე:

„Мы исходим из того, что наши озабоченности хотя бы на этот раз будут услышаны. До сих пор в течение предыдущих десятилетий мы постоянно говорили о наших озабоченностях и просили этого не делать, но, тем не менее, инфраструктура НАТО неизбежно приближалась к нашим границам. И теперь мы видим комплексы противоракетной обороны в Польше и Румынии. У нас есть все основания полагать, что то же самое произойдет в случае принятия Украины в НАТО, но уже на украинской территории. Ну как же мы можем об этом не думать? Это было бы преступным бездействием с нашей стороны — безвольно наблюдать за тем, что там происходит“.

თავში ქვა უხლია სტოლტენბერგსაც და ნატოსაც, მე მაგათ გასაგონად კი არ ვსაუბრობ, **მე მინდა, საქართველოს ხელისუფლებას გავაგებინო: სხვაგვარად როგორ უნდა აგიხსნათ ადამიანმა უმარტივესად გასაგები ჭეშმარიტება? თქვენ უფლება გაქვთ, ის გზა აირჩიოთ, რომელიც მისაღებად მიგაჩნიათ, მაგრამ რუსეთსაც აქვს უფლება, მის საზღვრებთან მტრის რაკეტები არ დაუშვას. ვინაიდან თქვენ რუსეთის მტრების ბანაკში ჩაეწერეთ, თქვენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც რუსეთი იწყება, გაიგეთ? რა თქმა უნდა, ვერ გაიგეთ, ამიტომ რუსეთის პრეზიდენტმა ეს მარტივი ჭეშმარიტება თქვენს მბრძანებელს, ბატონ ბაიდენს გააგებინა.** მორჩა და გათავდა. აღარც პუტინს და, სხვათა შორის, არც მე აღარ მაინტერესებს თქვენ რისი გაგების უნარი შეგწევთ და რისი არა. ახლა მთავარია, ქართველმა ხალხმა გაიგოს ის სრულიად ახალი რეალობა, რომელიც პუტინსა და ბაიდენს შორის 8 დეკემბერს გამართული მოლაპარაკების შედეგად დადგა. ეს ახალი რეალობა ასე გამოიყურება:

**აღარ არის ნატო! მოკვდა ნატო!**

**ველარ იხილავთ ნატოს ბათინკებს საქართველოს (ვერც უკრაინის) მიწაზე!**

**ამიერიდან ნატო თავის ბოროტ დინგს ველარ შემოყოფს იქ, სადაც არაფერი ესაქმება!**

**ახლა, რაც გენებოთ, ის უქენით იმ ფარატინა ქაღალდს, რომელზეც ბუქარესტის სამიტის კომუნიკეს მუხლია ჩამოყალიბებული, რომლის მიხედვით საქართველო და უკრაინა ოდესმე ნატოს წევრები იქნებიან. ამ ქაღალდის ბედი, რომელსაც დასავლეთსა და ნატოზე შეშლილმა სააკაშვილმა და ნაციონალებმა „მაპზე უკეთესი“ უწოდეს, ყველაზე უარესი შედეგით დამთავრდა.** ამ სრულიად ახალი რეალობის მიუხედავად, რომელიც 8 დეკემბერს დადგა, თქვენ კვლავაც არამხოლოდ ფიზიკურად, არამედ შინაარსობრივად გახუნებულ და აზრდაკარგულ იმ ფარატინა ქაღალდზე ლოცულობთ, რომელიც პუტინმა ბაიდენის აკანკალებული ხელებით თავზე გადაგახიათ. **რუსეთთან ლაპარაკი არ გსურდათ, ხომ? აღარც რუსეთს სურს თქვენთან ლაპარაკი, იგი თქვენს მბრძანებელს დაელაპარაკა და მას გააკეთებინა ის, რასაც თქვენ თუ გააკეთებდით, რუსეთისგან ტერიტორიული მთლიანობის გარანტიებს მიიღებდით, ახლა კი ვერაფერს ვერ მიიღებთ. ახლა ბაიდენის ახალ დირექტივას დაელოდეთ, რომ, რაკი ნატო მსოფლიოში ძალთა შორის ბალანსისა და მშვიდობის შენარჩუნების უმაღლესი იდეალისადმი პატივისცემის გამო აღმოსავლეთით გაფართოებაზე უარს აცხადებს, ამ ორგანიზაციის წევრად საქართველოსა და უკრაინის მიღება განუსაზღვრელი ვადით გადადებულია.**

**P. S.** რუსეთის პრეზიდენტმა სენსაციური განცხადება გააკეთა: **„Ведущие военные державы мира, безусловно, будут обладать таким же оружием, которое есть сегодня у России, я имею в виду гиперзвуковое оружие, Но мне думается, что мы сможем приятно удивить наших партнеров тем, что когда у них это оружие появится, с большой долей вероятности, у нас появятся средства борьбы с этим оружием“.**

**არ ვიცი, როდის გამოიღვიძებს ან გამოიღვიძებს თუ არა საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნატოს უპირატესობის ეპოქა, დიდი ხანია, დასრულდა. ილიასი არ იყოს, „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.**

ჩაკუჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც შეეხება რუსეთის მზადებას სამხედრო შეჭრისათვის: ეს ტყუილია, უფრო უკრაინა ემზადება დონბასში სამხედრო ოპერაციისათვის (ისევ დასავლეთის კონფრონტაციული ძალების წაქეზებით) და რაკი რუსეთს ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ ასეთ შემთხვევაში „თვით უკრაინის სახელმწიფოებრიობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“, რუსეთის დადანაშაულება „გაღმა შედავებაა“, რომ „გამოღმა შერჩეთ“.**



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# საქართველო, ისევე, როგორც უკრაინა, ამ მიდგომებით ყველაფერს წააგებს

## «საბოლოოდ მივალთ იმ მდგომარეობამდე, როცა სავაჭრო და სალაპარაკო არათუ რუსეთთან, არავისთან არ გვექნება»

**7 დეკემბერს ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის ორსაათიანი ონლაინსაუბრის დასრულების შემდეგ როგორც კრემლში, ისე ვაშინგტონში საერთაშორისო თუ რეგიონული მნიშვნელობის საკითხებზე გაკეთებულმა მკაფიო განცხადებებმა წერტილი დაუსვა პოლიტიკურ სპეკულაციებს. ზესახელმწიფოთა ლიდერების გზავნილებმა ისეთ თემებს, როგორიცაა ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, აშშ-ისა თუ ევროკავშირის მზადყოფნა რუსეთის „აგრესიული პოლიტიკის“ შესაჩერებლად და ა.შ., კიდევ უფრო მეტი სიცხადე შესძინა.**

ცხადი შეიქნა ისიც, რომ თვალსაზრისი, თითქოს „ცივილიზებული სამყარო“ მზადაა, ძალით დაიცვას ნებისმიერი სახელმწიფო, სადაც მათ თავისი ინტერესი აქვთ, ჩვეულებრივი პოლიტიკური ილუზიაა. პოლიტიკურ ილუზიაზე საუბარს უკვე დასავლელი ლიდერებიც არ ერიდებიან და ამბობენ, რომ როგორც ამერიკამ, ისე ევროპამ რუსეთთან ურთიერთობების რეგულირება მხოლოდ დიპლომატიური გზებით და პრაგმატული მიდგომებით, ე.ი., მოლაპარაკებების საშუალებით უნდა შეძლონ. რაც შეეხება პუტინისა და ბაიდენის ონლაინსაუბრის მთავარ თემას — უკრაინას, რომლის მიმართაც იყო მოლოდინი, რომ ვაშინგტონის პოზიცია მკაცრი და შეუვალი იქნებოდა, საუბრის შემდეგ ბაიდენმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არც კი განიხილავს უკრაინაში ჯარების გაგზავნის საკითხს. „ეს საკითხი მაგიდაზე არ დევს“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს და დასძინა, რომ ვლადიმერ პუტინს ურთიერთობის დიპლომატიური გზით დარეგულირებისკენ მოუწოდა. ის, რომ ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის უმსხვილეს მოთამაშეებს შორის ყოველთვის დიპლომატიური გზებით ირკვევა და თანამედროვე ეპოქაში მათ შორის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება, მით უმეტეს მესამე ქვეყნის დაცვის იდეით, უბრალოდ, გამორიცხულია, ცხადია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი, ალბათ, ასე უნდა დავაყენოთ: რას იღებენ დასავლეთის მიერ ერთ კონიუქტურულ ჭრილში განხილული საქართველო და უკრაინა (მათი მონაწილეობის გარეშე) ვექტორებს შორის მათ შესახებ(აც) მიღწეული შეთანხმებით, როცა ერთიც და მეორეც (საქართველოც და უკრაინაც) მათ მიერვე წლების განმავლობაში განხორციელებული არასახელმწიფოებრივი მისწრაფებების გამო პოლიტიკურ თამაშგარე მდგომარეობაში არიან?! ამას დრო კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს.

ახლა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ან საერთოდ არ განიხილება, ან თუ განიხილება — არაადეკვატურ კონტექსტში: 10 დეკემბერს მოსკოვში „3+3“ ფორმატის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი + რუსეთი, თურქეთი, ირანი) პირველი შეხვედრა გაიმართა, ოღონდ საქართველო იქ წარმოდგენილი არ იყო (თუნდაც მესამე პირის მეშვეობით, რაც დიპლომატიაში მიღებული პრაქტიკაა. ხომ წარმოადგენს რუსეთს საქართველოში შვეიცარია, რატომ არ შეიძლებოდა, ისევ შვეიცარიას საქართველო წარმოედგინა რუსეთში?). რუსეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა რეგიონში თანამშრომლობის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. მეორე დღეს, 11 დეკემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ ხუთი ქვეყნის წარმომადგენლობებმა გამოთქვეს დაინტერესება, ფორმატში საქართველოც ჩაერთოს. მეტიც, განცხადებაში, რომელიც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ხაზგასმული იყო, რომ პლატფორმაში საქართველოსთვის კარი ღია რჩება... ცხადია, ნებისმიერი ქვეყნის ადეკვატური ხელისუფლება, რომლის საგარეო ორიენტირებიც საკუთარი სტრატეგიული ინტერესებით განისაზღვრება და არა გარე ძალების დირექტივებით, ამ განცხადებას შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დატოვებდა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში წინადადებას უცვლელი რიტორიკით უპასუხეს: რუსეთი ოკუპანტია და საქართველო ოკუპანთან ერთად რამე თანამშრომლობაში ვერ ჩაერთვება, სანამ დეოკუპაცია არ მოხდება. რას მოგვიტანს მსგავსი რიტორიკა და მიდგომები, როცა რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარება ძირეულად იცვლება, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ უკვე ამთავითვე ცხადია, საქართველო, ისევე, როგორც უკრაინა, რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ ბანაკში ყოფნამ მიიყვანა კრიზისამდე, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა თვალსაზრისით, და ეს კრიზისი სულ უფრო და უფრო მწვავდება.

**რა შეიძლება იყოს გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან და შეიძლება თუ არა ამ გამოსავლის პოვნა არსებული პოლიტიკური დღის წესრიგის პირობებში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, პუტინისა და ბაიდენის ორსაათიანმა ონლაინსაუბარმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი და წერტილი დაუსვა პოლიტიკურ სპეკულაციებს. ითქვა, რომ შეერთებული შტატები უკრაინაში ჯარების გაგზავნას არც კი განიხილავს. საუბარი იყო ურთიერთობების მხოლოდ მოლაპარაკებების გზით დარეგულირებაზე. როგორ შეაფასებთ ამ საუბარსა და გზავნილებს, რომლებიც შემდგომ გაკეთდა? და საერთოდ, რეალურია კი რუსეთის მზადება უკრაინაში სამხედრო შეჭრისათვის? თუ ეს დასავლური პროპაგანდის ნაყოფია?**

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს საუბარი, მაგრამ ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია შემდგომ გაკეთებული შეფასებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ჩვენთვისაა ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ **საუბრიდან მეორე დღეს გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობაზე. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა არგუმენტი, რომლითაც რუსეთი ასაბუთებს ამ ნაბიჯის აუცილებლობას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამით საფრთხის ქვეშ დგება ევროპის უსაფრთხოება.** ნატო-ს პოზიცია — საკუთარი უსაფრთოების მიღწევა სხვისი უსაფრთხოების ხარჯზე, ძირშივე ეწინააღმდეგება თვითონ ევროპის უსაფრთხოების კონცეფციას და საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციული ფონის განმუხტვას შეუწყობს ხელს. **რაც შეეხება ბაიდენის შერბილებულ რიტორიკას, რომ უკრაინაში ჯარების გაგზავნა არ განიხილება, რა თქმა უნდა, არც არავის ჰქონდა ილუზია, რომ ამერიკელები უკრაინას ფიზიკურად დაიცავდნენ, ეს გამორიცხულია, რადგან მეორე მხარეს რუსეთი დგას. ვფიქრობ, ეს, უწინარესად, უკრაინის ხელმძღვანელობისთვის უნდა იყოს მკაფიო სიგნალი...**

**რაც შეეხება რუსეთის მზადებას სამხედრო შეჭრისათვის: ეს ტყუილია, უფრო უკრაინა ემზადება დონბასში სამხედრო ოპერაციისათვის (ისევ დასავლეთის კონფრონტაციული ძალების წაქეზებით) და რაკი რუსეთს ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ ასეთ შემთხვევაში „თვით უკრაინის სახელმწიფოებრიობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“, რუსეთის დადანაშაულება „გაღმა შედავებაა“, რომ „გამოღმა შერჩეთ“.**

**— უკრაინა გამალებით განაგრძობს შეიარაღებასა და საომარ რიტორიკას...**

— გეთანხმებით და ეს არის ზუსტად ის, რაც ქმნის განწყობას, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. რას შეიძლება, ნიშნავდეს ეს? მე ასე ვიტყოდი: **შეერთებული შტატები ოფიციალურად იცილებს უკრაინაზე პასუხისმგებლობას, რაც გასაგებია, რომ ამ ვითარებაში განსაკუთრებით მძიმე ტვირთია მისთვის, მაგრამ რამდენადაც რბილია ბაიდენის რიტორიკა საომარი მოქმედებების საკითხში, იმდენად საპირისპიროზე მეტყველებს რეალობა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ამერიკელების ინტერესებში კვლავ არის რეგიონში ცხელი კერების არსებობა** და ამისთვის საჭიროა არა მშვიდი, სტაბილური გარემო, არამედ ქაოსი და მუდმივი დაძაბულობა. საბოლოოდ აქ საკითხი ასე უნდა დაისვას — რას იღებს უკრაინა? უკრაინა იღებს იმას, რომ, პრაქტიკულად, გადაქცეულია პოლიგონად, ხოლო იმის დაბრუნების შანსი, რაც დაკარგა, ნულია.

**— პუტინთან საუბრის შემდეგ ბაიდენმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს რუსეთს, ამერიკას, ევროპასა და ნატოს შორის. საინტერესოა, რომ მან ნატო ცალკე გამოყო და აშშ — ცალკე. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— ესეც გარკვეული რიტორიკის ნაწილია, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ ქვეტექსტებს შეიცავს. აქ მინიშნება არის იმაზე, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე პროცესში ერთვება სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, თუმცა ეს ყველაფერი, შესაძლოა, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდეს და რეალურად ისინი რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაზე არ წავლენ... რაც შეეხება საქართველოს, **პოზიცია, რომელიც არსებობს უკრაინის მიმართ, ჩვენთვის პირდაპირი სიგნალი უნდა იყოს, ანუ ის, რომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების საკითხი არც კი განიხილება, ნიშნავს, რომ ჩვენ შემთხვევაში საკითხის ამ ჭრილში დასმა ფანტასტიკის სფეროდანაა.**

**— 10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა „3+3“ ფორმატის პირველი შეხვედრა, რომელშიც რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. მოგეხსენებათ, შეხვედრაში მონაწილეობაზე საქართველომ უარი განაცხადა, მაგრამ მეორე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ საქართველოსთვის პლატფორმის კარი ღიაა. რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ ამ საკითხში?**

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რაც ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის და მით უმეტეს პოლიტიკოსისთვის გასაგებია: **რეგიონში მიმდინარეობს ძირეული გეოპოლიტიკური გარდაქმნები, რომლებშიც ჩართულია ამ რეგიონის ყველა სახელმწიფო, მათ შორის, ჩვენი მეზობელი ორი ქვეყანა, რომლებსაც რამდენიმე თვის წინათ ომი ჰქონდათ ერთმანეთში და ეს ომი დღესაც არ არის დასრულებული. ჩნდება შეკითხვა — რატომ არიან ეს ქვეყნები ამ პროცესში? იმიტომ, რომ იდეალური ურთიერთობა აქვთ?** არა, ისინი თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და ყველას ესმის ერთი მარტივი რამ — **თუ შენი ბედი შენი მონაწილეობის გარეშე გადაწყდება და თანაც მონაწილეობაზე უარის თქმა შენი გადაწყვეტილებაა, მაშინ ყველაფერი გადაწყდება შენს საზიანოდ; ყველა მეტ-ნაკლებად მიიღებს თავისას შენი ინტერესების ხარჯზე, ბოლოს კი შენ მაინც ვერ ასცდები ამ ქვეყნებთან ურთიერთობას.** სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია ხაზს უსვამს, ეს არის ფორმატი „3+3 “და იქ სეპარატისტული რეგიონების ხსენებაც არ არის, ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს არის სიგნალი ჩვენთვის გარკვეულ შესაძლებლობებზე. სხვათა შორის, **გროზნოს „კავკასიურ დიალოგში“, სადაც მიმიწვიეს, ასევე არ იმყოფებოდნენ აფხაზები და ოსები. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ შეიქმნას კომფორტული გარემო საქართველოს ხელისუფლებისთვის.**

**— ამის მიუხედავად, ჩვენი ხელმძღვანელობის პოზიცია უცვლელია — სანამ ტერიტორიული მთლიანობა ხელყოფილია, საქართველო რუსეთთან ერთად არ მონაწილეობს არანაირ ფორმატში, რომელშიც დასავლელი პარტნიორების მედიაცია არ არის.**

— მაინც მინდა მჯეროდეს ერთი რამ: სახელისუფლო გუნდშიც არიან ადამიანები, რომლებსაც ესმით მდგომარეობის არსი და ისინი რაღაც ფორმით შეძლებენ პოზიტიური როლის შესრულებას ქვეყნის ნორმალურ რელსებზე გადაყვანის პროცესში...

**«თუ შენი ბედი შენი მონაწილეობის გარეშე გადაწყდება და თანაც მონაწილეობაზე უარის თქმა შენი გადაწყვეტილებაა, მაშინ ყველაფერი გადაწყდება შენს საზიანოდ; ყველა მეტ-ნაკლებად მიიღებს თავისას შენი ინტერესების ხარჯზე. სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია ხაზს უსვამს, ეს არის ფორმატი «3+3» და იქ სეპარატისტული რეგიონების ხსენებაც არ არის, ბევრ რამეზე მეტყველებს»**

ესაუბრა **ჟაბა ჟვანია**

„ის მცირე მასშტაბის ფაშიზმი, რომელიც მხოლოდ საქართველოს შეეხო, განსხვავებით გერმანული ფაშიზმისგან, არ აინტერესებთ და იმას კი არ ამბობენ, სამართლებრივი შეფასებაა საჭიროო, რასაც აუცილებლად იტყოდნენ, ეს მოვლენა ევროპის სივრცეში რომ მომხდარიყო. არა, გვეუბნებიან: „დაასრულეთ პოლარიცაზია“. კი ბატონო, ყველა ვთანხმდებით, რომ ამ რეალობაში ყოფნა საზიანოა ქვეყნისთვის და ეს უნდა დასრულდეს, მაგრამ დასრულდეს დამნაშავეებთან თანამშრომლობით? მკვლელების, ადამიანების გამაუპატიურებლებისა და რეჟიმის შემოქმედების დატოვებით პოლიტიკურ ავანგარდში?!“

პროცესების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# ისტორიამ არ იცის სახელმწიფო დამნაშავეებთან ერისა და ქვეყნის შერიგების პრეცედენტი

**10 დეკემბერს სალომე ზურაბიშვილის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით გამართულ „დემოკრატიის სამიტზე“ წარმოთქმულ სიტყვას, რომ „უახლესი ისტორიის საერთო აღქმის მისაღწევად“ ინკლუზიურ პროცესს წამოიწყებს“, რომელიც პოლარიზაციის გადასაჭრელად აუცილებელია, მიხეილ სააკაშვილი მყისვე გამოეხმაურა ახალი იდეითა და ინიციატივით. წერილში, რომელიც გორის სამხედრო ჰოსპიტლის „პაციენტმა“ სამიტის მეორე დღეს, 11 დეკემბერს, სოციალურ ქსელში გაავრცელა, აღნიშნულია, რომ კარგი იქნება, თუ უახლოეს დღეებში ჰოსპიტალში სამი პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართება.**

**სააკაშვილის** შეფასებით, **მარგველაშვილისა** და **ზურაბიშვილის** მასთან შეხვედრა დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ყველანაირი მცდელობა, პოლიტიკური „უმცირესობის მიერ უმრავლესობა დაიჩაგროს, ატარებს სამოქალაქო დაპირისპირების უზარმაზარ საფრთხეს...“ წერილში ასევე ნახსენებია შერიგება და „წარსულზე საუბრის აუცილებლობა“, თუმცა ექსპრეზიდენტი იქვე დასძენს, რომ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს არა სასამართლო პროცესით, არამედ ე.წ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოდელით, სადაც თავის დროზე სამართლისა და შერიგების ცნობილი კომისია შეიქმნა. „ჩემი ხედვით, საუკეთესო ფორმატი ამ მხრივ ე.წ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოდელია, სადაც შეიქმნა სამართლის და შერიგების კომისია. თუმცა, ამ ფორმატში ერთი მხარე გისოსებიდან და პროკურორების თანდასწრებით კი არ საუბრობს, არამედ საჭიროა, ყველანი მივუსხდეთ მრგვალ მაგიდას და ერთად ვისაუბროთ წარსულზე და, რაც მთავარია, ჩვენი სამშობლოს ევროატლანტიკურ დემოკრატიულ მომავალზე და ჩვენი ხალხის ღირსეულ და უსაფრთხო ცხოვრების პირობებზე“, — ბრძანა სააკაშვილმა. ის, რომ უმძიმესი სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული და ბრალდებული ექსპრეზიდენტი მისი საქმის წმინდა სამართლებრივი გზით გადაწყვეტას არ მიესალმება, სიახლე არ არის, ეს იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ იდეა „სამი პრეზიდენტის შეხვედრის აუცილებლობაზე“ ნამდვილად ახალია. იგი რამდენიმე დღის წინათ ექსპრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა წამოაყენა და შემდგომ ამ იდეას ბევრი შეფასება მოჰყვა როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების რიგებიდან.

**რას ემსახურება იდეა მარგველაშვილ-ზურაბიშვილ-სააკაშვილის პოლიტიკური ტრიოს შეხვედრის შესახებ და რას ნიშნავს მოქმედი პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ინკლუზიური პროცესის დაწყებაზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი, უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, რამდენიმე დღის წინათ სალომე ზურაბიშვილის მიერ „დემოკრატიის სამიტზე“ გაკეთებულ განცხადებას, რომ „უახლესი ისტორიის საერთო აღქმის მისაღწევად“ ინკლუზიურ პროცესს წამოიწყებს, სააკაშვილი წერილით გამოეხმაურა და განაცხადა, რომ აუცილებელია სამი პრეზიდენტის შეხვედრა. წერილში მან ე.წ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოდელი ახსენა, სადაც თავის დროზე სამართლისა და შერიგების კომისია შეიქმნა... მოდი, ჯერ პრეზიდენტის განცხადება განვუმარტოთ საზოგადოებას, რას ნიშნავს „ინკლუზიური პროცესის დაწყება“ და შემდეგ სააკაშვილის გამოხმაურებაზე ვისაუბროთ.**

— სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუგებარია ჩემთვის, რას გულისხმობდა პრეზიდენტი ინკლუზიურ პროცესში და უახლესი ისტორიის ერთიან აღქმაში; გაუგებარია მით უფრო იმ ფონზე, როცა საუბარია პოლარიზაციის დასრულებაზე და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევაზე ქვეყანაში. თავის დროზე, როცა ფაშიზმი გასამართლდა, გერმანელებს რომ ეთქვათ, ისტორიის ერთიანი აღქმისთვის ინკლუზიური პროცესი უნდა დაიწყოსო, როგორ ფიქრობთ, რა თვალით შეხედავდა ამას მსოფლიო? მგონი, გასაგებია... ახლა რა ხდება ჩვენთან. ყველაფერი ძალიან მარტივია და ხელისგულზე დევს — ხდება ის, რომ **ის მცირე მასშტაბის ფაშიზმი, რომელიც მხოლოდ საქართველოს შეეხო, განსხვავებით გერმანული ფაშიზმისგან, არ აინტერესებთ და იმას კი არ ამბობენ, სამართლებრივი შეფასებაა საჭიროო, რასაც აუცილებლად იტყოდნენ, ეს მოვლენა ევროპის სივრცეში რომ მომხდარიყო. არა, გვეუბნებიან: „დაასრულეთ პოლარიცაზია“. კი ბატონო, ყველა ვთანხმდებით, რომ ამ რეალობაში ყოფნა საზიანოა ქვეყნისთვის და ეს უნდა დასრულდეს, მაგრამ დასრულდეს დამნაშავეებთან თანამშრომლობით? მკვლელების, ადამიანების გამაუპატიურებლების და რეჟიმის შემოქმედების დატოვებით პოლიტიკურ ავანგარდში?!**

«ჰკითხონ ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების მშობლებს, ნაწამებ, გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრება წაართვეს, მიუტევებენ თუ არა და, თუ პასუხი იქნება დადებითი, რაც ვერ წარმომიდგენია, მერე, კი ბატონო, ილაპარაკონ შერიგებაზე. აი, ასეთია რეალობა და ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მარგველაშვილებისა თუ ზურაბიშვილების გადასაწყვეტი... ისე, კარგი იქნება, ხელისუფლებაშიც თუ მიხვდებიან, რომ კომპრომისებზე წასვლა კრიმინალებთან კარგს არაფერს მოუტანთ»

რაც შეეხება **მარგველაშვილის** განცხადებას მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც მაშინვე აიტაცა **სააკაშვილმა** და ახლა წერილს წერილზე გზავნის გორდიან. ამ თემაზე, პირველი, რაც მინდა, ვთქვა, არის ის, რომ **მარგველაშვილის ნააზრევი არ მგონია ეს. მას აშკარად ათქმევინეს ეს იდეა, რომ მერე სააკაშვილს განეგრძო ამაზე გარკვეული სპეკულაციები.** მეორე — შერიგებასა და მრგვალ მაგიდაზე რომ ლაპარაკობენ, ვეკითხები ბატონ მარგველაშვილს ან **სალომე ზურაბიშვილს,** დამნაშავე უნდა შეურიგდეს იმ ადამიანებს, რომელთა ოჯახებიც გაანადგურა?! არ ფიქრობთ, რომ საკითხის ასე დაყენება, სულ ცოტა, შეურაცხყოფაა იმ ადამიანების?! ჯერ ერთი, შერიგება რას ჰქვია, დამნაშავეს შეიძლება მიუტევო, მაგრამ როგორ უნდა შეურიგდეს სააკაშვილს, მაგალითად, **ბუტა რობაქიძის** ოჯახი ან **სერგო თეთრაძის, სანდრო გირგვლიანისა** და სხვათა ოჯახები?!

**— რა მიზანს ემსახურება მსგავსი განცხადებები? შერიგების შესახებ განცხადებებს ვგულისხმობ.**

— მიზანი არის ორი: პირველი ის, რომ საზოგადოებაში მუდმივად იყოს შიში და პანიკა: არიქა, ხომ არ ბრუნდება ნაცრეჟიმი; და მეორე — ხალხი მუდმივად იყოს გალიზიანებული. რას იღებენ ამით? მარტივ რამეს — ერთიცა და მეორეც — **„ოცნებაც“ და „ნაცმოძრაობაც“ ინარჩუნებენ პოლიტიკურ დღის წესრიგზე კონტროლს. აი, ეს არის ის, რაც ამ ადამიანებს პრაქტიკულად ერთ ხმაში ალაპარაკებს, რომ პოლარიზაცია უნდა დასრულდეს. კი ბატონო, დასრულდეს, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ დამნაშავე გმირად გამოცხადდეს და მისი პოლიტიკური გუნდი რაღაც მზაკვრული ფორმით, რასაც ესენი კოალიციურ მთავრობას ეძახიან, დაბრუნდეს ძალაუფლების სათავეში. ჩვენ თუ ერი ვართ და სახელმწიფო, მაშინ საკითხის ასე დაყენება ვერავინ ვერ უნდა გაბედოს...**

**— პროკურორმა ლევან ვეფხვაძემ რამდენიმე დღის წინათ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სააკაშვილს საქართველოში დანაშაულებრივი გზით შემოსვლაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი ლორთქიფანიძე დაეხმარა. სხვათა შორის, მისი სახელი 2011 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევაშიც ფიგურირებს... რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რეჟიმის ყოფილ მაღალჩინოსნებს ისევ აქვთ ქვეყანაში გარკვეული გავლენა და მათ თავისუფლად შეუძლიათ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთაში დახმარების გაწევა ძებნილი პირისთვის?**

— რაზე მიუთითებს და ძალიან მარტივ რამეზე: **სისტემა გატენილია რეჟიმის ძველი მსახურებით და ეს ხალხი ისევ განაგრძობს თავის საქმიანობას — თვალთვალს, მიყურადებას და ა.შ. ხელისუფლებას თუ მართლა უნდა, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა იყოს, მაშინ შერიგებასა და რაღაც ინკლუზიურ პროცესებზე კი არ უნდა ილაპარაკოს, პირველ რიგში უნდა მიხედოს სისტემას. ვერ იქნება ვერანაირი სიმშვიდე, სანამ ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ, აშინებდნენ, ატერორებდნენ და ვინ იცის, კიდევ რამდენ სიბინძურეს სჩადიოდნენ, ისევ ინარჩუნებენ გავლენას ძალოვან სტრუქტურებში.**

რაც შეეხება ისევ მარგველაშვილსა და მის წინადადებას სალომე ზურაბიშვილთან ერთად სააკაშვილთან შეხვედრის აუცილებლობაზე, ვიტყვი იმას, რომ ივანიშვილმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა **გია ხუხაშვილის** რეკომენდაციით, პრეზიდენტად დანიშნა ეს ადამიანი, თუმცა **მარგველაშვილისგან არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილს მოუწოდებს, დამნაშავესთან მისვლისა და მასთან ქვეყნის მომავალზე მსჯელობისკენ, ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...**

**— თქვენი აზრით, არ უნდა მივიდეს ზურაბიშვილი სააკაშვილთან?**

— დამნაშავესთან, რა თქმა უნდა, შეიძლება მისვლა, შეიძლება მისი საჭიროებების მოსმენა და გათვალისწინებაც, იმიტომ, რომ დამნაშავესაც აქვს უფლებები, მაგრამ, სალომე ზურაბიშვილის მისვლა კონკრეტულად სააკაშვილთან, რომელიც ჩვეულებრივი კრიმინალი კი არ არის, არამედ დანაშაულებრივ სისტემას ქმნიდა მიზანმიმართულად, კატეგორიულად მიუღებელია. ეს არის დაუშვებელი და პრეზიდენტი ამას უნდა ხვდებოდეს, იმიტომ, რომ ამ ადამიანმა რაღაც დანაშაულები კი არ ჩაიდინა, არამედ ჩაიდინა ტოტალური ბოროტებები და მისი დანაშაულებრივი სისტემა შეეხო სრულიად ერს. რაც შეეხება ისევ შერიგებას და ყბადაღებული პოლარიზაციის მოგვარების გზებს, **ცივილიზებული სამყაროს ისტორიამ, რომლისკენაც ვისწრაფვით, არ იცის პრეცედენტი, როცა ერი და სახელმწიფო შეურიგდა დამნაშავეებს. ისტორიამ იცის მხოლოდ რეჟიმების გასამართლება და შემდეგ სწორი ანალიზის საფუძველზე მოვლენათა შესწავლა, რათა აღარასოდეს განმეორდეს იგივე.** ეს ერთი და მეორე — თუ ვინმეს უნდა, დამნაშავეების მიმართ კანონი შერბილდეს, მაშინ, უწინარესად, ეს უნდა ჰკითხოს მსხვერპლს. ჰკითხონ ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების მშობლებს, ნაწამებ, გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრება წაართვეს, მიუტევებენ თუ არა და, თუ პასუხი იქნება დადებითი, რაც ვერ წარმომიდგენია, მერე, კი ბატონო, ილაპარაკონ შერიგებაზე. აი, ასეთია რეალობა და ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მარგველაშვილებისა თუ ზურაბიშვილების გადასაწყვეტი... ისე, კარგი იქნება, ხელისუფლებაშიც თუ მიხვდებიან, რომ კომპრომისებზე წასვლა კრიმინალებთან კარგს არაფერს მოუტანთ.

კომპრომისი იყო სააკაშვილის გადაყვანა გორის ჰოსპიტალში. გორში კი არ უნდა ჰყავდეთ და კი არ უნდა ეფერებოდნენ, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კანონმდებლობის შესაბამისად კი სააკაშვილი არის დამნაშავე და უნდა იხდიდეს სასჯელს, ისევე, როგორც იხდის ათასობით პატიმარი ჩვეულებრივ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში...

სისტემა გატენილია რეჟიმის ძველი მსახურებით და ეს ხალხი ისევ განაგრძობს თავის საქმიანობას — თვალთვალს, მიყურადებას და ა.შ. ხელისუფლებას თუ მართლა უნდა, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა იყოს, მაშინ შერიგებასა და რაღაც ინკლუზიურ პროცესებზე კი არ უნდა ილაპარაკოს, პირველ რიგში უნდა მიხედოს სისტემას. ვერ იქნება ვერანაირი სიმშვიდე, სანამ ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ, აშინებდნენ, ატერორებდნენ და ვინ იცის, კიდევ რამდენ სიბინძურეს სჩადიოდნენ, ისევ ინარჩუნებენ გავლენას ძალოვან სტრუქტურებში

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საგარეო ორიენტირები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ხორბლის გაძვირების გამო უკვე გაჩერდა ათამდე წისქვილკომბინატი და მოიმატა ქატოს ფასმაც, რადგან არ არის ხორბალი — არ არის ქატო. ათჯერ შემცირდა ხორბლის შემოტანა და ექვსჯერ მოიმატა ფქვილის შემოტანამ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნელ-ნელა ყველა წისქვილკომბინატი გაჩერდება და მთლიანად დამოკიდებული ვიქნებით შემოტანილ პურის ფქვილზე, ასევე, სრულად შემოვიტანთ ქატოს, რაც ავტომატურად გააძვირებს ხორცპროდუქტებსა და ქათმის კვერცხს.**

# ხორბალი, ფქვილი, რუსეთი და სახელმწიფოს ინტერესები

## საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს, ეკონომიკა პოლიტიკას დაუქვემდებაროს



**რუსეთიდან შემოგვაქვს პრაქტიკულად ყველაფერი (ენერგომატარებლებზე რომ არაფერი ვთქვათ) და მათ შორის მთავარი — პურის ფქვილი. არავინ გამოჩნდა ხელისუფლებაში ისეთი, ვინც ხმამაღლა და გარკვევით იტყვის, რომ რუსეთთან კონკრეტული მიმართულებებით საუბარი უნდა დავიწყოთ და ეს აუცილებლად იქნება შეღავათი როგორც ქვეყნის ბიუჯეტისთვის, ისე მოსახლეობისთვის. საქმე რამდენიმე ასეულ მილიონს ეხება, რაც წლის ბოლოს სერიოზულ ეკონომიკურ ბიძგს მოგვცემს და ეკონომიკური მაჩვენებელი რეალურად აიწევა და არამხოლოდ ქაღალდზე**

**8 დეკემბრიდან რუსეთში ხორბლის საექსპორტო გადასახადი 80,8-დან 84,9 დოლარამდე მოიმატებს. საექსპორტო გადასახადი მარცვლეულის საინდიფიკაციო ფასებით არის განპირობებული, რომელიც 1 ტონა ხორბალზე 321,3 დოლარს (1 კვირით ადრე — 315,5 დოლარი) შეადგენს. ცნობისთვის: მარცვლეული კულტურების ექსპორტზე რუსეთმა მცურავი ბაჟი მიმდინარე წლის 2 ივნისიდან აამოქმედა, რომელიც ყოველკვირეულად მოსკოვის ბირჟაზე მარცვლეულზე დაწესებული ღირებულების საფუძველზე განისაზღვრება. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი არ მცირდება და ზამთრის პერიოდის გათვალისწინებით არც შემცირდება, ხორბლის გაძვირებას კიდევ უნდა ველოდოთ.**

2021 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველომ 78,6 მლნ დოლარის ღირებულების ხორბალი და მესლინი შეიძინა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამტკიცებს, ასი პროცენტით რუსეთზე დამოკიდებული აღარ ვართ, ხორბალი სხვადასხვა ქვეყნიდან შემოგვაქვსო, და რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ. ამიტომ იმ ქვეყნების სრულ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, რომლებიდანაც ხორბალი შემოგვაქვს, და რამდენი გვაქვს გადახდილი. მაშ ასე: **აშშ**-დან — 4,6 მლნ დოლარის ხორბალი შევიძინეთ, **ყაზახეთიდან** — 569 ათასი დოლარის, **სომხეთიდან** — 121,3 ათასი დოლარის, **ავსტრიიდან** — 49,5 ათასი დოლარის, **თურქეთიდან — 40,2** ათასი დოლარის, **საბერძნეთიდან** — 38,8 ათასი დოლარის, **სლოვაკეთიდან** — 28,2 ათასი დოლარის, **უკრაინიდან** — 12,3 ათასი დოლარის, **საფრანგეთიდან** — 4,3 ათასი დოლარის, **გერმანიიდან** — 1 ათასი დოლარის... **რუსეთიდან** — 73,1 მილიონი დოლარის. **ათ ქვეყანას ხორბალში გადავუხადეთ 5,5 მილიონი, ხოლო რუსეთს – 73,1 მილიონი და ამას თუ სხვა ქვეყანაზე დამოკიდებულება აღარ ჰქვია, არ ვიცი.**

საქართველოში ხორბლის გაძვირების გამო უკვე გაჩერდა ათამდე წისქვილკომბინატი და მოიმატა ქატოს ფასმაც, რადგან არ არის ხორბალი — არ არის ქატო. ათჯერ შემცირდა ხორბლის შემოტანა და ექვსჯერ მოიმატა ფქვილის შემოტანამ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნელ-ნელა ყველა წისქვილკომბინატი გაჩერდება და მთლიანად დამოკიდებული ვიქნებით შემოტანილ პურის ფქვილზე; ასევე, სრულად შემოვიტანთ ქატოს. ეს კი ავტომატურად გააძვირებს ხორცპროდუქტებსა და ქათმის კვერცხს.

თუ აკვირდებით, მას შემდეგ, რაც **მიხეილ სააკაშვილი** გამოჩნდა საქართველოში და ციხეში ჩასვეს, როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია ცდილობს, ყურადღების ცენტრში სწორედ ყოფილი პრეზიდენტი იყოს. **სააკაშვილის შიმშილობამ თუ მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა გადაფარა ქვეყანაში არსებული პრობლემები. ეს კი პოლიტიკოსების ორივე მხარეს აძლევს ხელს: ხელისუფლებას იმიტომ, რომ სააკაშვილის სახელს უკავშირებს ყველა იმ წარუმატებლობას, რომლებიც ქვეყანას ჰქონდა თუ აქვს, ახსენებს ძალადობას ამომრჩეველს; ხოლო ოპოზიცია სააკაშვილის თემით ფარავს იმას, რომ რეალურად მხარდამჭერთა რაოდენობა იმაზე გაცილებით მცირეა, ვიდრე წარმოჩენას ცდილობენ, ანუ ოპოზიციას არ აქვს ადამიანური რესურსი და რომ არა მიშას თემა, ისინი კარგა ხნის დავიწყებული ეყოლებოდა ყველას.**

ბოლო ორი ათეული წელია, საქართველოში ცუდი პრაქტიკა დამკვიდრდა. ერთი პრობლემის გადაფარვას უფრო დიდი პრობლემის წამოწევით ცდილობენ და, სამწუხაროდ, ეს მეთოდი დღემდე ამართლებს. მოსახლეობას ის უფრო აინტერესებს, რას ჭამს ან არ ჭამს მესამე პრეზიდენტი, ვიდრე ის, რას ჭამს ან არ ჭამს თვითონ. პარალელურად, შევეჩვიეთ იმას, რომ ხელისუფლება ჩვენივე ფულით გვეხმარება და ტაშს ვუკრავთ. მაგალითად, **მთავრობა აფინანსებს პურის დიდ საცხობებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადში, ანუ ცოტა ხნის წინათ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი რომ გაძვირდა კომერციული ობიექტებისთვის, არ გაძვირებულა პურის საცხობებისთვის და ამ ნამატს სახელმწიფო უხდის კომპანიებს. უხდის იმ ბიუჯეტიდან, რომელსაც ჩვენ ვავსებთ. ე.ი., ჩვენ მიერ გადახდილი ფულით არ გვიძვირებს პურს, მაგრამ ეს ფული აკლდება სოციალურ პროგრამებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, პენსიებს, ხელფასებს...** პრინციპში, ხელფასებზე ხმამაღლა ნათქვამი გამოგვივიდა — სამუშაო არ არის და რა ხელფასები?! სამაგიეროდ, თვითონ არ იკლებენ და აგერ 1 იანვრიდანაც მოიმატებენ სახელმწიფო მოხელეები ჯამაგირს. ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ისიც იციან, რომ ბევრ რამეზე სუბსიდიის გაღება ერთადერთი მიზეზის გამო უწევს ქვეყანას — მოსახლეობაა გადახდისუუნარო, ანუ ხალხს ფული არ აქვს. სამაგიეროდ, სახელმწიფო ამბობს: მე მაქვს ფული, მე გადავიხდიო, თუმცა ის ფულიც ჩვენია და ჩვენივე ფულით სუბსიდირებულ პროდუქტებში მადლობას გვახდევინებენ. ამ პირობებში ცოტა არ იყოს, გაუგებარია ის ჰონორი, რომლითაც რუსეთს ველაპარაკებით. **რუსეთიდან შემოგვაქვს, პრაქტიკულად, ყველაფერი (ენერგომატარებლებზე რომ არაფერი ვთქვათ) და მათ შორის მთავარი — პურის ფქვილი. არავინ გამოჩნდა ხელისუფლებაში ისეთი, ვინც ხმამაღლა და გარკვევით იტყვის, რომ რუსეთთან კონკრეტული მიმართულებებით საუბარი უნდა დავიწყოთ და ეს აუცილებლად იქნება შეღავათი როგორც ქვეყნის ბიუჯეტისთვის, ისე მოსახლეობისთვის. საქმე რამდენიმე ასეულ მილიონს ეხება, რაც წლის ბოლოს სერიოზულ ეკონომიკურ ბიძგს მოგვცემს და ეკონომიკური მაჩვენებელი რეალურად აიწევა და არამხოლოდ ქაღალდზე, მაგრამ...** ესეც ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციაა. თუ რომელიმე პოლიტიკოსი გაბედავს და იტყვის, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, ის მაშინვე ხდება კრიტიკის ობიექტი, რაც მთავარია, ქვეყნის მოღალატეს უწოდებენ და ჯვარზე აკრავენ. ამით პოლიტიკოსები დასავლეთთან იწერენ ქულებს, არასამთავრობოები დონორებს მიანიშნებენ, — რუსეთთან მებრძოლები ვართ და დაფინანსება გაგვიზარდეთო; და საბოლოოდ, პოლიტიკოსს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრიან ხოლმე. შემდეგ, როცა იგივე პოლიტიკოსი სხვა მიმართულებით აკეთებს განცხადებას, მას მაშინვე წამოაძახებენ: შენ ის არ ხარ, რუსეთთან დიალოგი რომ გსურდა, ქვეყანას რომ უღალატეო?! **ჰოდა, ასეთ პირობებში, როცა ერი შიმშილობს, საუბრის მთავარი თემა არის ის, სააკაშვილმა მხოლოდ არაჟანთან ერთად იმგზავრა თუ კონტეინერში კარაქი და მაწონიც იდო. იმასაც ვარკვევთ, მიშა ფაფებს რომ იღებდა, ხბოს ღვიძლი ერია თუ ბატკნის და მართლა 18 კილო დაიკლო თუ 20-მდე ავიდა. არადა, რაც სააკაშვილს შეაჭამეს თუ საკუთარი ნებით ჭამდა, ბავშვების საკვებია და საქართველოს ბავშვების უდიდეს ნაწილს გასინჯულიც არ აქვს და ვერც გასინჯავს, იმიტომ, რომ ძალიან ძვირია,** მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს, რადგან ბავშვების შიმშილობის თემა მტკივნეული და სათუთია. გაერომ დაწერა, რომ ჩვენთან 75 ათასზე მეტი ბავშვი შესაბამის საკვებს ვერ იღებს (რეალურად, ეს რაოდენობა გაცილებით მეტია) და **სად სცალიათ ბავშვებისთვის, როცა მთავარი თემა ის არის, რა პერიოდულობით გადის კუჭში ექს-პრეზიდენტი...**

როგორც სპეციალისტები ამბობენ, გლობალური დათბობის გამო, უკვე მომავალ წელს მსოფლიოს მთავარ მიმწოდებლებს ხორბლის სახაბიელო მოსავალი არ ექნებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორბალი უფრო გაძვირდება. წესითა და რიგით, **საქართველოს ეკონომიკურმა გუნდმა უნდა მოიფიქროს რამე, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსახლეობას, სულ ცოტა, იმავე ფასში შეიძინოს მთავარი საკვები პროდუქტი, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული რუსეთთან, რადგან სხვაგვარად პურის ფქვილის შემოტანა ვერ ხერხდება და აგერ, ამერიკამ შესაძლებლობების ზღვრამდე რომ „მოგვაქცია ყურადღება“, 4,6 მილიონ დოლარზე მეტი ხორბალი ფიზიკურად ვერ მოგვაწოდა.** თანაც, ამერიკიდან შემოტანილ ხორბალს გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე რუსეთიდან შემოტანილს. **უნდა შეიგნოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ეკონომიკურ მიმართულებებზე საუბარი არ არის ქვეყნის ღალატი და ამას აკეთებს ყველა. იგივე ამერიკა სავაჭრო ურთიერთობებს არ ურევს პოლიტიკაში და რუსეთთან აქვს გაჩაღებული ალებ-მიცემობა და ეს ნორმად ითვლება. საქართველო ერთადერთი (ჰო, ერთადერთი და არა ერთ-ერთი) ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ცდილობს, ეკონომიკა პოლიტიკას დაუქვემდებაროს. იგივე უკრაინა, რომელზეც ამბობენ, რომ დღე-დღეზე შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაებმება რუსეთთანო, ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობებს აწარმოებს,** მთავრობის წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან, გრძელვადიან ხელშეკრულებებს დებენ. რატომ? იმიტომ, რომ მოსახლეობა არ დაიმშეს, იმიტომ, რომ პოლიტიკური ამბიციების გამო შიმშილობა არ დაიწყოს ქვეყანაში. ამას ხვდება ყველა და ვერ ვხვდებით ჩვენ?! ჩვენც გადასარევად ვხვდებით, უბრალოდ, ამის ნებას არ გვაძლევენ და **ის, ვინც გვიკრძალავს, ჩვენზე ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ბატონობს.** როცა საქმე ქვეყნის ინტერესს ეხება, ყველა სახელმწიფო პირველ ადგილზე სწორედ ქვეყნის ინტერესს აყენებს. აი, ჩვენთან კიდევ იმას ფიქრობენ, რა ესიმოვნება ან ეწყინება დასავლეთს; იმ დასავლეთს, რომელმაც არაერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველო და მისი მსგავსი ქვეყნები მათთვის მხოლოდ იმიტომ არიან საინტერესო, რომ გავლენის სფეროები გაიფართოვონ და რუსეთს შეუტიონ. დაახლოებით ისეა, არჩევნების წინ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთკაციან პარტიებს რომ აერთიანებს ხოლმე საკუთარი ფრთის ქვეშ და გადაწყვეტილებებს თვითონ იღებს, მსოფლიოს კი ეუბნება: ბევრნი ვართ, ეს ჩვენი ოპოზიციური ერთობააო. სინამდვილეში კი ამ პარტიებს არავინ არაფერს ეკითხება, ანუ ზუსტად ისე, როგორც ჩვენ.

**ბესო ბარბაქაძე**

**ხელისუფლება, სავარაუდოდ, ვერც იმას ხვდება, რომ, პოლიტიკური კი არა, სოციალური აფეთქება თუ მოადგება კარს, ვერაფერს შეცვლის. დამშეული ხალხის შეჩერება შეუძლებელია და სწორედ დამშეულმა ხალხმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალებები, რომლებიც ისტორიაში სასტიკ რევოლუციებად შევიდა.**

შიმშილის ზღვარზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რიგითი ადამიანების საცხოვრებლებში მაცივარი გამოაღეთ და ეკონომიკურ ზრდაზე იქ არსებული პროდუქტების მიხედვით იმსჯელეთ, ბატონებო!

# ხელისუფლებამ ზღვარი გაავლო ნდობასა და კუჭს შორის

**დაიწყო ზამთარი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ველარ იქნება დამოკიდებული ბაღჩეულსა და ბოსტნეულზე, რადგან მათ სისხლის ფასი დაედო და ველარ შეიძენენ, ამიტომ ამჟამად მთავარი საკვები პროდუქტი ბურღულეული და კარტოფილია (თავზსა და ხორცზე ბევრი, უბრალოდ, ვერც ოცნებობს). წესითა და რიგით, კარტოფილი ქართულ ბაზარზე იაფი უნდა ღირდეს და, ყველაზე ცოტა, დეკემბრის ბოლომდე საკუთარი მოსავალი უნდა გვყოფნიდეს, მაგრამ ასე არ ხდება.**

ქართული კარტოფილი (ახალციხესა და სვანეთში მოწეული) მოსავლის აღებიდან ორ კვირაში თურქეთისა და ირანის დახლებზე დევს, არაბეთშიც... ეს იმიტომ, რომ აქაური კარტოფილი (განსაკუთრებით სვანური) ქიმიკატების გარეშე არის მოყვანილი და, მაგალითად, თურქეთში კილოგრამი 3 ევროზე მეტი ღირს, არაბეთში მისი ფასი 7 დოლარიდან იწყება, ადგილზე კი, საუკეთესო შემთხვევაში, 1,50 ლარად იყიდება. როცა საქართველოდან კარტოფილს გაიტანენ, თურქი და ირანელი ბიზნესმენები უკვე თავის ქვეყნიდან ეზიდებიან იმავე პროდუქტს, ოღონდ გაცილებით იაფად და ლოგიკურ კითხვაზე, რატომ არის იქაური კარტოფილი უფრო იაფი, პასუხიც ლოგიკურია — **იქ სპეციალური შხამ-ქიმიკატების გამოყენებით ჰექტარზე სამჯერ და ოთხჯერ მეტ მოსავალს იღებენ, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. იგივე ითქმის ხახვზე, ნიორზე... იმის დასამტკიცებლად, რომ შემოტანილი ნიორი რაღაც ჰიბრიდია და არაფრად ვარგა, მარტივი ექსპერიმენტი ჩაატარეთ — ნივრის კბილი ჩარგეთ მიწაში და ნახავთ, რომ არ ამოვა. ანუ, ჩანასახიც კი მკვდარი აქვს და რა სარგებლის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის ასეთ ნიორს, როცა სარგებელი საკუთარი თავისთვისაც ვერ მოაქვს, თავად განსაჯეთ.**

არაერთხელ დაგვიწერია, რომ საქართველოში სამაცივრე მეურნეობის მოწყობა აუცილებელია. ვიცით, რომ ეს არ არის იაფი სიამოვნება, არ არის მარტივი გასაკეთებელი საქმე, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელია. **სამაცივრე მეურნეობაში შენახული ის მცირე პროდუქტიც კი, რომელიც საქართველოში მოგვყავს, ზამთრის პერიოდში მოსახლეობას უდიდეს შეღავათს მისცემს. თავად განსაჯეთ — ზაფხულში საქართველოდან ათეულობით ტონა ვაშლი და ვაშლატამა გადის. წელს იყო მხოლოდ, როცა რუსეთმა ვაშლატამაზე მოთხოვნა გაზარდა და კილოგრამში 4 ლარამდე იხდიდა, თორემ მანამდე 50 თეთრადაც კი სახვეწარი იყო.** ვაშლის ფასი არ იყო ასეთი მაღალი და ლარად გავიტანეთ. გამოვიდა ისე, რომ, ჯამში, გლეხებმა იხეირეს, მაგრამ ეს პროდუქტი საზღვარგარეთ რომ არ გასულიყო და დარჩენილიყო საქართველოს სამაცივრე მეურნეობებში, ახლა მისი ფასი ოთხჯერ მეტი იქნებოდა, ოთხჯერ მეტ შემოსავალს მიიღებდა ის გლეხი და ადგილზეც იმაზე იაფი იქნებოდა, ვიდრე შემოტანილი პროდუქტი. **ნახევარი საქართველო იცინის ხოლმე ზამთარში ალუჩის ფასზე, რომელიც ხშირად ას ლარს სცდება და აზერბაიჯანიდან შემოგვაქვს. იქ ალუჩას სამაცივრე მეურნეობებში ინახავენ, სეზონზე 3-4 ლარად ყიდულობენ და შემდეგ ზამთარში 25-ჯერ ძვირად ყიდიან.**

**დღეს საქართველოში არ არსებობს არაფრის მარაგი, გარდა მინერალური წყლებისა. საუბარი არ არის მალფუჭებად პროდუქტებზე, რომლებსაც საწყობში ვერ შევინახავთ. ჩვენ არ (აღარ) გვაქვს ხორბლის მარაგი (სიძვირის გამო), არ გვაქვს ფქვილის მარაგი (მალე ფუჭდება), არ გვაქვს ხილისა და ბაღჩეულის მარაგი (სამაცივრე მეურნეობების არარსებობის გამო) და გვაქვს მხოლოდ ორი კვირის სამყოფი ბურღულეული.** ზამთარში ისეთი თოვლი რომ მოვიდეს, ლარსის გამშვებ პუნქტამდე ორი კვირის განმავლობაში მისვლა ველარ მოხერხდეს, შიმშილი დაგვემუქრება, რადგან ფქვილს ვერ შემოვიტანთ ან შემოვიტანთ ფრენით, რაც პურის ფასს საგრძნობლად გაზრდის. ერთადერთი, რაც მარაგში გვაქვს და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გვექნება, მინერალური წყლებია, რომლებსაც დიდი რაოდენობით ვაწარმოებთ, მაგრამ სამწუხაროდ, წყალს ადამიანის დანაყრება არ შეუძლია.

ორი ვარიანტია — ან ხელისუფლებამ არ იცის საფრთხის შესახებ, ან იცის და ვერაფერს აკეთებს. ორივე შემთხვევაში მდგომარეობა სავალალოა. ამ ვითარების ფონზე, დიდია იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყოს. საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი სანქციების გათვალისწინებით, ასევე დიდია იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთმა ხორბლის საჭიროზე მეტი მარაგი შექმნას და პურისთვის საჭირო პროდუქტი, უბრალოდ, არ გაყიდოს. **ალტერნატივა რომ არ გვაქვს, თავადაც ხვდებით და, თუ ვინმე იმას ფიქრობს, რომ რუსეთი სხვა ქვეყნის ინტერესს საკუთარზე მაღლა დააყენებს, ძალიან შემცდარა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს „რუსული რულეტკის" თამაშს და არავინ იცის, როდის გავარდება საბედისწერო ტყვია.** სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი გვამშვიდებს, ყველაფრის მარაგი არის, თანაც, სულ ცოტა, ორი თვისო და ეს არის ტყუილი. შეუძლებელია, ორი თვის მარაგი იყოს თუნდაც პურის ფქვილის, რადგან ამ ოდენობით და ამდენ ხანს საქართველოში ფქვილს ვერ შევინახავთ. შეუძლებელია, ეს მარაგი გვქონდეს კარტოფილისა და ხახვის და სწორედ ამიტომ ირანიდან და თურქეთიდან ყოველდღიურად შემოდის (ცალკე თემაა, როგორი ხარისხის შემოდის და როგორ მოწმდება). შეთქმულების თეორიების ნაკლებად გვჯერა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ათწლეულში მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მეტად საკვები პროდუქტები გაძვირდა, ფასების რეგულირებასა და მოთხოვნის შემცირებას უკავშირებენ კორონავირუსს და იმ უმართავ პროცესებს, რომლებიც მას სდევს. სწორედ უმართავ პროცესებს, რადგან კვარტალში ერთხელ ახალი შტამის გამოჩენასა და სიკვდილის შემთხვევების მატებას თითქოს ვერაფერს უხერხებენ ვერც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია და ვერც ცალკეული ქვეყნები. საქართველოში ამ მიმართულებით რა მდგომარეობაც არის, კი ვხედავთ და უკეთესი არც სხვაგან ხდება.

ასეთ პირობებში **ხელისუფლებას, დიდი ხანია, რამე გეგმა უნდა ჰქონდეს, კონკრეტული სტრატეგია, რას ვაკეთებთ და როგორ ვიქცევით, მაგრამ ეჭვი გვაქვს, ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ევროპა და ამერიკა არ მიგვატოვებს. არადა, თუ მოვლენები იმ სცენარით განვითარდება, როგორსაც ვამბობთ, ევროპასა და ამერიკას საქართველოსთვის ნაკლებად ეცლება. ეს არაერთხელ გვინახავს და, რაც მთავარია, საქართველო კი არა, როცა დასჭირდათ, იტალია შეატოვეს მარტო პრობლემებს და შემდეგ ბოდიში მოუხადეს, — არასწორად მოვიქეცითო,** თუმცა იტალიაში ვირუსით გარდაცვლილ 130 ათასზე მეტ ადამიანს ბოდიში ვერაფერში წაადგებოდა.

ხელისუფლება, სავარაუდოდ, ვერც იმას ხვდება, რომ, პოლიტიკური კი არა, სოციალური აფეთქება თუ მოადგება კარს, ვერაფერს შეცვლის. დამშეული ხალხის შეჩერება შეუძლებელია და სწორედ დამშეულმა ხალხმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალებები, რომლებიც ისტორიაში სასტიკ რევოლუციებად შევიდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის განმავლობაში პირველად ვართ ისეთ მდგომარეობაში, როცა მართლა **შიმშილი აკაკუნებს უმრავლესობის კარზე. ასეთი რამ შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც არ ყოფილა, როცა პენსია 7 ლარი იყო, ხელფასი კი 30 და 40 ლარს იშვიათად სცდებოდა.** საახალწლოდ დაანონსებული და გაზრდილი პენსიები ზღვაში წვეთიც არ არის მკვეთრად მომატებულ ფასებთან შედარებით. სახელმწიფოს უჭირს, ძალიან უჭირს და ამ პირობებში ახალი კანონების შემოღება ისევ ხელისუფლების რეიტინგს ურტყამს. 2022 წლიდან ავტომობილებში ცეცხლმაქრი, წითელი სამკუთხედი და პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი მედიკამენტები რომ უნდა იყოს, კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ იგივე ცეცხლმაქრი და წითელი სამკუთხედი ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა პირებმა შემოიტანეს და მათგან უნდა შევიძინოთ. ამ პირობებშიც კი კლანურ-მონოპოლისტურ ხაზს ვერაფერს ვუხერხებთ და ესეც დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორია რიგითი ადამიანებისთვის.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ** მოგვიწოდა, კარგი იქნება, თუ ახალ წელს მოკრძალებულად აღვნიშნავთო. მან, სავარაუდოდ, ხალხმრავალი შეკრებები იგულისხმა და რეალურად ეს იქნება, ალბათ, ყველაზე მოკრძალებული ახალი წელი საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს სუფრაზე დასადები არაფერი ექნება. შესაძლოა, ხელისუფლებამ ისიც არ იცის, ადამიანთა გარკვეული კატეგორია მარხვას მხოლოდ იმისთვის რომ იწყებს, ახალ წელს მეზობლის არ შერცხვეს, სუფრაზე ხორცის ნასახი რომ არ ექნება. ეს არის **ზღვარი, რომელიც სწორედ ხელისუფლებამ გაავლო ნდობასა და კუჭს შორის** და ახლა იმის მტკიცება, რომ თურმე რეგიონში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, უბრალოდ, დაცინვაა. მაცივარი გამოაღეთ რიგითი ადამიანების საცხოვრებლებში და ეკონომიკურ ზრდაზე იქ არსებული პროდუქტების მიხედვით იმსჯელეთ, ბატონებო!

**ბესო ბარბაქაძე**



**დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის განმავლობაში პირველად ვართ ისეთ მდგომარეობაში, როცა შიმშილი აკაკუნებს უმრავლესობის კარზე. ასეთი რამ გასული საუკუნის 90-იან წლებშიც არ ყოფილა, როცა პენსია 7 ლარი იყო, ხელფასი კი 30 და 40 ლარს იშვიათად სცდებოდა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვერ გავიგე, ტელეეთერში გამომსვლელს რატომ ჰქონდა პრეტენზიები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნების მიმართ, თვითონ ვინ იყო და რა იცოდა სტალინზე, ასეთი სიტყვებით რომ ლანძღავდა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი ეს არაკომპეტენტური არსება, რომელიც ასე გამწარებით ცდილობდა სტალინის უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას. ოჯახის წევრებმა ამიხსნეს, რომ ის იყო ყოფილი პარლამენტარი გიორგი კანდელაკი. ვერაფრით გავიხსენე, ვინ იყო გიორგი კანდელაკი, მაგრამ ისევ შვილიშვილმა განმანათლა: ეს ის არის, ვისაც კოკა გუნცაძემ პირდაპირ ეთერში დებატებისას ჯერ სახეში წყალი შეასხა, შემდეგ კი გაულაწუნაო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №40-44, 2021 წ.

# გუნცაძის ნაცემმა პიგმეიმ გიგანტს ლანძღვა შეჰბედა

## პასუხად გიორგი კანდელაკს

**ერთხელ შინ მისულს ჩემმა 10 წლის შვილიშვილმა დათუნა ონიანმა მკითხა: — ბაბუკა, რას ნიშნავს სიტყვა კვინტესენცია? — ბაბუ, ჯერ მარტივი სიტყვები ისწავლე, კვინტესენციის სწავლას მერეც მოესწრები, — ვუპასუხე მე. მაგრამ დათუნა არ მომეშვა (მის ხასიათს უნდა იცნობდეთ). გავიფიქრე, რატომ დასჭირდა ან სად მოისმინა ეს სიტყვა-მეთქი? სიტყვის მნიშვნელობა ზუსტად არ ვიცოდი და პასუხის გაცემას ვუჭიანურებდი მიზეზით: ახლა არ მცალია, შემდეგ აგიხსნი... — არა, ბაბუ, ახლა მითხარი. სტალინს ეხება, ტელევიზორში თქვეს. — აბა, რომელ არხზე? — დავინტერესდი...**

ბავშვმა ტელევიზორი ჩართო და „ტვ პირველის“ გადაცემა „პირველი ხაზი“ მოძებნა. მერე უკან გადაახვია და გადაცემაც დაიწყო. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — ჯერ **ბიძინა ივანიშვილი** უსაფუძვლოდ ჩადეს მიწაში, შემდეგ ჯერი **სტალინზე მიდგა — „სტალინი არის მაოხრებელი გზირი... ბოროტების კვინტესენცია... მან საქართველოს მოჰპარა XX საუკუნე... მან ააშენა მეტრო და კიდევ სხვა რაღაცები, მაგრამ მერე რა?! ბოლშევიკები და საბჭოთა საქართველო იყო ბოროტება, რომლის შედეგებსაც ჯერ კიდევ ვიმკით“.** აი ფრაზები, რომლებიც მოვისმინე.

ენციკლოპედია გადმოვიღე და აი, რა წავიკითხეთ მე და დათუნამ კვინტესენციის განმარტებაში: **კვინტესენცია — (ინგ. quinta essentia — „მეხუთე არსი“) — რისამე საფუძველი, არსი; კვინტესენცია — ანტიკურ ფილოსოფიაში: მეხუთე ელემენტი (სტიქია), რომელიც უპირისპირდებოდა დანარჩენ ელემენტებს (წყალს, მიწას, ცეცხლსა და ჰაერს); კვინტესენცია — (გადატანითი მნიშვნელობით) — ექსტრაქტი, ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე არსებითი; კვინტესენცია — ბნელი ენერგიის ერთ-ერთი მოდელი.** დათუნამ ვერაფერი გაიგო განმარტებებიდან, მე კი ვერაფრით გავიგე, ტელეეთერში გამომსვლელს რატომ ჰქონდა პრეტენზიები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნების მიმართ, თვითონ ვინ იყო და რა იცოდა სტალინზე, ასეთი სიტყვებით რომ ლანძღავდა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი ეს არაკომპეტენტური არსება, რომელიც ასე გამწარებით ცდილობდა სტალინის უარყოფით კონტექსტში **მოხსენიებას.** ოჯახის წევრებმა ამიხსნეს, რომ ის იყო ყოფილი პარლამენტარი **გიორგი კანდელაკი.** ვერაფრით გავიხსენე, ვინ იყო გიორგი კანდელაკი, მაგრამ ისევ შვილიშვილმა განმანათლა: ეს ის არის, ვისაც **კოკა გუნცაძემ** პირდაპირ ეთერში დებატებისას ჯერ წყალი შეასხა სახეში, შემდეგ კი გაულაწუნაო. ეს სცენა არ მქონდა ნანახი, მაგრამ დათუნას, როგორც სხვა გასართობი ვიდეორგოლები, ტელეფონში აქვს ჩაწერილი და მყისვე მაყურებინა. ვიცანი ეს ადამიანის მოდგმის მსგავსი არსება... და რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ამ ბუზის თუ ბუზანკალის აბსურდული შეფასებების ბრალია. გიორგი კანდელაკს მის უაზრო ბრალდებებზე უნდა გავცე პასუხი, ამიტომ ჯერ მის მიერ დაყენებული საკითხების კლასიფიკაცია უნდა გავაკეთო:

**1. „სტალინი — მაოხრებელი გზირი“;**

**2. „სტალინი — ბოროტების კვინტესენცია“;**

**3. „სტალინი — ქურდი, რომელმაც საქართველოს მოჰპარა XX საუკუნე“;**

**4. „ბოლშევიზმი და საბჭოთა საქართველო, როგორც ბოროტების სიმბოლო“;**

**განვიხილოთ ეს შეფასებები ცალ-ცალკე:**

**1. სტალინი — მაოხრებელი გზირი.**

ისტორიკოსი **ვახტანგ გურული,** თავის შესანიშნავ წიგნში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ წერს: **„სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება“.**

გიორგი კანდელაკო, უინტელექტო არსებავ, რა იპოვე სტალინის ბიოგრაფიაში ისეთი, რომ მაოხრებელ გზირს შეადარე?

* დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში — **უინსტონ ჩერჩილი** წერდა: **„მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს. მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, მხოლოდ რუსეთს კი არა, მსოფლიოს გადაუარა“.**

აი ამონარიდი 1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, ჩერჩილის მიერ ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან:

**„ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას. სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა; თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ ჰქონდა. როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს მათივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვიაძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“**



სტალინი და ჩერჩილი

**უინსტონ ჩერჩილი: «...ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს მათივე მტრის ხელით ანადგურებდა და გვიაძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!»**

*** ფრანკლინ დელანო რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში:**

„მასთან მუშობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება...მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად. სურვილი მაქვს, შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს. ეს აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს“.

*** შარლ დე გოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-1969 წლებში:**

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია“.

*** ალექსანდრე კერენსკი, რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერმინისტრი 1917 წელს:**

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

*** ენტონი იდენი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1955-1957 წლებში:**

„სტალინმა ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემიცვლია. მას ჰქონდა კარგი, ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები; ვიცი, რომ იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიითაც კი ვარ განწყობილი მის მიმართ, რაც ჩემი თავისთვის ბოლომდე ვერ ამიხსნია. ეს, ალბათ, სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო. ჩქარა გავიწყდებოდა, რომ პარტიულ ლიდერთან ლაპარაკობდი.... მე მისი სახით ყოველთვის საინტერესო, მოღუშულ და მკარც მოსაუბრეს ვხედავდი. ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა. წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა, ყოველივე ამის უკან ძალა იდგა“.

*** ჰენრი კისინჯერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში:**

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა ძირფესვიანდ შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით. სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში“.

*** კორდელ ჰალი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933-1945 წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის რუზველტსა და ჩერჩილთან ▶

# „ბოროტების კვინტესენცია“ კი არა, სწორედ სტალინმა, საბჭოთა კავშირის მხედართმთავარმა, საერთაშორისო სამართლით ბოროტების სიმბოლოდ აღიარებული ფაშიზმისგან იხსნა კაცობრიობა და 1945 წელს რაიხსტაგზე წითელი დროშის აღმართვის შემდეგ ყავისფერი ჭირის შემქმნელები ნიურნბერგში საბრალდებო სკამზე დასვა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

*** ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-1946 წლებში:**

„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდა, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურა იყო“.

*** ჯოზეფ ედვარდ დევისი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1936-1938 წლებში:**

„სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისადმი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისთვის, რომელთა ნახვაც მე მომიწია, და მიაჩნია, რომ ეს ქვეყნის ათასობით ინჟინერტექნიკოსისა და მუშა-მოსამსახურის დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია. რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს საბჭოთა საზღვრის გადალახვისას წინ ვერ აღუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელი არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

*** ალექს დე იონგი, ამერიკელი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი:**

„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალური პიროვნებაა კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მოახერხა, თავის მოკავშირეებად ექცია ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგებიც. დიდ შეცდომას უშვებენ მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაეცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად აქცევდა. სტალინმა კი შეძლო, აეძულებინა როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლო მის მიერ დასახული გზით. ამდენად, სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა“.

*** ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის ფიურერი 1934-1945 წლებში:**

„უდავოდ გვმართებს, სტალინს ჯეროვანი პატივისცემით მოვეკიდოთ, ის გენიალური ტიპია“.

*** ბერნარდ შოუ, ინგლისელი მწერალი:**

„ახლა, როცა სტალინი ჩვენ მხარესაა, ომს აუცილებლად მოვიგებთ. სტალინი გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები“.

*** პაბლო პიკასო, ესპანელი მხატვარი:**

„იყო სტალინი — ჩემი აზრით, ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გენიალური ადამიანი გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება — არც მონმარტრელ მხატვარს, არც აკადემიაში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, არც „როლს-როისის“ ინჟინერსა და გალვანობის აღმომჩენს ამერიკაში. ის გენიალურია, არა მხოლოდ უბრალო ადამიანის თვალსაზრისით, არამედ დიდი ხელოვანების თვალსაზრისითაც კი. იყო სტალინი — ნიშნავს სიცრუის სიძულვილსა და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისთვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას... სტალინში იყო **იულიუს კეისრის** ჭკუა და **მარკუს ოქტავიუსის** ეშმაკობა, **ალექსანდრე მაკედონელის** მხედართმთავრული გენიალურობა და **ციცერონის** ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.

გიორგი კანდელაკო, ამ გენიალური პიროვნენების შეფასებების წაკითხვის შემდეგ, რომლებსაც, შენ გარდა, ალბათ, ათასობით ადამიანი წაიკითხავს, ნუთუ არ შეგრცხვება ტუტუცური, სრულიად შეუფერებელი ეპითეტებისა, რომლებიც სტალინს აკადრე?! ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ შეგიძლია სტალინის პიროვნების შეფასება?! იმისთვის, რაც იკადრე, ღირსი ხომ ხარ, კოკა გუნცაძის მსგავსად, მეც გაგილაწუნო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით?!

შენგან მაოხრებელი გზირის ძახებით სტალინის სახელს არაფერი დააკლდება მას, შენგან განსხვავებით, ბევრი მტერი თუ მოყვარე, ომში თუ მშვიდობის პერიოდებში, ლხინსა თუ ჭირში გამოცდილი ადამიანები აფასებენ ობიექტურად.

## 2. „სტალინი — ბოროტების კვინტესენცია“

**გინდა, ტერმინების რახარუხით გააკვირვო ტელემაყურებელი?! მაგრამ ერთი სიტყვის წარმოთქმისთანავე ქრება შენი შესაძლებლობები. შენ ხომ ერთი მედროვე, ქამელეონისა და ღამურის სინთეზით შექმნილი არსება ხარ, რომელიც უდრტვინველად იტანს როგორც სახეში წყლის შესხმას, ისე გასილაქებასაც.** „ბოროტების კვინტესენცია“ კი არა, სწორედ სტალინმა, საბჭოეთა კავშირის მხედართმთავარმა, საერთაშორისო სამართლით ბოროტების სიმბოლოდ აღიარებული ფაშიზმისგან იხსნა კაცობრიობა და 1945 წელს რაიხსტაგზე წითელი დროშის აღმართვის შემდეგ ყავისფერი ჭირის შემქმნელები ნიურნბერგში საბრალდებო სკამზე დასვა. **შენ კი გსურს, ფაშიზმის შემმუსვრელი და ევროპის გადამრჩენი ბოროტ გენიად გამოაცხადო?!** არ გამიკვირდება, რომ ამას გაბოროტებული და უცოდინარი ადამიანი ამბობდეს, მაგრამ შენ ხომ წლების განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოში „მოღვაწეობდი“, როგორც „ხალხის რჩეული“, და, ალბათ, იცი, როგორ იმართება დღევანდელი მსოფლიო და როგორ იმართებოდა იგი სტალინის ეპოქაში. **განათლებასა და ზნეობასთან მწყრალად უნდა იყოს ადამიანი, სტალინს აკადროს ის, რაც იმ ე.წ. გადაცემაში მოვისმინე.**

## 3. „სტალინი — ქურდი, რომელმაც საქართველოს მოჰპარა XX საუკუნე“

სტალინს შეიძლება რაღაცის გატაცება, მიტაცება, მოტაცება, თავდასხმა დააბრალო, მაგრამ სტალინი და ქურდი?! თუ ამ ბრალდებას ისტორიულ კონტექსტში გადავიტანთ, **ამ გალახულ პატარა კაცს მინდა, განვუმარტო, რომ მსოფლიომ XX საუკუნე სტალინის საუკუნედ აღიარა. სადავო არ არის, რომ „სტალინზე დიდი პიროვნება XX საუკუნეში არ გაჩენილა და კიდევ 500 წელი დასჭირდება, რომ მისი მსგავსი პიროვნება დაბადოს “. ეს ჩემი სიტყვები არ არის. ეს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა თქვა.**

1961 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ, კრემლში ნიკიტა ხრუშჩოვს მაღალი რანგის სტუმარი ეწვია — საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, რომელიც მეორე დღესვე თავის დელეგაციასთან ერთად, „პროტოკოლის“ გვერდის ავლით, დიდი გვირგვინით ხელში მივიდა სტალინის საფლავთან და სამხედრო სალმით (საფეთქელთან მიტანილი თეთრხელთათმანიანი ხელით) პატივი მიაგო სტალინის ცხედარს... ვილაც კანდელაკი (კანდელაკებზე შემდეგ წერილში ვისაუბრებ) კი შეურაცხყოფს მსოფლიოში სახელგანთქმულ თვისტომს, რომელიც უცხოელთა მიერ დაფასებულ-პატივცემულია.

ახლა ცოტას გაგანათლებ, პატარა კაცუნავ: 1920 წლის 13 ოქტომბერს (სანამ სტალინი და ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდოდნენ) თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოწყობილ ეკონომიკურ თათბირზე გამოსული **ნოე ჟორდანია** აღიარებდა: „რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკის მხრივ ჩვენ კატასტროფისაკენ მივისწრაფითო. შემდეგ ეს რამდენიმეჯერ იქნა გამეორებული. ასე რომ, ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია. დღეს თითოეული ჩვენგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არათუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე... ამავე თათბირზე გამოსული **კარლ კაუცკი** აღნიშნავდა საქართველოში შრომის ნაყოფიერების უკიდეურესად დაცემასა და მოსახლეობის ეკონომიკური გაღატაკებას; მენშევიკურ მთავრობას ურჩევდა, მოემატებინა გადასახადები გლეხებისთვის, აეღო სესხი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან და მოეწვია უცხოელი კაპიტალისტები. ყოველივე ეს სოციალისტური მთავრობისათვის სასიამოვნო არ არის — ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ სხვა გამოსავალი თქვენ არ გექნებათო... ამავე თათბირზე სიტყვით გამოვიდა მენშევიკების შრომის მინისტრის მოადგილე ერაძე, რომელმაც აღიარა: „საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. მისმა სილარიბემ და გაჭირვებამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს, რომლის შემდეგ უნდა მოველოდეთ ჩვენში მუშათა კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არც ერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

> **გიორგი კანდელაკო, ამ გენიალური პიროვნენების შეფასებების წაკითხვის შემდეგ, რომლებსაც, შენ გარდა, ალბათ, ათასობით ადამიანი წაიკითხავს, ნუთუ არ შეგრცხვება ტუტუცური, სრულიად შეუფერებელი ეპითეტებისა, რომლებიც სტალინს აკადრე?! ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ შეგიძლია სტალინის პიროვნების შეფასება?! იმისთვის, რაც იკადრე, ღირსი ხომ ხარ, კოკა გუნცაძის მსგავსად, მეც გაგილაწუნო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით?!**



სტალინი და რუზველტი

> **პაბლო პიკასო: «სტალინში იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება»**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთი წიგნები, როგორიც არის ელენა პრუდნიკოვას „იოსებ ჯუღაშვილი, ყველაზე ადამიანური ადამიანი“, რომელშიც სიმართლე გადახლართულია სიცრუესთან, ისევე დასაგმობია, როგორც ის წიგნები, რომლებშიც მხოლოდ სიცრუე წერია იოსებ სტალინზე, ამ მართლაც ყველაზე ადამიანურ ადამიანზე.**

# საკუთარი თავის მოწინააღმდეგე




**პეტერბურგელ ჟურნალისტს, ელენე პრუდნიკოვას, დაწერილი აქვს წიგნი „Иосиф Джугашвили, самый человечный человек. Сосо из Гори“ — „იოსებ ჯუღაშვილი, ყველაზე ადამიანური ადამიანი. სოსო გორიდან“. ელენე პრუდნიკოვა მკითხველს მოუთხრობს იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) ცხოვრებიდან რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც შეიცავს როგორც სიმართლეს, ასევე სიცრუესაც.**

ელენე პრუდნიკოვას, ეტყობა, არ უცხოვრია საქართველოში. ის წერს, რომ „ჩვენი საერთო უცოდინარობის გამო ყვითელი პრესა და მწერლები აბრიყვებენ (дурачат — ე.უ.) ჩვენი ქვეყნის ადამიანთა უმრავლესობას, სტალინის საშინელი დანაშაულების შესახებ“. თვითონ პრუდნიკივა, ძირითადად, სიმართლეს წერს სტალინზე, მაგრამ მისი ცხოვრებიდან მოყვანილი არაერთი ეპიზოდი სიცრუეს რომ შეიცავს, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს სიმართლის მცოდნე მკითხველზე.

**ელენე პრუდნიკოვა წერს: „გორი პატარა ქალაქია, მაგრამ მდიდარია თავისი ისტორიით. იგი ძველად ქართლის დედაქალაქი იყო“ (გვ. 16). პრუდნიკოვამ არ იცის, რომ ძველად ქართლის დედაქალაქი იყო მცხეთა. პრუდნიკოვა არ არის მართალი, როდესაც წერს: „გორში მეტწილად სომხები ცხოვრობდნენ“ (გვ. 13). წიგნში ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გვხვდება. მაგალითად: „ჯანმრთელობის მხრივ ბიჭი (სოსო) სუსტი იყო“ (გვ. 25). „ის (სოსო) იყო ღონიერი“ (გვ. 25).**

იოსებ ჯუღაშვილის მამას, ბესარიონს, ავტორი, როგორც ბევრი ანტისტალინელი, უარყოფითად წარმოსახავს. ვითომც ბესარიონი იყო ლოთი, ცოლ-შვილს ეჩხუბებოდა და სცემდა. იგი წერს: „ერთხელ ათი წლის სოსო მოწმე გახდა მშობლების ჩხუბისა. დანით ხელში მივარდა მამას, რის შემდეგ მეზობლებთან იმალებოდა“ (გვ. 20), მაგრამ განა თვით სტალინს არ უნდა დევუჯეროთ? **როდესაც გერმანელმა მწერალმა ემილ ლუდვიგმა 1931 წელს ჰკითხა სტალინს: „რამ გაიძულათ, ოპოზიციურ გზას დადგომოდით? ეგებ თქვენი მშობლები ცუდად გეპყრობოდნენ?“ — სტალინმა უპასუხა: „არა, ჩემი მშობლები იყვნენ გაუნათლებლები, მაგრამ ცუდად არ მექცეოდნენ“. ასე წერია სტალინის თხულებათა (ქართულ ენაზე) მე-13 ტომის 119-ე გვერდზე (გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1952 წ.), ამიტომ უნდა დავუჯეროთ სტალინს, მართალ ადამიანს.**

პრუდნიკოვა წერს: „იოსებმა გადაწყვიტა, არ ჩაებარებინა მეხუთე კლასის გამოცდები და 1899 წლის ზაფხულში იგი დაითხოვეს სემინარიიდან“ (გვ. 36), მაგრამ **საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინი სემინარიიდან გარიცხეს მარქსიზმის პროპაგანდისთვის, რაც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნა.**

„1904 წლის იანვარში თბილისში გაიმართა პირველი მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც გრანდიოზული ჩხუბით დასრულდა“ (გვ. 41). სინამდვილეში თბილისში პირველი მასობრივი დემონსტრაცია მოხდა 1901 წლის 22 აპრილს („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი IV, გვ. 59).

**„თბილისის სოციალ-დემოკრატები ტერორის გზას დაადგნენ. მათ სიკვდილი მიუსაჯეს კავკასიის ოლქის სამხედრო შტაბის გენერალ-მაიორ გრიაზნოვს“. 1906 წლის 16 იანვარს გენერალი გრიაზნოვი მოკლა ანარქისტმა არსენა ჯორჯიაშვილმა. კობა, ანუ იოსებ ჯუღაშვილი 1906 წელს უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო. ტერორისტულ აქტებს ბოლშევიკები გმობდნენ.** ეს საყოველთაოდ იყო ცნობილი. ბოლშევიკებს ამ ტერორისტულ აქტში მონაწილეობა რომ არ მიუღიათ, ადასტურებს ისიც, რომ **ვლადიმერ ლენინმა**, ბოლშევიკების წინამძღოლმა, მას შემდეგ რაც მისმა უფროსმა ძმამ, ალექსანდრემ, მონაწილეობა მიიღო მეფე ალექსანდრე III-ზე თავდასხმაში, მტკიცედ განაცხადა: „ჩვენ წავალთ სხვა გზით“, ანუ რევოლუციის გზით დავამხობთ ცარიზმსო.

ასეთია ფაქტები.

**ელენე პრუდნიკოვა არ არის მართალი, როცა წერს, რომ კობას თაოსნობით სოციალ-დემოკრატები ძარცვავდნენ ფოსტებს, სალაროებს და ამას შემოკლებით უწოდებდნენ „ექსპროს“, ანუ ექსპროპრიაციას. სინამდვილეში სიმონ ტერ-პეტროსიანმა (სტალინმა მას კამო დაარქვა) მხოლოდ ერთხელ გაძარცვა ეტლი, რომელსაც მიჰქონდა ბანკის ფული, რისთვისაც დააპატიმრეს. ასე რომ, კამოს მიერ პარტიისთვის მოპოვებული 350 ათასი მანეთი ბოლშევიკების საქმიანობას ვერ მოხმარდა.**

> **ელენე პრუდნიკოვას, ეტყობა, არ უცხოვრია საქართველოში. ის წერს, რომ «ჩვენი საერთო უცოდინარობის გამო ყვითელი პრესა და მწერლები აბრიყვებენ (ДУРАЧАТ — ე.უ.) ჩვენი ქვეყნის ადამიანთა უმრავლესობას სტალინის საშინელი დანაშაულების შესახებ». თვითონ პრუდნიკივა, ძირითადად, სიმართლეს წერს სტალინზე, მაგრამ მისი ცხოვრებიდან მოყვანილი არაერთი ეპიზოდი სიცრუეს რომ შეიცავს, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს სიმართლის მცოდნე მკითხველზე**

> **ელენე პრუდნიკოვა წერს: «გორი პატარა ქალაქია, მაგრამ მდიდარია თავისი ისტორიით. იგი ძველად ქართლის დედაქალაქი იყო» (გვ. 16). პრუდნიკოვამ არ იცის, რომ ძველად ქართლის დედაქალაქი იყო მცხეთა. პრუდნიკოვა არ არის მართალი, როდესაც წერს: «გორში მეტწილად სომხები ცხოვრობდნენ» (გვ. 13). წიგნში ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გვხვდება. მაგალითად: «ჯანმრთელობის მხრივ ბიჭი (სოსო) სუსტი იყო» (გვ. 25). «ის (სოსო) იყო ღონიერი» (გვ. 25)**

> **როდესაც გერმანელმა მწერალმა ემილ ლუდვიგმა 1931 წელს ჰკითხა სტალინს: «რამ გაიძულათ, ოპოზიციურ გზას დადგომოდით? ეგებ თქვენი მშობლები ცუდად გეპყრობოდნენ» — სტალინმა უპასუხა: «არა, ჩემი მშობლები იყვნენ გაუნათლებლები, მაგრამ ცუდად არ მექცეოდნენ». ასე წერია სტალინის თხულებათა (ქართულ ენაზე) მე-13 ტომის 119-ე გვერდზე (გამომცემლობა «სახელგამი», თბილისი, 1952 წ.), ამიტომ უნდა დავუჯეროთ სტალინს, მართალ ადამიანს**

საკვირველია, ელენე პრუდნიკოვა აქებს სტალინს, ბოლშევიკს და ამასთანავე შეურაცხყოფს ბოლშევიკებს: „ბოლოს და ბოლოს, რას კარგავდნენ ბოლშევიკები, თუ რევოლუციას ვერ მოახდენდნენ, შეიძლებოდა, დაბრუნებულიყვნენ ჟენევაში და ხელახლა დაეწყოთ რევოლუციისთვის მზადება. ამისათვის არ უნდა ჰქონოდათ პასუხისმგებლობის განცდა. ბოლშევიკებს არ ჰქონდათ პასუხისმგებლობის განცდა, ამიტომ მათ ყველაფერი გამოსდიოდათ, რომ არ გააჩნდათ პასუხისმგებლობის განცდა, ამიტომაც იყვნენ უშიშარნი“ (გვ. 133). ელენე პრუდნიკოვა იმასაც წერს, ბოლშევიკები (მაშასადამე, სტალინიც) ავანტიურისტები იყვნენო.

აი ასეთ საოცარ წინააღმდეგობებს ვხვდებით პრუდნიკოვას წიგნში, რომელშიც სტალინს ყველაზე ადამიანურ ადამიანს უწოდებს, ამასთანავე ბრალს სდებს, თითქოს შემოიღო ადამიანების წამება (გვ. 210).

ჩემი აზრით, ისეთი წიგნები, როგორიც არის ელენე პრუდნიკოვას „იოსებ ჯუღაშვილი, ყველაზე ადამიანური ადამიანი“, რომელშიც სიმართლე გადახლართულია სიცრუესთან, ისევე დასაგმობია, როგორც ის წიგნები, რომლებშიც მხოლოდ სიცრუე წერია იოსებ სტალინზე, ამ მართლაც ყველაზე ადამიანურ ადამიანზე.

**ეთერ უთურგაშვილი**

**ბატონო დავით, ნატოში გაერთიანება საქართველოს გეოგრაფიული სივრცისათვის, რომელსაც 700-კილომეტრიანი საერთო საზღვარი აქვს რუსეთთან, კატეგორიულად გამორიცხულია. მე კი არა, თვით ქართული მიწა გაიძახის: მომაშორეთ ეგ ნატო, რატომ მღუპავთო!**

ილუზიების ტყვეობაში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეგეშინდათ, ბატონო მინისტრო?

**გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ დიდი პატივი დამდო და მე, სამეცნიერო ხარისხის მქონე ისტორიკოს-პოლიტოლოგს, 92 წლის ბერიკაცს, 20 ოქტომბრის ნომერში გამომიქვეყნა წერილი, რომლითაც ბატონ დავით ზალკანიანს დებატებში ვიწვევდი მხოლოდ ერთ საკითხზე — მას უნდა დაესაბუთებინა, მის სათაყვანებელ ნატოში გაერთიანება საქართველოს რა სარგებლობას მოუტანდა, ხოლო მე დავუმტკიცებდი, ნატოში გაერთიანება უბედურებათა სერიალებს რომ მოგვიტანდა.**

თვე-ნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ ბატონმა მინისტრმა ჩემ გამოწვევას პასუხი არ გასცა. იქნებ გაზეთებს არ კითხულობს და ინფორმაციაც არავინ მიაწოდა ან გამოწვევა ყურადღების ღირსად არ ჩათვალა? იქნებ შეშინდა კიდეც და გამბედაობა არ ეყო, ზრდილობის ნიშნად ჩემ შეთავაზებაზე უარი მაინც ეთქვა?

გადავწყვიტე, კვლავ ვთხოვო „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას, გამომიქვეყნოს მასალა, ნატოში საქართველოს ინტეგრაციის შემთხვევაში რა შედეგს მივიღებთ, რა უბედურება დაგვატყდება თავს.

**ბატონო დავით, ნატოში გაერთიანება საქართველოს გეოგრაფიული სივრცისათვის, რომელსაც 700-კილომეტრიანი საერთო საზღვარი აქვს რუსეთთან, კატეგორიულად გამორიცხულია. მე კი არა, თვით ქართული მიწა გაიძახის: მომაშორეთ ეგ ნატო, რატომ მღუპავთო! ქართული მიწა უტყვია; მისი ძახილი მე შევიცანი და როგორც ხედავთ, თქვენ გაახლეთ.**

**საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში, წინა აზიის რეგიონში რომ მდებარეობს, ეს ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც ვერავინ შეცვლის. ბატონო დავით, იწამეთ ეს ჭეშმარიტება! ამიტომაა, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ნატოს არ ეტრფიან, რუსეთის ფაქტორს ანგარიშს უწევენ. თქვენ კი, გზააბნეულს, საქართველო ევროპაში, ბისკაის ყურეში გგონიათ; გეოპოლიტიკური სიბრმავეა ეს, რომლითაც თქვენ და ბევრი სხვა ქართველი ძია სემმა დაგასნეულათ.**

თუ თქვენ ნატოს მოთაყვანეთა ერთობლივი ძალისხმევით საკმაოდ შემსუბუქებულ, ტერიტორიებჩამოცილებულ ქართულ მიწას ამოჭრით, წაიღებთ და თუნდაც ადრიატიკის სანაპიროზე ჩადებთ, იქ, ბატონო დავით, რუსეთის ფაქტორი აღარ შეგაწუხებთ და ნატოშიც ზარ-ზეიმით შეგრიალდებით.

ვხედავ, იგინებით — შეუძლებელს მთავაზობს ეგ ბებერიო. დიახ, ახლა ხომ მიხვდით, რას ნიშნავს ქართული მიწაწყლის ობიექტური გეოპოლიტიკური კანონზომიერება? ბატონო დავით, ვთქვათ, თქვენი ოცნება აღსრულდა — ნატოში მიგვიღეს, როგორ შედეგებს მივიღებთ?

**პირველი** — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საბოლოოდ დავკარგავთ;

**მეორე** — ცხინვალის რეგიონს მყისვე შეუერთებენ ჩრდილოეთ ოსეთს და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აღმოჩნდება; მინიშნებები ამის შესახებ წლების განმავლობაში არაერთხელ გაკეთებულა;

**მესამე** — ახალქალაქელი სომხების თავკაც **ალასი არაბიანს** წლების წინათ ქართველი ჟურნალისტისთვის ნათქვამი აქვს: „თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ჩვენ დავიწყებთ მოქმედებას ჯავახეთის საქართველოდან გამოსაყოფად“. წაიკითხეთ, ბატონო დავით, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №13, 2012 წ. გვ. 11;

**მეოთხე** — ცხადია, არც მარნეულელი აზერბაიჯანელები მოისურვებენ ნატოურ საქართველოში ცხოვრებას;

**მეხუთე** — ყველაზე მთავარი: მაშინ ნახეთ რუსეთის აბობოქრება, მავთულხლართები თუ ბორდერიზაცია, მცოცავი ოკუპაცია და სხვა უბედურება.

**„ნატო მხოლოდ თავდაცვითი ორგანიზაციაა“, — ყოვლად უსირცხვილოდ ტყუიან ამ ორგანიზაციის მესვეურები და თქვენც თუთიყუშივით იმეორებთ, ბატონო დავით. მაშინ გეკითხებით: ვისი ავიაცია ბომბავდა უმოწყალოდ ბელგრადს 1999 წლის აპრილში, ზედ აღდგომის დღეს ბომბებს რომ აყრიდა ცინიკური წარწერით „გილოცავთ აღდგომას“?!** ან კიდევ: ნატოს ავიაციამ ხომ არ გაასწორა მიწასთან აყვავებული ლიბია და მოკლა მისი ლიდერი — **მოამარ კადაფი? სწორედ ნატოს ავიაცია ბომბავდა ერაყს და მოკლა მისი ლიდერი! ახსენით რატომ? რისთვის? რა დანაშაული მიუძღოდათ ამ ქვეყნებს? ხმა ამოიღეთ, ბატონო დავით, და, თუ შეძლებთ ნატოელთა ვერაგობის გამართლებას, „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით ამცნეთ მკითხველს.**

თქვენი ნატო, ბატონო დავით, გახლავთ ძალმომრეობითი სამხედრო აგრესიული ბლოკი, აშშ-ის ინტერესთა აღსრულების იარაღი. გირჩევთ, გაეცნოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემულ სქელტანიან წიგნს — „ნატო მაკიაჟის გარეშე“, რომელშიც დაწვრილებითაა გაშუქებული ნატოს ორგანიზაციის ვერაგული „საქმენი საგმირონი“.



**თქვენი ნატო, ბატონო დავით, გახლავთ ძალმომრეობითი სამხედრო აგრესიული ბლოკი, აშშ-ის ინტერესთა აღსრულების იარაღი. გირჩევთ, გაეცნოთ არასამთავრობო ორგანიზაცია «ისტორიული მემკვიდრეობის» მიერ გამოცემულ სქელტანიან წიგნს «ნატო მაკიაჟის გარეშე», რომელშიც დაწვრილებითაა გაშუქებული ნატოს ორგანიზაციის ვერაგული «საქმენი საგმირონი»**



**ბატონო დავით, კონსტიტუციაში ნატოში გაერთიანების სურვილის დაკანონება დანაშაულია, რადგან ეს გეოპოლიტიკური სიბრმავის დაკანონებაა, ეწინააღმდეგება საქართველოს გეოგრაფიული სივრცის ობიექტურ კანონზომიერებას. ამიტომაც გვსჯის ისტორია სასტიკად. რომ არ დავისაჯოთ, ნატოს ხსენება კონსტიტუციიდან უნდა ამოვძირკვოთ**

თქვენ, ბატონო დავით, ესწრებით მინისტერიალებს, სამიტებს, თათბირებს თუ კონფერენციებს; ხან აქ ხართ, ხან — იქ. ფიგაროსაც კი შეშურდებოდა თქვენი ამდენი იქ-აქ; საქართველოში ქვეყნისათვის საზიანო რეცეპტებით ჩამოდიხართ. ქვეყანას ნუ ღუპავთ, გამოფხიზლდით, ამას თქვენთან ერთად ყველა ხელისუფალს მივმართავ: შეეშვით წყეულ ნატოს!

**ბატონო დავით, კონსტიტუციაში ნატოში გაერთიანების სურვილის დაკანონება დანაშაულია, რადგან ეს გეოპოლიტიკური სიბრმავის დაკანონებაა, ეწინააღმდეგება საქართველოს გეოგრაფიული სივრცის ობიექტურ კანონზომიერებას, ამიტომაა, რომ ისტორია სასტიკად გვსჯის. რომ არ დავისაჯოთ, ნატოს ხსენება კონსტიტუციიდან უნდა ამოვძირკვოთ.** ნატოს კბილები მაშინ გაუსინჯეს, როცა 5 წლის იყო, 1954 წლის 31 მარტს, როცა საბჭოთა კავშირმა ნოტით მიმართა იმხანად ნატოს 12 წევრ ქვეყანას, მიეღოთ მეცამეტე წევრად. ამ ნოტამ ნატოს მესვეურები ააფორიაქა, კედელთან მიიმწყვდია. ბოლოს მაინც უარი უთხრეს. **ბატონო დავით, პირველად მაშინ ჩამოეხსნა თავდაცვითი ორგანიზაციის ყალბი ნიღაბი თქვენს ნატოს; გაშიშვლდა და, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ძალა, წარმოგვიდგა. იწამეთ ეს აქსიომური ჭეშმარიტება.**

საქართველო უკვე არის ნატოს წევრი, ბატონო დავით, ოღონდ დე ფაქტო და არა დე იურე. დე ფაქტო წევრია იმიტომ, რომ:

პირველი — **ნატოს ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს საქართველოში გამართულ სამხედრო წვრთნებში;**

მეორე — **საქართველო მონაწილეობს ნატოს ქვეყნების მინისტერიალებში, თათბირებსა და სხვა ღონისძიებებში;**

მესამე — **ნატოს ეგიდით საქართველოს საჯარისო ნაწილები სამშვიდობოების სახით ჩაყენებულია აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში, ადრე — ავღანეთშიც;**

მეოთხე — **აშშ დეფაქტო ნატოს წევრ საქართველოს თავისი ინტერესებისათვის უფრო ეფექტიანად იყენებს ვიდრე ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას,** ამიტომ იცოდეთ, ბატონო დავით, სხვა ხელისუფალნო, ნატოს მოთაყვანე ოპოზიციურო ძალებო, რომ საქართველოს ნატოს დე იურე წევრად არასოდეს მიიღებენ.

დასასრულ, ბატონო დავით, წერილის გამოქვეყნების შემდეგ ფოსტით სამინისტროში გაახლებთ „საქართველო და მსოფლიოს“ რამდენიმე ეგზემპლარს; აგაღებინებთ ხელში ამ დიდებულ გაზეთს თავისი შესანიშნავი, სიბრძნე-სიმართლით გაჟღენთილი პუბლიკაციებით, რომლებსაც ჩემ წერილთან ერთად გაეცნობით; იმედია, გონებას მოუხმობთ და ნატოსაგან — აშშ-ის ამ პოლიტიკური კორონავირუსისგან — გათავისუფლდებით.

მაშ, ჯანმრთელობას, გონიერებას, საღ აზროვნებას, ნატოსგან თავის დახსნას გისურვებთ, ბატონო დავით!

**გივი გურეშიძე**,
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„30-წლიანმა ფსევდოდემოკრატიამ, ევროპულმა ორიენტაციამ შედეგი ვერ გამოიღო. გაუსაძლისი ყოფა დიდხანს ვერ გაგრძელდება, ცოტა დრო დარჩა ნამდვილ რევოლუციამდე, რომელიც ყველაფერს წალეკავს და იმედია, საქმე აქამდე არ მივა, ქართველობა ისევ გაერთიანდება ღვთისა და სამშობლოს გარშემო“.**

# რამ გამოიწვია კრიზისი ზოგიერთ მუნიციპალიტეტში

## «კოაბიტაციამ დაღუპა ჩვენი ქვეყანა. პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთთან კარგად არიან, ხალხში კი დაპირისპირებაა»

**რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის, სოზარ სუბარის, განცხადებით, იმ მუნიციპალიტეტების საკრებულოებში, რომლებიც ვერ ირჩევენ თავმჯდომარეს, თუ კრიზისი გაგრძელდება და ვერ გამოინახება გამოსავალი, არჩევნები ხელახლა გაიმართება. კრიზისი კი საკმაოდ ბევრ რაიონშია და თვითმმართველობის არჩევნებიც უკვე ორჯერ ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში. საკრებულო, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ასრულებენ თუ არა ჩვენს ქვეყანაში საკრებულოები თავიანთ ფუნქციებს, არის თუა არა იქ არჩეული ხალხი მოსახლეობისთვის მისაღები და სანდო, — ამ და ქვეყანაში კრიზისის გამომწვევ სხვა მიზეზებზე ფოთის მკვიდრი, გაზეთის „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი ზურაბ აბრალავა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის სკოლის მასწავლებელი ვალერი ძაძამია გვესაუბრებიან.**



### „აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევ ისეა“

**ვალერი ძაძამია, სოფელ ობუჯის სკოლის მასწავლებელი:**

— ამ ქვეყანაში ყველაფერი მოჩვენებითია და გამონაკლისი არც წალენჯიხის რაიონია. გამოკვეთილი გეგმა არც ერთ პარტიას არ აქვს. ჩვენს რაიონში, წალენჯიხაში, ორჯერ ჩაიშალა საკრებულოს სხდომა, ალბათ, შემდეგი სხდომაც ჩაიშლება... წალენჯიხაში ნაცებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება ტყუილზე იყო დაფუძნებული, მათ ამომრჩეველი დაპირებებით გააბრიყვეს. ადგილობრივი მოსახლეობა დააჯერეს, რომ მიშა ჩამოვიდა და ყველაფერი კარგად იქნებაო. ეიფორიაში ამყოფეს ხალხი და ამან გამარჯვება მოუტანა მათ. ნაცებისგან განსხვავებით, რომლებიც წალენჯიხაში კარდაკარ დადიოდნენ თვეების განმავლობაში, „ოცნებას“ არაფერი გაუკეთებია, რადგან ეგონათ, ხელის გაუნძრევლადაც მოიგებდნენ არჩევნებს. **სულ ცოტა, 100-ჯერ მაინც არიან თითო ოჯახში ნაცები მისულები, „ოცნება“ — არც ერთხელ.**

„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ჰპირდებოდნენ წალენჯიხელებს, რომ წალენჯიხის „დუბაიზაცია“ მოხდებოდა, რომ უზარმაზარი ინვესტიციები ჩამოვა ჩვენს რაიონში მათი დამსახურებით, მათი გავლენებით. ამ ტყუილს აყოლილმა ხალხმაც ხმა მათ მისცა.

**— წალენჯიხა პარალიზებულია საკრებულოში შექმნილი აურზაურის გამო, ეს მოსახლეობაზე როგორ აისახება?**

— წალენჯიხის საკრებულოში ისეთი ხალხია შეკრებილი, გინდ დალაგებული სიტუაცია იყოს, მაინც ვერ მიხვალ ვერავისთან. ვერც ოპოზიციას ენდობი და ვერც ხელისუფლების წარმომადგენელს. საქმის მკეთებელი ადამიანი არ არის არც ერთი, ყველა სკამისთვის, თანამდებობისა და ხელფასისთვის იბრძოდა. მოსახლეობისთვის არავის უკითხავს, ვინ უნდა არჩეულიყო. ისე, სიმართლე გითხრათ, წალენჯიხის მოსახლეობა ცოტა შეშინებულიც არის, ეშინიათ საჯარო სამსახურებში დასაქმებულებს, ჰგონიათ, რომ სამსახურს დაკარგავენ, თუ ხმას ამოიღებენ, ეს ტრაგედიაა. ვინც ოპოზიციის მომხრეა, არაფრის ეშინია და მთელი რაიონი გადაფარეს აგიტაცია-პროპაგანდით. სააკაშვილის ჩამოსვლის შემდეგ აქციები რომ დაწყო, წალენჯიხელები წინ მიუძღოდნენ პროტესტანტებს, მიიტაცეს **ზვიად გამსახურდიას** სიტყვები, რომლებიც წალენჯიხაში ჩამოსვლისას თქვა: „წალენჯიხა საქართველოს სიმბოლოა!“ და ამ სიტყვებიანი ტრანსპარანტებით დადიოდნენ მიტინგებზე. „ნაცმოძრაობაც“ და „ოცნებაც“ არაფრის გამკეთებლები არ არიან. ახლა ამბობენ, შესაძლოა, ხელახალი არჩევნები დაინიშნოსო, მაგრამ წალენჯიხა ვერ გაუძლებს კიდევ ერთ არჩევნებს. სამწუხაროა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე არავინ ფიქრობს, არავის ადარდებს სოციალური პრობლემები, ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობენ საკრებულოში შესული ადამიანები. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთ ნავში სხედან. წალენჯიხა არც ერთი რაიონისგან განსხვავებული არ არის; რაც ხდება ქვეყანაში, ის ხდება აქაც, ოღონდ ამ **ინვესტიციების თემამ გადარია აქაურები. ჭყონიამ ფულს ჩავდებო, ხაზარაძემ ფულს ჩავდებო, კიდევ ვიღაცები მიდიან და ამბობენ, აღმშენებლობის ბუმი იქნებაო, ეს ტყუილია და ეს ყველაფერი „ოცნების“ უნიათობამ, უმოქმედობამ განაპირობა. არ მუშაობენ, არაფერს არ აკეთებენ...**

**— სახელისუფლო პარტიამ წალენჯიხა შეგნებულად ხომ არ „დაუთმო“ „ნაცმოძრაობას“?**

— არსებობს ასეთი მოსაზრებაც... მაგრამ მაინც მგონია, დაპირებებმა მიალებინა ხალხს გადაწყვეტილება. კურორტი სქური გვაქვს ჩვენ. იქ გზა არ არის, რამდენიმე წელიწადია; გზა, რომელიც, სულ რაღაც, შვიდკილომეტრიანია, ვერავინ ვერ დააგო. „მხედრიონის“ თარეშის შემდეგ გზა არ არის და წალენჯიხის „დუბაიზაციას“ გვპირდებიან... სამწუხაროდ, მოსახლეობას ამ დაპირებების სჯერა, ერთი ამბავია ჩვენს რაიონში, მაგრამ როგორც მიჩანჩალებდა ბოლოში წალენჯიხა, ისევ ისეა. **ტერენტი გრანელის** სიტყვები მახსენდება: „აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევ ისეა“... კოაბიტაციამ დაღუპა ჩვენი ქვეყანა. პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთთან კარგად არიან, ხალხში კი დაპირისპირებაა. ჩვენს ხელისუფლებას რომ ვუყურებ, იგავი „კუ და მორიელი მახსენდება“. კუ მიხვდა თავის შეცდომას და გამოასწორა, მაგრამ „ოცნება“ — ვერა... პერსპექტივაც არ ჩანს...



### „საქართველო პოლიტიკურ თეატრად იქცა“

**ზურაბ აბრალავა, გაზეთის „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი:**

— გაინტერესებთ, რა ხდება საკრებულოებში?! მოდი ვილაპარაკოთ, რა ხდება, საზოგადოდ, ქვეყანაში და იქიდან გამომდინარე დავასკვნათ, რატომ არის არეულობა საკრებულოებშიც, გამგეობებშიც, ქვეყანაშიც და ხალხშიც... საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სადავეები დღემდე უცხოელების ხელშია, ფსევდოდემოკრატიაც კარგ საშუალებად იქცა საკუთარი მიზნების მისაღწევად — რევოლუციების, დაუმორჩილებლობის, ხელისუფლების ცვლილების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ასე იქნება, სანამ უცხოელები ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტს ფლობენ — სამთავრობოს თუ არასამთავრობოს, პრეზიდენტის თუ პარლამენტის, სახალხო დამცველისა და ა.შ. ამას ემატება პარტიათა სიმრავლე და დაბნეული ამომრჩეველი... არავითარი დიალოგი პრობლემის პოლიტიკური გზით მოსაგვარებლად, ხალხის გაჭირვებით მანიპულირება და რევოლუციური ალტყინებისთვის გამოყენება კვლავ ძალაშია. **„ოცნების“ კოაბიტაციამ „ნაცმოძრაობასთან“ დამანგრეველი შედეგი გამოიღო ყველა პარამეტრით და ესაა ნეოფაშისტური რეჟიმის პოლიტიკაში დაბრუნების პერსპექტივა, რომელსაც მხარს უჭერენ დასავლური პარტიები.** თუ ეს არის ევროპული ორიენტაცია, რაც ასევე შედის აშშ-ის ინტერესებში, უნდა ვთქვათ, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფოებრიობას და იმ ყბადაღებულ დემოკრატიას, რომელიც ვერა და ვერ შედგა და რაშიც ბრალი მიუძღვის ორ დაპირისპირებულ ძალას — „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“, რომლებიც ერთმანეთისთვის მაშველ რგოლებად იქცნენ, ხოლო დემოკრატიის მთავარი წყარო — ხალხი, თანდათან ტოვებს ქვეყანას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი მონაწილეობს ამ კამპანიაში, მეორე ნახევარი კი ცვლილებების მოლოდინშია. ნაციონალები ამას კარგად ხედავენ და ცდილობენ, ნებისმიერი გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. **მიხეილ სააკაშვილმაც** ჩათვალა, რომ რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა, რომელსაც, უპირველესად, ხალხის უკმაყოფილება განაპირობებს, და საქართველოში ჩამოსვლით ამ მიზნისთვის უნდა მიეღწია. ყველას დაავიწყდა სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმი, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს კრიმინალების მიერ დაფინანსებულმა ე.წ. დამოუკიდებელმა ტელევიზიებმა, რომლებიდანაც დილიდან საღამომდე მოდის მესიჯები: „მიშა და საქართველო ერთია“, „მიშა და ხალხის თავისუფლება იდენტურია“, „მიშაა ერთადერთი მხსნელი“ და ა.შ. **დღეს ლამის მთელი პოლიტიკური ელიტა წუხს იმ კაცის ჯანმრთელობაზე, რომლის კისერზე ათასობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლე, ქვეყნიდან გაქცეული და დანგრეული ოჯახებია. ამან ერთგვარად განაპირობა ოპოზიციის ლუსტრაცია, რომ სკამისთვის ეშმაკსაც კი შეეკვრებიან.** „ვარდების რევოლუცია“ შიმშილით რევოლუციამ ჩაანაცვლა. ერთბაშად გამოჩნდნენ მივიწყებული ნაციონალები... მთელი ქვეყანა თავის მართლების რეჟიმში ჩააყენა მიშამ, რომელიც ხელისუფლებას უხეშ მოპყრობაში ადანაშაულებს. არადა, მისგან ტანჯული ხალხი დღემდე გამწარებულია. მოსახლეობის ნაწილი კი ამ დიქტატორის დაბრუნებაზე ოცნებობს. არ მთავრდება ჩვენს ქვეყანაში ბელადომანია და ყვარყვარიზმი. საქართველოში ახალი ეროვნული ძალების მოსვლას მხარს არ დაუჭერენ გარე ძალები, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყანას და ამაგრებენ ნეოლიბერალურ ძალებს, რაც, თავის მხრივ, არყევს ქრისტიანობის საფუძველს, რომელზეც დგას ქართული სახელმწიფოებრიობა. დღეს ეშმაკის ტყვეობაში ჩავარდნილები ანგრევენ რწმენას, ზნეობას, მოაქვთ სტრესი, ფსიქოზი, უიმედობა, მიაქვთ სიმშვიდე და თანადგომა, ურთიერთობები ადამიანებს შორის ნელდება, ვინ დაუბრუნებს მათ განწყობას, ხალისს... საქართველო პოლიტიკურ თეატრად იქცა. დამნაშავესა და პროვოკატორს ადარებენ ზნეობრივ გმირს — **ცოტნე დადიანს,** რომელიც თაფლს კი არ მიირთმევდა, გაავებული მონღოლის ხმლისთვის ჰქონდა კისერი მიშვერილი. არადა, კარგად გვახსოვს გორში თვითმფრინავის ხმაზე მიწაზე მფორთხავი მიშა. **ფსევდოლიბერალები, ნეოფაშისტები იბრძვიან ხელისუფლებისათვის და, ვინც შეეწინააღმდეგება მათ იდეებს, რუსეთის აგენტებად ნათლავენ. ქრისტიანობა და სამშობლოს სიყვარული აგენტობაა გლობალისტებისა და კოსმოპოლიტებისათვის.** 30 წლის განმავლობაში ვერ მივედით ნამდვილ დემოკრატიამდე, 30-წლიანმა პოლიტიკურმა თამაშებმა საშინაო და გარეშე მტრების მონაწილეობით ქვეყანა დააზიანა. დასავლეთი მხარს უჭერს ნეოფაშისტური ძალების აღზევებას, რაც დიდი გამოწვევაა ქართველი ხალხისათვის. **30-წლიანმა ფსევდოდემოკრატიამ, ევროპულმა ორიენტაციამ შედეგი ვერ გამოიღო. გაუსაძლისი ყოფა დიდხანს ვერ გაგრძელდება, ცოტა დრო დარჩა ნამდვილ რევოლუციამდე, რომელიც ყველაფერს წალეკავს და იმედია, საქმე აქამდე არ მივა, ქართველობა ისევ გაერთიანდება ღვთისა და სამშობლოს გარშემო.** ჩვენ გავიარეთ ნაცისტური ჯოჯოხეთი, „ოცნებამაც“ ამოწურა ნდობის რესურსი, დადგა დრო ახალი ეროვნული ძალისა, რომელიც ერს გააერთიანებს რეალური დემოკრატიისა და თავისუფლების, ქრისტიანული რწმენის დასამკვიდრებლად და ქვეყნის ეკონომიკურად განსავითარებლად. აი, ეს არის ის, რისი თქმაც მინდოდა და რაც ქმნის ქვეყანაში დღეს არსებულ კრიზისებს.

**«ინვესტიციების თემამ გადარია აქაურები. ჭყონიამ ფულს ჩავდებო, ხაზარაძემ ფულს ჩავდებო, კიდევ ვიღაცები მიდიან და ამბობენ, აღმშენებლობის ბუმი იქნებაო, ეს ტყუილია და ეს ყველაფერი «ოცნების» უნიათობამ, უმოქმედობამ განაპირობა. არ მუშაობენ, არაფერს არ აკეთებენ»**

**«ჩვენ გავიარეთ ნაცისტური ჯოჯოხეთი, «ოცნებამაც» ამოწურა ნდობის რესურსი, დადგა დრო ახალი ეროვნული ძალისა, რომელიც ერს გააერთიანებს რეალური დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრებისთვის»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას რუსეთთან ომის შემთხვევაში სამხედრო კონტინგენტით დახმარებას არასოდეს დაჰპირებია. კი, თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას, კოლექტიურ დასავლეთთან ერთად, ურყევად ვაღიარებთ, „ჯაველინებსაც“ მოგაწვდით, არნახულ ეკონომიკურ სანქციებსაც (რომლებიც, დიდი ხანია, რუსეთს ფეხებზე ჰკიდია) დავუწესებთ კრემლს, მაგრამ არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ იომებს რუსეთთან უკრაინის გამოო.**



ავი მესაიჯი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინისა და ბაიდენის ისტორიული რანდევუ და რუსეთის მიერ გავლებული წითელი ხაზი

**ისე სწრაფად ვითარდება გეოპოლიტიკური მოვლენები, რომ ერთი კვირის განმავლობაში, ოთხშაბათიდან ოთხშაბათამდე, სანამ გაზეთის მორიგი ნომერი იხილავს დღის სინათლეს, განსახილველი თემების პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგება, ანუ მომავალი წერილის მთავარ თემაზე ფიქრი უსარგებლო შრომაა. ამიტომაა, რომ მთელი კვირის განმავლობაში გაფაციცებული მივჩერებივარ ტელეეკრანს და წერილზე მუშაობის დაწყებას ბოლო მომენტამდე, ორშაბათს საღამომდე „ვწელავ“ და, როგორც წესი, სამშაბათის რიჟრაჟზე ვამთავრებ ხოლმე.**



წინამდებარე წერილი, ამ მხრივ, თითქოს გამონაკლისი უნდა ყოფილიყო, რადგან, უთო რომ ჩაგერთო, ისიც ბაიდენ-პუტინის მომავალ ვირტუალურ შეხვედრაზე დაიწყებდა ლაპარაკს. მსოფლიოში მთავარი მოვლენა აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების ისტორიული „შეხვედრა“ რომ იქნებოდა, ყველასთვის იმთავითვე ცხადი იყო და ამიტომ ამ წერილის მთავარი თემის „პოვნა“ არ გამჭირვებია. ბაიდენისა და პუტინის 7 დეკემბრის „შეხვედრას“ ისტორიული ვუწოდე, რაც მავანმა შეიძლება გადაჭარბებად ჩამითვალოს — ისინი ხომ სხვა ფორმატსა და ვითარებაში ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს, რომ არაფერი ვთქვათ სატელეფონო საუბრებზე, რომლებიც გარკვეულწილად შეხვედრადაც შეიძლება მოვნათლოთ... მაშ, რით არის ეს ვიდეორანდევუ სხვა შეხვედრებისგან გამორჩეული, ისტორიული რომ ვუწოდეთ? ვისაც პოლიტიკური ვითარების ელემენტარული ანალიზის უნარი შესწევს და მახსოვრობას არ უჩივის, გაცნობიერებული ექნება, რომ **კაცობრიობა სრულმასშტაბიანი ბირთვული ომის საფრთხესთან ისე ახლოს არ ყოფილა, როგორც დღეს. ასეთი საფრთხის წინაშე არ ყოფილა თვით 1962 წლის ოქტომბერში, როცა ე.წ. კარიბის ზღვის კრიზისისას საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კინაღამ ბირთვული ომი გააჩაღეს. იმ მომენტში პლანეტა დედამიწის განადგურება აშშ-ის ისტორიაში, ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი პრეზიდენტის, ჯონ კენედის, ძალისხმევით იქნა აცილებული, თორემ საბჭოთა კავშირის ისტორიაში ყველაზე სულელი „პრეზიდენტი“, ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც გაეროს ტრიბუნას ფეხსაცმელს უბრახუნებდა, ომს დაიწყებდა.**

რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების ზემოხსენებული ვიდეორანდევუ უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩატარდა, რომლის შემდეგაც ასეთ შემთხვევებში ტრადიციული პრესკონფერენცია არ გამართულა, თუმცა ვირტუალური შეხვედრის დამთავრების მეორე-მესამე დღეს პატარ-პატარა საიდუმლოებებმა მაინც გამოჟონა. და დღეს პოლიტოლოგები, ექსპერტები თუ ჟურნალისტები გამოჟონილი ინფორმაციისა და ფაქტების ანალიზით არიან დაკავებულები...

**შეთანხმების მიხედვით, ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს პირისპირ, თანმხლები პირების გარეშე, მხოლოდ თარჯიმნების თანდასწრებით უნდა ესაუბრათ.** ეს არცთუ უმნიშვნელო პროტოკოლური პირობა ამერიკელებმა უბოდიშოდ დაარღვიეს — ერთ მხარეს მარტო პუტინი იჯდა, ხოლო მეორე მხარეს ჯო ბაიდენს სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** და კიდევ სამი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე „უმშვენებდა გვერდს“... რატომ ასეთი „ვაჟკაცობა“? რატომ და ვლადიმერ პუტინის მტერმოყვარენმა კარგად იციან, რომ რუსეთის პრეზიდენტი არა მხოლოდ უძლეველი **მართლმადიდებელი** (თუ რატომ გავუსვი ხაზი სიტყვა „მართლმადიდებელს“, ამაზე ქვემოთ) და რუსეთის იმპერიის მთავარსარდალია, არამედ მსოფლიოს ნომერ პირველი პოლიტიკოსი და ამასთანავე, ყველაზე გავლენიანი პიროვნებაც. ჰოდა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხომ წარმოგიდგენიათ, „ტეტ-ა-ტეტ“ შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინი რას უზამდა ჯო ბაიდენს, რომელმაც კორნუოლის ჰერცოგინიას მიერ ცოტა ხნის წინათ გამართულ მაღალი წრის საზოგადოების წვეულებაზე თავი ვერ შეიკავა და „ჰაერი გააფუჭა“. მოკლედ, ხატოვნად თუ ვიტყვით, **დებატებში ვლადიმერ პუტინს ჯო ბაიდენი ერთ ლუკმად არ ეყოფოდა, ამიტომაც „მძინარე ჯო“ (დონალდ ტრამპმა „მონათლა“ ასე) ანგლოსაქსებმა პუტინის „შესაჭმელად“ ვერ გაიმეტეს და ზემოხსენებული „სპეცრაზმით“ შეეცადნენ აშშ-ის პრეზიდენტის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ...** მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ პუტინს სრული უფლება ჰქონდა, პროტოკოლის დარღვევა გაეპროტესტებინა, მან არ იკადრა ჯო ბაიდენთან ამგვარი იაფფასიანი ხერხის გამოყენება. სამაგიეროდ, ბაიდენის წინასარანდევუ ბაქიბუქიდან — წითელ ხაზებს, ვინც უნდა გაავლოს, არ ვცნობო — არაფერი დატოვა. ბაიდენისა და პუტინის ვიდეოსაუბრიდან მეორე დღეს პირადად **ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას რუსეთთან ომის შემთხვევაში სამხედრო კონტინგენტით დახმარებას არასოდეს დაჰპირებია. კი, თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას, კოლექტიურ დასავლეთთან ერთად, ურყევად ვაღიარებთ, „ჯაველინებსაც“ მოგაწვდით, არნახულ ეკონომიკურ სანქციებსაც (რომლებიც, დიდი ხანია, რუსეთს ფეხებზე ჰკიდია) დავუწესებთ კრემლს, მაგრამ არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ იომებს რუსეთთან უკრაინის გამოო.**

რაც შეეხება ნატოში უკრაინის მიღებას, **იანკებმა განაცხადეს, რომ ეს უახლოესი 10 წლის განმავლობაში ვერ მოხდება და, სავარაუდოდ, კიდევ ბევრი წელი ჩაივლის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის ინტეგრაციის მოლოდინში. ვერაფერს იტყვი, ერთობ იმედიანი პერსპექტივაა.** ამის მიუხედავად, უკრაინელი ნაციონალისტები რუსეთს სისხლის აბანოებითა და უთვალავი კუბოებით ემუქრებიან და, თუ რუსები უკრაინაში ტანკებით შეჭრას გაბედავენ, მათ განადგურებას „ჯაველინებით“ შეეცდებიან... ნუთუ უკრაინის „უძლეველ არმიაში“ საღად მოაზროვნე არავინ ჰყავთ, რომ დაფიქრდეს: თუ რუსეთმა უკრაინაში შეჭრა გადაწყვიტა, ჯერ ჰაერიდან და კოსმოსიდან, შემდეგ სახმელეთო თუ წყალქვეშა ბაზირების რაკეტებით დაბომბავს და რამდენიმე წუთში გაანადგურებს უკრაინის სამხედრო ინფრასტრუქტურას, მის ახლომახლო ტერიტორიებს უდაბნოდ აქცევს და მხოლოდ ამის შემდეგ, ისე, რომ ერთ ჯარისკაცსაც არ დაკარგავს, ტანკებითა და ქვეითი ჯარით შევა კიევში. ამით უკრაინა ერთხელ და სამუდამოდ დაკარგავს სახელმწიფოებრიობას, რომელიც, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, არც არასოდეს ჰქონიათ („აკრაინა“, ანუ განაპირა, ან „მალოროსია“ ასე ეწოდებოდა ტერიტორიას, რომელიც **ბოგდან ხმელნიცკიმ** 367 წლის წინათ მიუერთა რუსეთის იმპერიას).

ზემოთ მართლმადიდებლობას გავუსვი ხაზი და აი, რატომ:

რა დონის მოლაპარაკებებიც უნდა გაიმართოს რუსეთსა და კოლექტიური დასავლეთის ქვეყნებს შორის, დემოკრატიის სავანედან არასოდეს ავიწყდებათ რუსეთის დამუნათება, რომ მოსკოვი ჯეროვნად არ იცავს ლგბტ საზოგადოების უფლებებს; „ველური“ რუსეთი არ იღებს მათ ღირებულება-ფასეულობებს, რომლებიც, დიდი ხანია, „დემოკრატიული“ დასავლეთის კონსტიტუციური ნორმა, გნებავთ, ცხოვრების წესია. ევროკავშირში სულ ორი ქვეყანაა — პოლონეთი და უნგრეთი, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე არ აღიარებენ ლგბტ ღირებულებების მთავარ პოსტულატს — ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას, რის გამოც ლიბერასტული ევროპარლამენტი ფინანსური სანქციებითა და კავშირიდან გარიცხვითაც კი ემუქრება ყოფილი სოციალისტური ბანაკის ამ ორ სახელმწიფოს.

მსოფლიოში სულ 200 მლნ მართლმადიდებელია, მათგან 96,3 მლნ რუსეთის ეკლესიის მრევლია. მართლმადიდებელი ქრისტიანობაა ლგბტ სექტანტების დაუძინებელი მტერი და სწორედ ამიტომ ერჩიან მას კათოლიკები და სხვა „ქრისტიანები“. საქართველოშიც მომრავლდნენ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით მოქმედი სატანისტური სექტები, რომლებიც დიდი ილიას ნაანდერძევ სამებას — „მამული, ენა, სარწმუნოება“-ს — უთხრიან ძირს.

**დავით მხეიძე**

**P.S. რუსეთის ტელევიზიით ერთი მეტად საყურადღებო განცხადება გაკეთდა, რომელიც საქართველოსთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევა ჩვენი ქვეყნის ფარჩაკი ხელისუფლება: „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკანასკნელად აფრთხილებს კოლექტიურ დასავლეთს, აშშ-სა და ნატოს, თუ ისინი ოფიციალურად არ გაანულებენ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ნატოში გაწევრების დოკუმენტს, რუსეთის პასუხი იქნება სამხედრო“.**

**აი, პუტინის მიერ შეპირებული წითელი ხაზი.**

**შეთანხმების მიხედვით, ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს პირისპირ, თანმხლები პირების გარეშე, მხოლოდ თარჯიმნების თანდასწრებით უნდა ესაუბრათ. ეს არცთუ უმნიშვნელო პროტოკოლური პირობა ამერიკელებმა უბოდიშოდ დაარღვიეს — ერთ მხარეს მარტო პუტინი იჯდა, ხოლო მეორე მხარეს ჯო ბაიდენს სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და კიდევ სამი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე «უმშვენებდა გვერდს»...**

**მსოფლიოში სულ 200 მლნ მართლმადიდებელია, მათგან 96,3 მლნ — რუსეთის დედაეკლესიის მრევლი. მართლმადიდებელი ქრისტიანობა ლგბტ სექტანტების დაუძინებელი მტერია და სწორედ ამიტომ ერჩიან მას სხვადასხვა ჯურის «ქრისტიანები». საქართველოშიც მომრავლდნენ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით მოქმედი სატანისტური სექტები, რომლებიც დიდი ილიას ნაანდერძევ სამებას — «მამული, ენა, სარწმუნოება»-ს — ძირს უთხრიან**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხი, ფეხზე წამომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხი უშრეტი წყაროა სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა“**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# «თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი...»

„ქვეყნის მკურნალნი“ — ამ ეპითეტით მოიხსენიებს ილია ხელისუფლების წარმომადგენლებს და სისტემის უნიათობაზე საუბრობს. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რას იტყოდა ერის მამა დღეს...

ალბათ, იმავეს, რაც თქვა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ:

**„ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა... ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონე-მიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ველარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით დალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი. თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი. ადამიანს რაღაცა ჰწყურიან, რაღაცა ჰშიან, რაღაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია. გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა და, თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა, ეგ ხვალინდელის ლოდინია“**

**(შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, სექტემბერი).**



«ქვეყნის მკურნალნი»



**ხალხი «ბრმანი და სულელნი» რომ ჰგონიათ დღეს ვაიპოლიტიკოსებს, «ოქროს სარაიას» რომ გვპირდებიან და მხარდაჭერის სანაცვლოდ დროდადრო დიდი პათოსით ისეთ რაღაცებს წამოროშავენ, ვერც კი წარმოიდგენ, თუ რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს და სერიოზულად მოეკიდება, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე — ტვინების გამორეცხვის მეთოდმა, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყანაში განათლების სისტემის დაკნინებით ბრწყინვალედ ხორციელდება, შედეგი გამოიღო**

იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, უკეთესი ხვალინდელი დღის იმედი. ეტყობა, სისხლში გვაქვს ქართველებს ის, რომ **„სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით“, „ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველს შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო“** (შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, სექტემბერი).

ილია ყოველთვის პირუთვნელი და სიმართლისთვის თვალის გამსწორებელი გახლდათ, არც მხილებას ერიდებოდა და არც პირში თქმას, რაც ნათლად ჩანს მის შემოქმედებაში. წლებია, თაობები ვეცნობით მის თვალსაზრისებს ერისთვის საჭირბოროტო ამა თუ იმ საკითხზე, ვიჩემებთ კიდეც, ილიას გზას მივუყვებითო, მაგრამ რეალურად ამ გზას კარგა გვარიანად აცდენილნი ვართ. ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ „ჯერ-ხანად არ ვიცით, საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ“.

რატომ?

რა გვიშლის ხელს?

ამის პასუხი ისევ დიდი ილიას ნააზრევშია:

**„ჩვენ, ქართველებს, ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა მძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი კბილზედ მოვიგდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა, ხელი ჩაგვაკიდებინა, ვალად იმას კი არა ვრაცხთ, საქმეს თირკმელები მოვუჩხრიკოთ, შიგნეულობა გამოვუწლათ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შევუტყოთ და შესაფერი წამალი მოვუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთ და იმისთანა წამალზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალ-წინა აქვს, ფეხ-ქვეშ უგორავს.** და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ის წამალი წამლად გამოსადეგი არ არის და მაჩვენებელს კი ჰგონია — გამოცანა მარტო მე მერგებაო.

**უყურებთ და გიკვირთ ამისთანა მოქმედება, თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუყენებიათო, რომ ქვეყანას დაანახვონ: აი, საქმე რა ადვილი მოსავლელია და მის გამგებელთ იმოდენა ჭკუა და მოხერხება არა აქვთ, რომ მოუარონო.** არ ვიცით, ამით საქმეს შველიან რასმე, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ მაყურებელნი, თუ მსმენელნი, სტყუვდებიან და არც შეიძლება არ მოსტყუვდენ. მართლადაც, **არ-მცოდნეს რომ მძიმე საქმე გაუმჩატო, მჩატე ეგონება. აშკარაა, იფიქრებს, რომ ვისაც ის საქმე ზურგთა ჰკიდია, ტყუილად წელში იხრება, ტყვიის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვნეშის კიო.**

**მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, რომ ვერც ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და ვერც კარგისა. პირიქით რომ იყოს, ქვეყანაზედ ხომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. მაგრამ რაკი მცოდნე კაცის სახეს მიიღებ, ბრძნულად შეიკრავ წარბებს და ფიცით გაიჭაჭები, რომ ავკარგიანობის მიზეზი თვალ-წინ არის წამოჩხირულიო, წამალიც ცხვირ-წინ არისო, მარტო დაწვდომა და მიწოდება-ღა უნდაო, მაშინ ამისი მთქმელი გულდაჯერებული უნდა იყოს, რომ იგინი, ვის ხელთაც არის საწამლებელი საქმე, ან ბრმანი არიან, რადგანაც ცხვირ-წინაც ვერა ჰხედავენ, ანუ ყოვლად სულელნი, რადგანაც ვერა სცნობენო, ანუ კიდევ თითონ საქმის მტრები არიანო, რადგანაც ჰხედვენ კიდეც, სცნობენ კიდეც და წამლად არა ხმარობენო“.**

ასეთ საქციელს ილია „ალვირმიშვებულს“ უწოდებს და წუხს, რომ ისე ხშირია ჩვენში, შეუძლებელია, კაცმა ყურადღება რომ არ მიაქციოსო და დასძენს: „არ ვიცი, რათა გვგონია ხოლმე ბრმანი და სულელნი ყოველნი ისინი, ვისზედაც ლაპარაკის ჟინი მოგვივა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე“ *(შინაური მიმოხილვა, 1883 წელი, ნოემბერი).*

ესეც ჩვენი ხასიათი.

ხალხი „ბრმანი და სულელნი“ რომ ჰგონიათ დღეს ვაიპოლიტიკოსებს, „ოქროს სარაიას“ რომ გვპირდებიან და მხარდაჭერის სანაცვლოდ დროდადრო დიდი პათოსით ისეთ რაღაცებს წამოროშავენ, ვერც კი წარმოიდგენ, თუ რომელიმე ჭკუათმყოფელი დაიჯერებს და სერიოზულად მოეკიდება, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე — ტვინების გამორეცხვის მეთოდმა, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყანაში განათლების სისტემის დაკნინებით ბრწყინვალედ ხორციელდება, შედეგი გამოიღო.

ვისაც ოჯახში ერთი სკოლის მოსწავლე მაინც ჰყავს, ამაში უდავოდ დამეთანხმება...

მასწავლებლებიც, რომლებსაც სამსახურის დაკარგვის შიშით პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

სჯობს, აქ ის ვიკითხოთ,

**რატომ კეთდება ეს.**

აი რატომ:

* „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“.

* „კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს“.

* „მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა“.

* „სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“.

* „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე“.

* „სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება“.

* „განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს“.

რაკი ასეა და ასეა უდავოდ, „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი“!

რადგან

**„ხალხი, ფეხზე წამომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხი უშრეტი წყაროა სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა“** (1879 წ. „ვის ნათესსა ვმკით“).

**და კიდევ: „ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი — აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას, გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაი-ვაგლახით და ნაცარ-ტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია... ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის!“**

„თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის-კაცებად თუ ჩავითვლებით!..“ *(შინაური მიმოხილვა, 1882 წელი, სექტემბერი).*

**P.S.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ერთ-ერთ თავის ქადაგებაში აღნიშნა, რომ ბოლო დროის კოსმოპოლიტური იდეების მქადაგებლები დაუსრულებლად ლაპარაკობენ კაცობრიობის სიყვარულზე, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გვერდზე მყოფს. მოყვასის სიყვარული კი სწორედ რომ ყველას სიყვარულს გულისხმობს:

„მაცხოვარმა ჩვენ მოყვასის სიყვარულისკენ მოგვიწოდა და არა მსოფლიოსადმი ზოგადი გრძნობების გამოვლენისაკენ. მოყვასი კი მოიცავს ყველას, ვისთანაც კი რაიმე შეხება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს.

ბავშვისთვის მოყვასი ნიშნავს ოჯახის წევრებს და ახლობელთა ვიწრო წრეს. მოზრდილი ადამიანისთვის თავისი ქვეყანა და ხალხი ავსებს „მოყვასის“ სივრცეს. მასთანაა იგი დაკავშირებული სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი ვალდებულებებით. თავისი ხალხის კულტურა, ცხოვრების წესი, ტრადიცია არის მისთვის მშობლიური და საყვარელი.

უკვე სრულიად განვითარებული, მაღალი ზნეობის პიროვნებისათვის კი ნებისმიერი ადამიანი მოყვასია.

უნდა ითქვას ისიც, რომ მესამე ასაკობრივი საფეხური გულისხმობს პირველი და მეორე საფეხურების აუცილებელ არსებობას ისევე, როგორც მეორე საფეხური გულისხმობს პირველი საფეხურის არსებობას“.

კოსმოპოლიტების შეცდომა სწორედ ის არის, რომ ისინი მესამე საფეხურს მეორის გარეშე მოიაზრებენ და არაჯანსაღი, უშინაარსო, უსულო საზოგადოების შექმნისკენ უბიძგებენ ადამიანებს.

ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, შესახებ ძალიან კარგი ამბავი უნდა გაგიზიაროთ – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის 30 წლისთავზე ლიეტუვის სახელმწიფო ზარაფხანამ გამოუშვა საქართველოს ეროვნული გმირის, ბატონ მერაბ კოსტავას, საკოლექციო მონეტა.

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი საქართველოსა და ქართველებს შესანიშნავ წერილს უძღვნის:**

# თინათინ მღვდლიაშვილის შესანიშნავი მიმართვა

„საქართველოში ქართველები არ კვდებიან, იბადებიან ქართველები საქართველოში!

მხრებში გაიშალეთ, თავი მაღლა ასწიეთ, გამხნევდით და გაძლიერდით, ქართველებო!

უფლის წყალობა მამაცი მეომრების, რაინდების, მზეთუნახავი ქალიშვილების, კოსმიური სიმღერების, თავბრუდამხვევი ცეკვების, უძველესი ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკების, ანკარა წყაროების, მსოფლიოს პირველი ანბანის, ათასგვარი ვაზის, ხორბლის, სურნელოვანი თაფლის, სამკურნალო ბალახეულის, საუცხოო პოეზიის, ღვინის, ნოყიერი მიწის, ცადატყორცნილი მწვერვალების, ძაფის, მეტალურგიის, ოქროს მომპოვებლების, მინერალური წყლების, მრავალფეროვანი სამზარეულოს, სიბრძნის — ოქროს საწმისის, ქრისტეს კვართის, ღვთისმშობლის პერანგის, წმინდანების, „ვეფხისტყაოსნის", სახელოვანი მეფეებისა და დედოფლების, განსაცვიფრებელი ისტორიის, სახელგანთქმული მხედართმთავრების, ძველთუძველესი მწერლობის, საიდუმლო სულიერი მეცნიერების, მედიცინის და ზეციური დედოფლის, დედა ღვთისმშობლის მადლით ცხებულო, საოცარო, საფიცარო, სახიერო, ულამაზესო ქვეყანავ! უფალს ებარებოდე, დედამიწის ციცინათელავ! წმინდა გიორგის ებარებოდე, საქართველო!.. წმინდა ნინოს ოქროსფერ ნაწნავებს ებარებოდე! ანგელოზთა ცხრა დასს ებარებოდე! ჩვენს ცრემლებს სამყაროს დედოფალი ითვლის! ჩვენი იარაღი — იესო ქრისტეა! საქართველოს მტრების დამარცხებას და მათზე ჯავრის ამოყრას გისურვებთ, მგლებო!

თქვენ გაგიმარჯოთ დავითიან-გორგასლიანნო, ნადიდგორალნო, ნაშამქორალნო, ქართველებო! მშვიდობა თქვენდა!"







# ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი წერეთლის ამბავი

**საზოგადოების უმეტესობამ, ალბათ, არც იცის, რომ თავის დროზე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ივანე ჯავახიშვილი არჩევნებში მონაწილეობდნენ.**

**ილია ჭავჭავაძე** ქართველებმა ორჯერ არ აირჩიეს საქალაქო საბჭოში. მისთვის თბილისელმა ამომრჩევლებმა 80 მანდატიდან ერთიც ვერ გაიმეტეს.

**ივანე ჯავახიშვილი** კენჭს იყრიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ არჩევნებში, მაგრამ ქართველებმა ის არ აირჩიეს.

**აკაკი წერეთელი** არჩევნებში მონაწილეობდა და კენჭს იყრიდა მშობლიურ საჩხერეში. მან არჩევნები წააგო მელვინე ხუსკივაძესთან, რომელმაც ამომრჩევლებს ღვინო უფასოდ დაურიგა. ეს ამბავი აკაკი წერეთელმა არჩევნების დასრულების შემდეგ გაიგო. პოეტს გაეცინა და თქვა:

— არ მიკვირს, კენჭისყრა ჭკუისა და სინდისის საქმეა, ეტყობა, ამომრჩევლებს ორივემ უღალატა".

# მარკ ტვენის მხიარული თავგადასავალი



**მწერალ მარკ ტვენს ერთ პატარა ქალაქში ლექციის წაკითხვა მხიარულ თავგადასავლად ექცა. მწერალმა ლექციის წაკითხვამდე სილამაზის სალონს მიაკითხა.**

— ჩამოსული ხართ? — ჰკითხა დალაქმა.

— დიახ, ამ ქალაქში პირველად ვარ.

— კარგი დრო აგირჩევიათ, ამ საღამოს მარკ ტვენი ლექციას წაიკითხავს. დაესწრებით, არა?

— დიახ, ვაპირებ.

— მერე, ბილეთი ნაყიდი გაქვთ?

— ჯერჯერობით არა.

— ყველა ბილეთი გაყიდულია, ამიტომ ფეხზე დგომა მოგიწევთ.

— რა სამწუხაროა, ბედი არ მწყალობს. ამ კაცის ლექციაზე მუდამ ფეხზე დგომა მიწევს, — ამოიოხრა მარკ ტვენმა.

# ჯინა ლოლობრიჯიდას ულამაზესი ქანდაკებები



**ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ულამაზესი იტალიელი მსახიობი ჯინა ლოლობრიჯიდა მოქანდაკეცაა. მისი ნამუშევრები ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია. მსახიობმა საკუთარი თავიც კი გამოაქანდაკა ესმერალდას როლში.**

„კინო სხვაზე დამოკიდებული ხელოვნებაა, ქანდაკებაში კი მარტო მე და ჩემი ხელები ვართ — რასაც მინდა, იმას გამოვძერწავ".

# გია ჯაჯანიძე: ჰეი, თქვენ, ადამიანთა მოდგმავ!

**ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე თითოეულ ჩვენგანს მოგვმართავს და ცხოვრების მთავარ ღირებულებებზე დაფიქრებისკენ მოგვიწოდებს:**

„ჰეი, თქვენ, ადამიანთა მოდგმავ, როგორ არ გესმით და ვერ იგებთ, რომ დროებით ხართ მოსული დედამიწაზე. ჰეი, თქვენ, მართლებო და მტყუანებო, მდიდრებო და ღარიბებო, ჭკვიანებო და სულელებო, ყველანი წახვალთ ამ ქვეყნიდან და ვერ წაიღებთ ვერც პირველობას და ვერც დიდებას, ვერც სიყვარულს და ვერც სიძულვილს. მერე მოვლენ ახალი ადამიანები და ისინიც იმავეს იზამენ, რა ულმერთობასაც თქვენ სჩადიხართ. ადამიანებო, რატომ გეზიზღებათ ერთმანეთი, რატომ ლანძღავთ ერთმანეთს, რატომ ხართ ასეთი დაუნდობელნი?! მე რასაც ახლა ვწერ, ჩემზე კარგად იცით თქვენ, ისიც იცით, ცას ვერავინ გამოეკერებით, მაგრამ მაინც, მაინც ვერ ისვენებთ. არა უშავს, ღმერთი მაღალია და მან იცის, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. მაინც რა ძალა აქვს ბოროტ მამონას ასეთი, რომ გონებას გირევს და გიბნელებს. დამშვიდდი, ადამიანო, გაითბე გული, გაეცი სიყვარული, ნუ დაეძებ სხვის ცხოვრებას, საკუთარს მიხედე და გაიგე, რაც მოგეცა, იმის ფასი. ნუ იქნები ბედნიერი სხვის ჯინაზე, ნუ გახარებს სხვისი მარცხი. სიხარული მხოლოდ კეთილ ადამიანებთან მიდის ბოლოს. სხვის ჯინაზე, არაფერი არ მთავრდება კარგად. თუ ყველა სათითაოდ, თავის თავს ჩაუღრმავდება და მიხედავს, თუ ყველა გაიაზრებს დროებით ყოფნას ამ საწუთროში, მაშინ სათითაოდ კარგად იქნებით და მთლიანობაში ყველანი გაბედნიერდებით. ქვიშა და მტვერი ვარ, არავის არაფერს არ ვასწავლი, ჩემთვის წავიღიღინე მხოლოდ. არავის არ გეჯიბრებით, არავინ არ მძულხართ, არავის არ გმტრობთ, არავის არ გლანძღავთ, არავის ჯინაზე არ ვბედნიერდები. პირიქით, ერთმანეთს რომ გარიყავთ და მარტო დარჩებით, ორივესთან მოვალ, გითანაგრძნობთ და ჩაგეხუტებით. გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც გიერთგულებთ. ბოდიში, მაპატიე, ჩემთვის წავიღიღინე, წამომივლის ხოლმე. მე გამაღვიძეს.

გაიღვიძე შენც".



# ნუცა შანშიაშვილის საუკეთესო წერილი



**მომღერალი ნუცა შანშიაშვილი ძალიან კარგ წერილს გვიზიარებს, რომელსაც თითოეული ჩვენგანი კარგად უნდა ჩავუღრმავდეთ:**

„სამწუხაროდ, კაცობრიობა ვერ შეიცვალა: ქრისტეს და ბარაბას შორის დღემდე ჩვენს გულებში რჩება არჩევანი ბარაბასი და არა ქრისტესი! დღემდე ადამიანები საკუთარ გულში ვირჩევთ არა სიყვარულსა და სიკეთეს, არამედ ბოროტებასა და ქურდობას. გენიალურია კოვიდის ხანა! აუცილებელი და გარდაუვალი, ჩვენივე განვითარებისათვის!

ყოველდღე გვიწევს არჩევანის გაკეთება. დიდი ისტირიული ფილმი იშლება ჩვენ თვალწინ! გარდავიქმნათ უნდა შინაგანად, რადგან ჩვენი გზა ისევ არჩევანის წინაშეა — ქრისტე თუ ბარაბა!"

# სასიამოვნო სიურპრიზი ტარიელ ხარხელაურს

**პოეტ ტარიელ ხარხელაურს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს. შემოქმედი თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ორგანიზატორებმა საქართველოდან საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვიეს. თურქეთში ჩასულ ტარიელ ხარხელაურს კი ფესტივალის უმაღლესი ჯილდო — პოეზიის ცოცხალი ლეგენდის ორდენი გადაეცა.**



# ძალიან კარგი ამბავი მერაბ კოსტავაზე




**ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას, შესახებ ძალიან კარგი ამბავი უნდა გაგიზიაროთ – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის 30 წლისთავზე ლიეტუვის სახელმწიფო ზარაფხანამ გამოუშვა საქართველოს ეროვნული გმირის, ბატონ მერაბ კოსტავას, საკოლექციო მონეტა ნიუეს სახელმწიფოს $2 ნომინალით.**

დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის 30 წლის აღსანიშნავი პრუფ მონეტა სიმბოლურად არის 30.30 გრამი უმაღლესი სინჯის ვერცხლისგან დამზადებული. ტირაჟი ლიმიტირებულია. სულ გამოშვებულია 500 ცალი.

მონეტაზე განთავსებულია 12 ბოლნური ჯვარი, რომელიც განასახიერებს საქართველოს 12 რეგიონს. მონეტაზე განთავსებული მერაბ კოსტავას პორტრეტი შესრულებულია დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერის, ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილის მიერ.

გვერდი მოამზადდა ARTINFO.GE-ს მიხედვით

სანთელი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაფრის მცოდნეობას არ იბრალებდა. პრობლემის გადასაჭრელად, როგორც წესი, პროფესიონალებს ეთათბირებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო მეურნეობის გაძღოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მმართველობის საქმის დიდოსტატი იყო.**

**თვალსაჩინო პიროვნება, მამულიშვილი, სახელმწიფო მოღვაწე, ვაჟკაცი, შესახედად და ცხოვრების წესით რაინდი!**

# ოთარ ფაცაციაც წავიდა

— ის იყო დიდი ქართველი და დიდი კოლხი. ასეთად რჩებოდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროსაც და მეგობრებთან ურთიერთობის ჟამსაც, — იტყვის აკადემიკოსი **ნაპოლეონ ქარქაშაძე,** — და ასეთად გადაეცემა თაობიდან თაობას ამ საოცარი პიროვნების სახელი, მისივე საქმეებით დადასტურებული. მასშტაბური ხელმძღვანელის ნიჭიერებითა და უნარით იყო დაჯილდოებული ოთარ ფაცაცია, მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი იყო ამპარტავნობა, თავდაჯერებულობა, თვითგანდიდების სურვილზე მინიშნებაც კი. იდეალური პიროვნება იყო.

— უნიკალური პიროვნება გახლდათ ბატონი ოთარი, — დიდი გულისტკივილით ამბობს **ბონდო ჯიქია**, რომელიც შორეული ახალგაზრდობიდან მოყოლებული წლების განმავლობაში განსაკუთრებული მონდომებითა და საქმის ცოდნით ზრუნავდა მშობლიურ კუთხეზე და საერთოდ ქვეყანაზე, როგორც პარტიული, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, — მქონდა პატივი ბატონ ოთარის ხანგრძლივი მეგობარი ვყოფილიყავი. ვიმეორებ, იგი უნიკალური პიროვნება იყო, როგორც საზოგადო, ისე სახელმწიფო მოღვაწე, ასევე ადამიანურ ურთიერთობაში. უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობა მას ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულეს პერიოდში მოუწია. მან შეძლო ყველა სიძნელის გადალახვა და ხელი შეუწყო სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას.

ყოველთვის ვიამაყებ მასთან მეგობრობით.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**ბაკურ გულუამ,** როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამოთქმული აზრის დახვეწილობით, ტევადობითა და ქვეტექსტებით კონკრეტულობისა და განზოგადების სხარტი შერწყმით დაადასტურა, რომ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა უმჯობესია და ამად კარგი.

რაც ფრიად იშვიათია მაღალ თანამდებობებზე ნამუშევარი სახელმწიფო მოღვაწეების ელიტური წრის წარმომადგენლებისთვის.

მან თქვა:

— ოთარ ფაცაციას საქართველოს პრემიერმინისტრის მაღალ თანამდებობაზე მოგვიანებით დანიშვნისა (სიტყვა „მოგვიანებითს“ განსაკუთრებული მინიშნებით გაუსვა ხაზი — **ა.ს.**) და მოღვაწეობის მოკლე დროის მიუხედავად, თავის პიროვნებას („ბიოგრაფიასო“ თქვა. — **ა.ს.**) ასობით მოყვარული და გულშემატკივარი შესძინა, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რადგან დიდი კაცის მაქებარი საქართველოში იშვიათობაა.

— ოთარ ფაცაცია იყო უკეთილშობილესი ადამიანი, ნამდვილი კოლხი, კაცთმოყვარე, მონადირე — დაიწყო **ფრიდონ ინჯიამ**, საქართველოს პარლამენტის წევრმა, და ისე, რომ პარლამენტის თავმჯდომარისთვის რეგლამენტის გაგრძელება არ უთხოვია, განაგრძო (ან რატომ უნდა ეთხოვა?! ან ვისთვის?! ან რომელ პლენარულ სხდომას ვესწრებოდით, მკაცრად დადგენილი რეგლამენტი რომ დაეცვა?!).

— მაშინ ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფოს მეთაური, ყოფილი იმელის შენობაში იჯდა. ცენტრალური სადარბაზოს ფართო კიბეზე შემხვდა ჩაფიქრებული (მომეჩვენა, რომ ცოტა დაბნეულიც იყო) ოთარ ფაცაცია. იმ დროს მას საკმაოდ აფორიაქებული სამეგრელო ებარა და ასეთ ვითარებაში იქაურობის მიტოვება თუნდაც ერთი დღით, ცოტა მოულოდნელი იყო.

რამ ჩამოგიყვანა-მეთქი, რომ ვკითხე, მხრები აიჩეჩა — არ ვიციო, — სასწრაფოდ გამომიძახა შევარდნაძემ. ძლივს მოვასწარი.

ასე დავცილდით ერთმანეთს.

გავიდა დაახლოებით ნახევარი საათი. ვმუშაობ სამინისტროს საქმეებზე (ფრიდონ ინჯია იმ დროს კავშირგაბმულობის მინისტრი იყო. — **ა.ს.**). იღება კარი და შემოდის ოთარი. არ გამკვირვებია: სამეგრელოს მაშინ ძალიან უჭირდა და ხან ტექნიკას მთხოვდა, ხან სპეციალისტების მივლინებას. მეც ვეხმარებოდი. ხშირი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

შევეგებე.

ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ხან ეღიმებოდა, ხან ჩაფიქრდებოდა წამიერად, აჭრილივით იყო.

ხომ მშვიდობაა-მეთქი, დავინტერესდი.

— ედუარდმა შემომთავაზა პრემიერმინისტრობა და შენ რას მეტყვიო...

მივულოცე და წარმატება ვუსურვე ახალ ამპლუაში. ძალიან გამეხარდა.

მეორე დღეს პრემიერის სამუშაო ოთახში რომ შევიდა, დამირეკა და მითხრა: — აქ იმდენი ტელეფონი და იმდენი ღილაკია, რომელიმე ისეთს არ დავაჭირო და საქმე არ გავაფუჭო. თუ ძმა ხარ, ამოდი და გამარკვიე, რომელი რისთვის არსებობსო.

ალალი კაცი იყო, — დაასკვნა ფრიდონ ინჯიამ.

მართალი თქვა: ყველაფრის მცოდნეობას არ იბრალებდა. პრობლემის გადასაჭრელად, როგორც წესი, პროფესიონალებს ეთათბირებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო მეურნეობის გაძღოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მმართველობის საქმის დიდოსტატი იყო.

სხვა თუ არაფერი, ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის საბჭოთა კავშირში თითით საჩვენებელი, თანამედროვე საწარმოდ ჩამოყალიბება პირადად მისი დამსახურება იყო. მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მაღალი ხელფასებით უზრუნველყოფა, მათი ოჯახების დასვენების ორგანიზება ანაკლიის სანაპიროზე კომბინატის მიერ აგებულ კოტეჯებსა და სპეციალურად მოწყობილ საკურორტო ზონაში მისი ინიციატივა იყო.

მაგრამ უპირველესი, რა თქმა უნდა, დეფიციტური პროდუქციის წარმოება იყო, ქაღალდის, რასაც წარმატებით ართმევდნენ თავს და მაინც დეფიციტად რჩებოდა. მოთხოვნა გაცილებით მეტი იყო.

ერთხელ თბილისიდან პირადად მასთან ჩავიდა დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომლის ტომეულები ვერ იბეჭდებოდა ქაღალდის მარაგის ამოწურვის გამო. ჩავიდა და კომბინატის ახალგაზრდა დირექტორს დახმარება სთხოვა.



**ერთხელ თბილისიდან პირადად მასთან ჩავიდა დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომლის ტომეულები ვერ იბეჭდებოდა ქაღალდის მარაგის ამოწურვის გამო. ჩავიდა და კომბინატის ახალგაზრდა დირექტორს დახმარება სთხოვა. — წელებზე ფეხი დავიდგით და თხოვნა შევუსრულეთო, — იხსენებდა უკვე პრემიერმინისტრად ყოფნის დროს ოთარ ფაცაცია. და ეამაყებოდა.**

— წელებზე ფეხი დავიდგით და თხოვნა შევუსრულეთო, — იხსენებდა უკვე პრემიერმინისტრად ყოფნის დროს ოთარ ფაცაცია.

და ეამაყებოდა.

ძალიან მგრძნობიარე იყო, განსაკუთრებით, ყოფითი ეთიკის დაცვის საკითხში. ქვეყნის მმართველობის უმაღლეს საფეხურზე ასვლა საპატიო საქმედ მიაჩნდა, მოვალეობად, ხოლო ამ დონეზე მყოფთა მიერ წესიერების ნორმების დაცვა ურყევ მოთხოვნად და უპირობო კანონად წარმოედგინა.

ერთხელ, დსთ წევრი სახელმწიფოების ლიდერების სამიტზე, რომელიც მინსკში გაიმართა, შევარდნაძეს, რომელიც თბილისში შექმნილი დაძაბულობის გამო ვერ გაემგზავრა, ჩაენაცვლა ოთარ ფაცაცია.

საქმიანი ნაწილის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მაღალ სტუმრებს სადილი გაუმართეს, პირველ პირებს ცალკე — გამოჩენილი არტისტების ხელოვნებით შეკმაზული კულინარულ-პროტოკოლური მიღება.

პრემიერის ორიოდ თანმხლები იქვე პარკში გამოვედით და ხანგრძლივი მოლოდინისთვის გავემზადეთ.

ბანკეტი დაწყებულიც არ გვეგონა, როცა აღელვებული ჩვენი პრემიერი სასწრაფოდ მოგვეახლა და წავედითო, გამოგვიცხადა.

წავედით და მხოლოდ გზაში აგვიხსნა, რა იყო ასე სასწრაფოდ ჩვენი აყრის მიზეზი:

— მე იმ სუფრაზე ვერ დავჯდები, სადაც ქვეყნის მთვრალი პრეზიდენტი ბორშჩში ჩაარწყევს.

ლაპარაკობდა ლოთობით ცნობილ პრეზიდენტზე, რომელიც იმ დროს ყოფილი სუპერდერჟავის ლიდერად იყო აღზევებული დაინტერესებული უცხო ძალების მიერ.

ფაცაციას ამ არადიპლომატიურ ნაბიჯს სკანდალი არ მოჰყოლია, რადგან მისი ქცევა ყოველმხრივ გამართლებული იყო.

მიაფუჩეჩეს.

თუმცა ისიც იყო, რომ სხვას არავის მიუბაძავს ჩვენი წარმომადგენლისთვის.

პრინციპულობა არ ეყოთ?

გამბედაობა?

გამბედაობა საქართველოს პრემიერისკენ მოგეკითხათ, როცა იგი, თოვლსა და ყინვაში ჭუბერის უღელტეხილზე აფხაზეთიდან დაძრული ლტოლვილების მოზღვავებული ნაკადის უსაფრთხო გადასვლას დღე და ღამ, 24 საათის განმავლობაში შეუსვენებლად აგვარებდა და ათასობით ჩვენი თანამემამულე სიკვდილის კლანჭებს გამოსტაცა — ბავშვები, ქალები, მოხუცები. უსასოოდ შთენილნი.

ურთულეს ვითარებაში, როცა არავინ იძლეოდა გარანტიას, რომ აფხაზეთში, სადღაც სოხუმთან სეპარატისტების ალყაში მოხვედრილი ქვეყნის მეთაური, მისი მცირერიცხოვანი პირადი დაცვა და თანმხლები პირები ცოცხლად გამოაღწევდნენ (ჟიული შარტავა უკვე მოკლული იყო), სწორედ ოთარ ფაცაციამ დააყენა ფეხზე რუსეთის ხელისუფლება ქართველების გადასარჩენად.

ყველაფერი სასწრაფოდ უნდა მოგვარებულიყო — პრაქტიკულად ერთდროულად უნდა დაგვერეკა რუსეთის პრეზიდენტთანაც, გენერალურ შტაბშიც, მთავრობაშიც და ა.შ. და გადაგვეცა, პირობითად ვიტყვი, განგაშის სიგნალი SOS! რაც ფიზიკურად წარმოუდგენელი იყო.

სწრაფად, რაც შეიძლება უფრო სწრაფად და ერთდროულად!

ამ ყველაფრის მოწმე და მონაწილე იყო პრემიერის სამდივნოს ხელმძღვანელი **გივი მაისურაძე.** სხვა არავინ.

ბატონმა ოთარმა დამავალა, ამ სტრიქონების ავტორს, მისი სახელით ВЧ ტელეფონის მეშვეობით დაკავშირება რუსეთის პრეზიდენტის მისაღებთან, არმიის გენერალური შტაბის მორიგესთან, რუსეთის მთავრობაში საქართველოს კურატორთან, სხვა ყველასთან თვითონ დაიწყო რეკვა. პასუხები თანაგრძნობის გამომხატველი კი იყო, მაგრამ ერთმანეთთან გადამისამართებით მთავრდებოდა უფრო ხშირად, მაინც გამოიღო შედეგი ამ „მასობრივმა საინფორმაციო შეტევამ“: ჩვენი საავიაციო პარკის ერთმა ТУ-მ, რომელსაც ტყვიით გახვრეტილი რეზერვუარიდან შეუჩერებლად ეღვრებოდა საავიაციო საწვავი, მოახერხა ბაბუშერას აეროდრომიდან აფრენა და ღვთის წყალობით ბათუმში მშვიდობით დაშვება.

რაც ბოლო წუთამდე საეჭვო იყო.

ასეთ ექსტრემალურ გარემოში უხდებოდა პრემიერს მთავრობის მეთაურის უშუალო მოვალეობის შესრულება, თუნდაც ორიგინალური მეთოდით. მაგალითად, იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რატომ გამოდიოდა ასე ხშირად მწყობრიდან თბილისის თბოელექტროსადგური, ადგილზე არაერთხელ ჩასულა და პირადად შეუმოწმებია, ობიექტურად არსებობდა თუ არა ის სიძნელეები, რომლებსაც მოიმიზეზებდნენ სპეციალისტები და მათი ხელმძღვანელები ელექტროენერგიის გამორთვის სისტემატურობის გასამართლებლად.

წლების შემდეგ გაირკვევა, რომ საეჭვოდ სისტემატური ავარიები ახალგაზრდა რეფორმატორების მოწყობილი მასშტაბური საბოტაჟი იყო: ემზადებოდნენ „ფერადი“ რევოლუციისთვის, ასე იკვალავდნენ გზას ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად.

* * *

...კინოკადრებივით მიჰყვა ერთმანეთს ოთარ ფაცაციას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები და მოვლენები. სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმე ამოვკრიფე მეხსიერების ფირზე აღბეჭდილი სიმრავლიდან.

მაგრამ პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად ორიოდ შტრიხს დავუმატებ, ნეკროლოგის სტილისტიკისთვის უცხოსა და მიუღებელს.

დიდი იუმორის პატრონი იყო, რომლითაც განმუხტავდა ხოლმე ურთულეს სიტუაციებს და ამშვიდებდა ვითარებას. ხშირად იმეორებდა ერთ, ცოტა მოხულიგნო ფრთიან წინადადებას:

„Для чего попу гармонь, когда есть колокола“.

უყვარდა სერგეი ესენინის ციტირება:

Вы помните,
Вы все, конечно, помните,
Как я стоял
Приблизившись к стене,
Взволнованно ходили вы по комнате
И что-то резкое
В лицо блосали мне.

ალექსანდრე ბლოკის პოეზია უყვარდა მოწიწებამდე:

Ночь, улица, фонарь, аптека,
Бессмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверть века,
Все будет так. Исхода нет.
Умрешь - начнешь опять сначала
И повторится все, как встарь.
Ночь, ледянная рябь канала,
Аптека, улица, фонарь.

* * *

**ოთარ ფაცაცია თავისი მემუარების წიგნში ერთ საოცარ ფაქტს აღწერს, რომლის მოწმეც ბიჭობაში გახდა: როგორ შეუდგა ფრთა ერთმა თეთრმა გედმა მეორეს, ბრაკონიერის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილს, და სანამ ძალა შესწევდა და ღონე ეყო, გადააფრინა ლაქაშებს. მოაცილა იქ ჩასაფრებულ სიკვდილს.**

**ასევე შეუდგა ბატონი ოთარი გედის სითეთრესავით სუფთა სულისკვეთებითა და თავგანწირვით სატანისტური ძალების მიერ მხარში დაჭრილ სამშობლოს და მოარიდა იმ უდროობას, რომელიც მაშინ მეფობდა.**

**მადლიერმა ხალხმა გუშინ ზუგდიდში, საგვარეულო სასაფლაოზე მშობლიურ მიწას მიაბარა ღვაწლმოსილი მამულიშვილი.**

**არმაზ სანებლიძე**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შუაღამისას გამობრწყინდა ნათელი, საკანი განათდა, ქრისტე ღმერთი ანგელოზებთან ერთად გამოეცხადა წმიდა ასულს, განკურნა მისი ნაგვემი სხეული, მოურჩინა წყლულები და უთხრა: „ბარბარე, მოწამეო ჩემო, რამეთუ დიდად უხარის ცასა და ქუეყანასა დღესასწაული შენი, ხოლო შენ შეძრწუნდები უსჯულოისა მისგან მსაჯულისა, რომელნი განუძლიერებიეს ეშმაკსა. არამედ მე თანა დაგიდგე და გიხსნე შენ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელ შეგემთხუეოდის შენ“. სიხარულით აღივსო წმიდა ბარბარე, ჯანმრთელმა და უვნებელმა ილოცა და უფალს მადლობა შესწირა.**

**დიდმოწამე ბარბარე ღირსი იქმნა იესო ქრისტეს სასუფევლისა დეკემბრის მეოთხე დღეს (ახალი სტილით 17 დეკემბერს).**
**დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილები ჯერ ილიოპოლიში განისვენებდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, ხოლო XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენიოსის ქალიშვილმა — ბარბარემ კიეველ თავად მიხეილ სვიატოპოლკთან ქორწინების შემდეგ ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა. ამჟამად წმიდა ნაწილები ქ. კიევშია, წმიდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში. მის წმიდა ნაწილებთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული.**
**წმიდა ბარბარეს განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისათვის, შვილიერებისათვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისაგან დაცვისათვის.**



# ბარბარობას გილოცავთ, მეგობრებო!



წმ. ბარბარეს წმინდა ნაწილები (კიევი)

უსჯულო **კეისარ მაქსიმიანეს** (IV ს.) დროს ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში ცხოვრობდა ერთი მდიდარი, წარჩინებული გვარის კაცი, სახელად **დიოსკორე.** იყო იგი წარმართი და თაყვანს სცემდა კერპებს. დიოსკორეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, ბარბარე, რომელსაც თავს ევლებოდა, ანებივრებდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ბარბარეს დედა ადრე გარდაეცვალა.

გაიზარდა ბარბარე და ისე დამშვენდა, ვერავინ შეედრებოდა სილამაზით. დიოსკორეს მიაჩნდა, რომ მდაბიო, უზნეო ადამიანები ღირსნი არ იყვნენ მისი ხილვისა, ამიტომ მაღალი კოშკი ააგო და გოგონა შიგ ჩაკეტა, მიუჩინა ერთგული მსახურები და მოახლეები.

ცხოვრობდა ბარბარე გოდოლში დამწყვდეული, შვებას ოდენ ბუნების ღვთაებრივი სილამაზის ჭვრეტაში ჰპოვებდა. გრძნობდა იგი, რომ შემქმნელი ამ არაჩვეულებრივი მშვენიერებისა უნდა ყოფილიყო ყოვლისშემძლე არსება, რომელსაც ვერავინ აღემატებოდა სიბრძნით, სიკეთით, სათნოებით და სურდა, გაეგო, ვინ იყო დასაბამი და მიზეზი ყოვლისა. გული უკარნახებდა, რომ სამყაროს შემქმნელი უნდა იყოს ერთი და არა მრავალი, როგორც მისი წარმართი აღმზრდელები ასწავლიდნენ.

**კოშკში დამწყვდეულს სულით და გულით ეწადა, გვერდით ჰყოლოდა ვინმე ჭეშმარიტი გზის მასწავლებელი, მაგრამ მის გარშემო ასეთი არავინ იყო და თავად ღმერთი გახდა მისი მოძღვარი და დამრიგებელი. ქალწული თანდათან ივსებოდა უფლის მადლით და სულიერად ძლიერდებოდა, მის გულში ერთი სიყვარული ენთო, ჭეშმარიტი სიყვარული — ღვთის სიყვარული**, და არ ფიქრობდა არც გათხოვებაზე, არც ძვირფას ჩასაცმელსა და მოსართავზე და საერთოდ მიწიერ კეთილდღეობაზე.

მაგრამ დიოსკორეს დიდად სურდა ქალიშვილის გათხოვება; ერთხელაც ამ საკითხზე ჩამოუგდო მას საუბარი, შესთავაზა თავის სურვილისამებრ აერჩია მისი ხელის თხოვნის მრავალრიცხოვან მსურველთაგან ვინმე გულისწორი.

ბარბარესაგან მტკიცე უარი რომ მიიღო, მამამ გადაწყვიტა, მისთვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა, იმ იმედით, რომ უცხო ადამიანებისა და მათი ცხოვრების წესის გაცნობის შემდეგ იგი თვითონ მოინდომებდა გათხოვებას. დიოსკორემ ბრძანა ბარბარესთვის მდიდრული აბანო აეშენებინათ, რომელსაც მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად ორი სარკმელი ექნებოდა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმის გამო შორს გამგზავრება მოუხდა. თავისუფლად მყოფმა ბარბარემ გაიცნო ქრისტიანი ქალწულები, რომელთაგან გაიგო იესო ქრისტეს სახელი, მისი მოძღვრება, სასწაულები, ჯვარცმა და აღდგომა. გულით მოიწადინა ბარბარემ ქრისტიანი გამხდარიყო და აი, ღვთის ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ხუცესი ჩავიდა, რომელიც მან თავისთან მოიწვია, გულახდილად ესაუბრა, გულით აღიარა ქრისტიანული სწავლება და მოინათლა.

ამის შემდეგ ბარბარე მუდამჟამ მარხვასა და ლოცვაში იყო, მან სიწმიდისა და ქალწულობის აღთქმა დადო და ღმერთს შესწირა თავი.

ერთხელ ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც მამამისის ბრძანებით აბანოს აშენებდნენ. ბარბარე მივიდა, თითით გამოსახა ჯვარი მარმარილოზე და აი, სასწაული! ამოხეთქა იქ წყალმა, რომელმაც შემდგომ მრავალი სნეული განკურნა, მრავალი სასწაული მოახდინა. ჯვარი მარმარილოში ამოკვეთილივით დარჩა, ასევე დარჩა ბარბარეს ნატერფალიც.

ბარბარემ დაინახა ორი სარკმელი და მშენებლებს მოსთხოვა, მესამეც გაეჭრათ, რათა ადამიანის ნახელავში ღმერთის სამგვამოვნება აღბეჭდილიყო. მაგრამ მათ თავდაპირველად უარი უთხრეს, რადგან ეშინოდათ დიოსკორესი. მაშინ ბარბარემ დაარიგა, რომ მამამისისთვის ეთქვათ, ეს ბარბარეს მითითებით რომ გააკეთეს. ამის შემდეგ მშენებლებმა მესამე სარკმელიც გაჭრეს.

რამდენიმე დღეში დიოსკორე მოგზაურობიდან დაბრუნდა. როდესაც აბანო მოინახულა, მშენებლებს გულისწყრომით ჰკითხა მიზეზი მესამე სარკმლის გაჭრისა. მათ კი შიშით მიუგეს, რომ ეს ბარბარეს დაჟინებული მოთხოვნით გააკეთეს.

დიოსკორეს გაუკვირდა და ქალიშვილს სთხოვა, აეხსნა, რას გულისხმობდა სამ სარკმელში. მანაც მიუგო: **„სამნი სარკუმელნი იგი არიან, რომელნი ჰნათობენ ყოველსა სოფელსა“, „ესე სამნი არიან მამაი, ძეი და სული წმიდაი“.**

დიოსკორეს ფერი ეცვალა, განრისხდა, გამძვინვარდა, ეშმაკი შეუჩნდა, ხმალი იშიშვლა და ქალიშვილისთვის თავი უნდოდა მოეკვეთა. ბარბარემ მოასწრო გაქცევა, ილიოპოლი დატოვა და ქალაქის მახლობლად გამოქვაბულს შეეფარა. მამამისი ყველგან დაეძებდა. ბოლოს მიადგა იმ მთას, სადაც ბარბარე იმყოფებოდა.

დიოსკორემ თმით ჩამოათრია ქალიშვილი მთიდან, ჩაკეტა სახლში და მცველებიც მიუჩინა, რათა არავინ შესულიყო მასთან. თვითონ კი იმ ქვეყნის მმართველ მარკიანესთან მივიდა და გონებადაბინდულმა მოახსენა, რომ მისი ერთადერთი ასული ქრისტიანებმა გადაიბირეს, თავის რჯულზე მოაქციეს და ამდენად ის ღირსი იყო წამებით სიკვდილისა.

მარკიანემ ბრძანა, მასთან მოეყვანათ ბარბარე. როდესაც ბარბარემ შეიტყო, რომ მმართველთან მიჰყავდათ, ღმერთს შესთხოვა შეწევნა.

მოიყვანეს ბარბარე მარკიანესთან. ქალწულის სილამაზით გაკვირვებულმა მმართველმა სცადა ტკბილი სიტყვით მისი გადაბირება; დაუყვავა და ურჩია, მოენანიებინა ღმერთებისაგან განდგომა და მორჩილების ნიშნად მსხვერპლი შეეწირა მათთვის. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი უმკაცრესად დასჯით დაემუქრა.

მიუგო მას ბარბარემ: „არა გიცნობიესა, ჰეი ულმერთოო, რამეთუ მე სჯულსა ზედა ქრისტესა ვარ და ღმერთნი შენნი ვითარცა წინასწარმეტყველმან დავით თქუა: პირ ათქს და არა იტყვიან, თუალ ასხენ და არა ხედვენ. ემსგავსენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“.

მარკიანე ამ პასუხმა განარისხა, ბრძანა ქალწულის ცემა ტყავის შოლტებით. ბარბარეს ნაკადულივით სდიოდა სისხლი. მარკიანეს ეგონა, რომ იგი მოკვდა. შემდეგ შეაგდეს საპყრობილეში და მცველები დაუყენეს.

შუაღამისას გამობრწყინდა ნათელი, საკანი განათდა, ქრისტე ღმერთი ანგელოზებთან ერთად გამოეცხადა წმიდა ასულს, განკურნა მისი ნაგვემი სხეული, მოურჩინა წყლულები და უთხრა: **„ბარბარე, მოწამეო ჩემო, რამეთუ დიდად უხარის ცასა და ქუეყანასა დღესასწაული შენი, ხოლო შენ შეძრწუნდები უსჯულოისა მისგან მსაჯულისა, რომელნი განუძლიერებიეს ეშმაკსა. არამედ მე თანა დაგიდგე და გიხსნე შენ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელ შეგემთხუეოდის შენ“.**

**სიხარულით აღივსო წმიდა ბარბარე, ჯანმრთელმა და უვნებელმა ილოცა და უფალს მადლობა შესწირა.** დილით მარკიანემ ბრძანა ქალწული საკაცით მოყვანა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბარბარე სიარულს ვერ შეძლებდა. მივიდნენ მსახურები მის წამოსაყვანად და ნახეს, რომ ფეხზე დგას იგი და ლოცულობს. განცვიფრებულებმა ერთხმად შესძახეს: **„დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთაი და არა არს სხუაი ღმერთი უდიდეს მისა, რომელმან განაძლიერა ესე“.**

მარკიანეც ფრიად გაოცებული დარჩა, როდესაც იხილა თავისი ფეხით, სხვის დაუხმარებლად მისკენ მიმავალი ბარბარე. უსჯულო და უგუნურმა მმართველმა ეს სასწაული თავის კერპ-ღმერთთა დიდ მოწყალებას მიაწერა და ურჩია წმიდა ქალწულს, ახლა მაინც შეეწირა მსხვერპლი ღმერთებისათვის, რომელნიც ასე მოწყალედ მოექცნენ მათ მგომებელს და გვემული განკურნეს.

ეს უგუნური შეგონება რომ მოისმინა, ქალწულმა შეჰნერწყვა მმართველს და უთხრა: „ჰეი, უსჯულოო ბილწო ეშმაკისაო, აჰა, ხარ შენ ბრმა და ღმერთნი შენნი ბრმა არიან, ვითარცა შენ, რომელნი ვერ შემძლებელ არიან ხედვად, არცა შეწევნად მოსავთა მათთა. ვითარ შემძლებელ არიან შეწევნად ჩემდა, რომელნი თავთა თვისთა ვერშემძლებელ არიან შეწევნად, არამედ ქრისტე, რომელი ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა თქუეს წიგნთა და ჯუარითა მისითა ცხოველითა განმაძლიერა მე შენ ზედა“.

მსახურებმა, რომლებმაც ბარბარე სტანჯეს, ამ სიტყვების გაგონებისას ერთხმად შესძახეს: „ჩეუნცა გურწამს იესუ ქრისტე ნაზარეველი, რაითა არა არს სხუაი ღმერთი მისსა გარეშე“.

მარკიანემ ბრძანა, დაუყოვნებლივ თავები მოეკვეთათ მათთვის. მართლაც, გაიყვანეს იგინი ქალაქგარეთ და სიკვდილით დასაჯეს. ამ მოწამეობრივი აღსასრულით დაიმკვიდრეს მათ ზეციური ცხოვრება საუკუნო.

შემდეგ მარკიანემ ბრძანა ქალწულის გაშიშვლება და ქალაქში ასე ტარება.

ღვთის შეწევნით წმ. ბარბარეს გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც სპეტაკი სამოსით დაფარა მისი წმიდა სხეული. მთელი ქალაქი გამოეფინა შიშველი ქალწულის სანახავად, მაგრამ მისი სიშიშვლე ვერ იხილა.

მარკიანე მიხვდა, რომ სატანჯველმა არაფერი ავნო ქალწულს, შეეშინდა, რომ ამის მნახველი მრავალი მოქალაქე მოიქცეოდა ქრისტეს სჯულზე, და ამიტომ დიოსკორეს, წმიდა ბარბარეს მამას, უბრძანა, რომ გაეყვანა ქალიშვილი ქალაქგარეთ და თავი მოეკვეთა მისთვის.

წაიყვანა დიოსკორემ თავისი ასული. როდესაც მიაღწიეს ადგილს, სადაც სიკვდილით უნდა დაესაჯა, წმიდა ქალწულმა შესთხოვა მამას, უკანასკნელად გაეწია ანგარიში ერთადერთი ასულისათვის და მცირე ხნით ლოცვა-ვედრების საშუალება მიეცა. უსჯულო დიოსკორემ სიცილით და კიცხვით მიუგო: „რაი ხარ შენ? ანუ ვინ არს ღმერთი შენი? უხმობდ რაიზომ შემძლებელ ხარ, რაითა ვიხილო უკუეთუ მოვიდეს დღეს და გიხსნეს შენ ხელთაგან ჩემთა“. მაშინ წმიდა ბარბარემ ზეცისაკენ აღაპყრო ხელები.

დაასრულა თუ არა ლოცვა, ზეციდან ხმა გაისმა: „მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა ივლიანეს თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე, მიმიცემიეს შენდა და უფროისი ამისსა მიგცე შენ“.

ძლიერ გააკვირვა ამის გაგონებამ დიოსკორე და სხვებიც, ვინც იქ იყვნენ, წმიდა ბარბარე კი სიხარულით აღივსო, თავი მოუდრიკა მახვილს და მამას უთხრა: „აწ აღასრულე ბრძანებული შენდა მიმართ, ჰეი, ულმერთოო“.

დიოსკორემ დასცა მახვილი და წარკვეთა წმიდა ბარბარეს პატიოსანი თავი. იმავე წამს დაატყდა მას საშინელი ცეცხლი ციდან და ერთიანად დასწვა, ამოვარდა ფიცხელი ქარი და გაფანტა ფერფლი.

ასევე დაისაჯა მარკიანეც, სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა, მისგან მტვერიც კი აღარ დარჩენილა.

წამებულის წმიდა სხეული ერთმა ღვთისმოსავმა მოქალაქემ, ვალენტიანემ, ჩამოასვენა ილიოპოლში, შესაფერისი პატივით დაკრძალა და შემდეგ იმ ადგილას ეკლესია ააგო.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კალაშნიკოვის ავტომატი და მისი მოდიფიკაციები ყველაზე გავრცელებული იარაღია მსოფლიოში — გამოშვებულია 100 მლნ-ზე მეტი ეგზემპლარი, ამ ავტომატით აღჭურვილია 50-ზე მეტი ქვეყნის არმიები.**

# იარაღის ყველაზე პოპულარული სახეობები მსოფლიოში

**ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ომის წარმოების სფეროში დიდი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების მიმართულებით მრეწველობის სწრაფად განვითარებასთან. თქვენ წინაშეა 10 ყველაზე პოპულარული იარაღი მსოფლიოში.**



## ПКМ – კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი

ეს რუსული ტყვიამფრქვევი ცნობილი მეიარაღე **მიხეილ კალაშნიკოვის** შექმნილია; იწონის 7,5 კგ-ს და წუთში 650 ტყვიას ისვრის. მას უკვე, დიდი ხანია, პარტიზანული ჯგუფები და მოლაშქრეები იყენებენ, რადგან მარტივი და საიმედო კონსტრუქციისაა. ტყვიამფრქვევს აქვს შტატივი და მისი დაყენება სატრანსპორტო საშუალების ზედა ნაწილზე შეიძლება, სულ დამზადებულია 1 მლნ ეგზეაპლარი.



## შაშხანა „რემინგტონ 700“

ამერიკული შაშხანაა. შეიძლება დაკომპლექტებული იყოს ოპტიკური სამიზნით. შაშხანის გამოშვება 1962 წელს დაიწყეს.
ვაზნებისა და სამიზნის გარეშე 3,06 კგ-ს იწონის.



## პისტოლეტი M1911

ეს თვითდამმუხტველი პისტოლეტი ამერიკული წარმოშობის ბელგიელმა კონსტრუქტორმა **ჯონ მოზეს ბრაუნინგმა** შექმნა 1911 წელს. ამ პისტოლეტით 79 წლის განმავლობაში (1911-დან 1985 წლამდე) აღჭურვილი იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალები. პისტოლეტის მასა 1,12 კგ-ია.
სულ დამზადებულია დაახლოებით 3 მლნ ერთეული.



## РПГ-7

საბჭოური (რუსული) ხელის მრავალჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმსატყორცნი აქტიურ-რეაქტიული ნაღმების სასროლად მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ტანკსაწინააღმდეგო იარაღია. საბჭოთა ჯარების შეიარაღებაშია 1961 წლიდან. დამზადებულია 9 მლნ-ზე მეტი. წონა — 6,3 კგ. მნიშვნელოვანი საფრთხეა დაჯავშნილი მანქანებისთვის.



## პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი HK MP5

ეს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 1960-იან წლებში დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღის გერმანულმა ფირმა Hecler & Koch-მა. ამ იარაღს სპეცოპერაციებში იყენებს ბევრი სამართალდამცავი ორგანო და სპეცსამსახური. HK MP5-ის 50-ზე მეტი ვარიანტი სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილ იარაღის ბაზარზე დომინირებს.





## შაშხანა HK G3

სიაში მეექვსე ადგილი დაიკავა HK G3-მა — გერმანულმა ავტომატურმა შაშხანამ, რომლითაც 1951 წლიდან არის შეიარაღებული გერმანიის არმია. წუთში 600-ჯერ ისვრის.



## შაშხანა FN FAL

ნატოს შეიარაღებაში არსებული იარაღი, რომელსაც ბელგიური კომპანია Fabrique Nationale de Herstal-ი აწარმოებს, შექმნეს 1951 წელს. მისი მასა 4,45 კგ-ია, წუთში ისვრის 650-700 ვაზნას. ის ერთ-ერთი აღიარებული ავტომატური შაშხანაა მსოფლიოში.



## პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Uzi

„უზი“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სახეობაა, რომელსაც ისრაელის კონცერნი Israel Military Industries-ი უშვებს. პირველი ეგზემპლარი დამზადდა 1951 წელს, უფრო ცნობილი ვარიანტები — „მინი უზი“ და „მიკრო უზი“ — 1982 და 1983 წლებში.
ამ იარაღს 90 ქვეყნის შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები იყენებენ.





## შაშხანა AR-15

ამერიკული შაშხანა. აწარმოებენ 1963 წლიდან და იყიდება, როგორც სამოქალაქო იარაღი თავდაცვისთვის. შაშხანა შექმნა კომპანია ArmaLitem-მა აშშ-ის არმიისთვის, იწონის 3,9 კგ-ს, ისვრის წუთში 800-ჯერ, დამზადებულია ალუმინის შენადნობებისა და პლასტიკისგან.



## AK-47

ეს ავტომატური იარაღი 1947 წელს შექმნა **მიხეილ კალაშნიკოვმა** და 1949 წლიდან საბჭოთა არმიის შეიარაღებაშია. კალაშნიკოვის ავტომატი და მისი მოდიფიკაციები ყველაზე გავრცელებული იარაღია მსოფლიოში — გამოშვებულია 100 მლნ-ზე მეტი ეგზემპლარი, ამ ავტომატით აღჭურვილია 50-ზე მეტი ქვეყნის არმია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**„აშშ-ის გადაწყვეტილება სპორტში პოლიტიკის ჩაურევლობის პრინციპის დარღვევაა. აშშ ზღავს თავისი მცდარი საქციელის გამო და ჭორებსა და სიცრუეზე დაფუძნებული იდეოლოგიური მოსაზრებებით თამაშებისთვის ხელის შეშლა მხოლოდ ააშკარავებს მის შავ-ბნელ ზრახვებს“.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის ხელისუფლებამ ბოიკოტი გამოუცხადა პეკინის ოლიმპიადას, თუმცა არც არავის მიუწვევია

**ეს მაინც მოხდა. აშშ-ის ხელისუფლებამ ჩინეთი დაადანაშაულა სინძიანის ოლქში ადამიანის უფლებების დარღვევაში და დიპლომატიური ბოიკოტი გამოუცხადა ზამთრის ოლიმპიადას, რომელიც ჩინეთის დედაქალაქ პეკინში 2022 წლის 4-20 თებერვალს უნდა გაიმართოს. ამერიკას მიბაძა ავსტრალიამაც. ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ აშშ-ის მოკავშირე კანადა, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის სატელიტი ქვეყნებიც.**

ბევრს, ალბათ, მყისვე გაახსენდა ამერიკელების მიერ 1980 წელს, გაგანია ცივი ომის პერიოდში, მოსკოვის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება. მაგრამ, თავიდანვე ვთქვათ: ეს არ იქნება გასული საუკუნის 80-იანი წლების ვითარების განმეორება. ბოიკოტი ხმამაღალი ნათქვამია, ამერიკელი სპორტსმენები და სხვებიც 2022 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებაზე პათოსით ამბობენ უარს, ისინი, ვინც არც მიუწვევიათ.

ოლიმპიადისთვის დიპლომატიური ბოიკოტის გამოცხადებაზე აშშ 2021 წლის აპრილში ალაპარაკდა, მაისში კი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელიც, პალატის სპიკერი **ნენსი პელოსი.** ზაფხულის განმავლობაში ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოლიმპიადის სხვა ადგილზე გადატანას სთავაზობდნენ და შეჯიბრების ოფიციალურ სპონსორებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმისკენ მოუწოდებდნენ.

ამ საკითხში აშშ-ს მხარს უჭერდნენ **კანადა, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია** და რამდენიმე უფლებადამცველი ორგანიზაცია. ამასთანავე, **აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა დაგმო ქვეყნის ხელისუფლების მოქმედება და მკაცრად გამოვიდა ბოიკოტის წინააღმდეგ, მაგრამ 6 დეკემბერს თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯენიფერ ფსაკიმ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ოლიმპიადის დიპლომატიური ბოიკოტის შესახებ მიღებულია.**

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ სინძიანში ადამიანის უფლებების დარღვევების გათვალისწინებით, ბაიდენის ადმინისტრაცია 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადასა და პარალიმპიადაზე დიპლომატიურ ან ოფიციალურ დელეგაციას არ გაგზავნის“, — განაცხადა ფსაკიმ.

რა არის ბოიკოტის მიზეზი? ოფიციალური განცხადებების მიხედვით, ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევა, ლაპარაკია რეპრესიებზე უიღურებისა და სხვა ეროვნული უმცირესობების მიმართ, აგრეთვე, ჰონ-კონგში საპროტესტო აქციების სასტიკად დარბევაზე, ჩინეთის ხელისუფლება კი აშშ-ის ბრალდებებს სიცრუეს უწოდებს.

საბედნიეროდ, ბოიკოტი მხოლოდ დიპლომატიურია. ამ შემთხვევაში ჩინეთში არ წავლენ აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლები: პრეზიდენტი, სენატორები, მინისტრები და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები. სპორტსმენებისთვის შეზღუდვები არ არის დაწესებული და ეს მხოლოდ აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის წყალობით. ოლიმპიადის ბოიკოტის შესახებ ამერიკის ოფიციალური პირების განცხადებისთანავე აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა **სარა ჰირშლანდმა** აშშ-ის კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გაიხსენა 1980-იანი წლების ბოიკოტები და მოითხოვა, არ გადაექციათ ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშები გეოპოლიტიკური პრობლემების მოგვარების საშუალებად. **„1980-იან წლებში სპორტსმენების მიერ გაღებულ მსხვერპლს არანაირი პოლიტიკური შედეგი არ მოუტანია. 1980 და 1984 წლების ოლიმპიურ თამაშებზე შეიბღალა ოლიმპიადების ისტორია და წარმოჩნდა, რომ პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ოლიმპიური თამაშების გამოყენება შეცდომაა“,** — დაწერა ჰირშლანდმა. ასე რომ, ამერიკელი სპორტსმენები წავლენ პეკინის ოლიმპიადაზე. აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** და ქვეყნის დიპლომატებმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადეს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებაზე, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი იქ არც არავის მიუწვევია. ამის შესახებ რამდენიმე ჩინურმა მედიასაშუალებამ დაწერა. რამდენიმე დღის წინათ ეს ცნობილმა ინდიელმა ჟურნალისტმა და ყოფილმა დიპლომატმა **მელკულანგარა ბჰადრაკუმარმა** დაადასტურა. მისი თქმით, ბაიდენი იმედოვნებდა, რომ ჩსრ-ის ლიდერის, **სი ძინპინის,** მიერ მიწვეული სტუმრების სიაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან განსხვავებით **ვლადიმერ პუტინი** ოლიმპიურ თამაშებზე მიიწვიეს, თანაც ჯერ კიდევ სექტემბერში, ორიოდე დღის წინათ კი რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა** განაცხადა, რომ რუსეთი და ჩინეთი აქტიურად განიხილავენ პეკინის ოლიმპიადაზე პუტინის შესაძლო ვიზიტის საკითხს. თანაც რუსეთს სულაც არ ადარდებს, თუ ოლიმპიადას ამერიკელი დიპლომატები არ დაესწრებიან.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ **დიმიტრი სვიშჩევს** მიაჩნია, რომ აშშ თავისი მოქმედებებით თვითონვე სჯის საკუთარ თავს.

„აბსურდული გადაწყვეტილებაა. ამერიკის ოლიმპიური კომიტეტიც კი წინააღმდეგი იყო, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური კონფლიქტი სპორტის სიბრტყეში გადასულიყო. ვის სჯიან ამერიკელები?! — საკუთარ თავს. ჩვენ კატეგორიულად არ მივესალმებით ამერიკელთა ქმედებას. მიგვაჩნია, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედების ასეთი მეთოდები დაუშვებელია“, — განაცხადა სვიშჩევმა. ანალოგიურ თვალსაზრისზეა რუსეთის ფედერალური საკრებულოს დეპუტატი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰოკეიში — **ვიაჩესლავ ფეტისოვიც:** „ამერიკელი სპორტსმენები მიდიან პეკინში და ეს არის მთავარი. თუ ბოიკოტი სურთ, მათი ნებაა, მაგრამ სპორტში პოლიტიკა არ უნდა ჩაერიოს. ის, ვინც ბოიკოტზე ფიქრობს, თავს უფლებას ართმევს, იყოს უდიდესი სპორტული ფორუმის მონაწილე. ისე, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, იქნებიან თუ არა ამერიკელები ოლიმპიადაზე?“




**აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი: «1980 და 1984 წლების ოლიმპიურ თამაშებზე შეიბღალა ოლიმპიადების ისტორია და წარმოჩნდა, რომ პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ოლიმპიური თამაშების გამოყენება შეცდომაა»**





სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ბიატლონისტ **ანფისა რეზცოვას** აზრით, შექმნილი ვითარება ამერიკელ სპორტსმენებზე არ აისახება.

„არ წამოვლენ ოლიმპიადაზე და ნუ წამოვლენ. აშშ-ში ყოველდღე რაღაცას იგონებენ. ეს არ არის მთავარი საკითხი ოლიმპიადის წინ. ამერიკელი სპორტსმენების შედეგებზე, თამაშებზე ამ ქვეყნის ოფიციალური პირების არყოფნა არ აისახება. მართლაც, მნიშვნელოვანია, რომ სპორტსმენები წავლენ ოლიმპიურ თამაშებზე და მხოლოდ პოლიტიკოსები არ დაესწრებიან შეჯიბრებებს, მაგრამ, სამწუხაროა, რომ სპორტი ძალიან არის დამოკიდებული პოლიტიკაზე.

**აღსანიშნავია, რომ ჩინეთი აშშ-ს ოლიმპიადის ბოიკოტისთვის საკადრის პასუხს დაჰპირდა.** „აშშ-ის გადაწყვეტილება სპორტში პოლიტიკის ჩაურევლობის პრინციპის დარღვევაა. აშშ ზღავს თავისი მცდარი საქციელის გამო. ჭორებსა და სიცრუეზე დაფუძნებული იდეოლოგიური მოსაზრებებით თამაშებისთვის ხელის შეშლა მხოლოდ ააშკარავებს მის შავბნელ ზრახვებს“, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა **ჩჟაო ლიძიანმა,** თუმცა არ დაუზუსტებია, რა ზომების გატარებას აპირებს მისი ქვეყანა.

### ოლიმპიური თამაშებისთვის ბოიკოტის გამოცხადების შემთხვევები

* თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ბოიკოტი პირველად გამოიყენეს 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე — ჩინეთმა უარი თქვა თამაშებში მონაწილეობაზე, მასში ტაივანის მიწვევის გამო. ჩინეთი ტაივანს თავის ტერიტორიად მიიჩნევს. შედეგად, ჩინეთი არ მონაწილეობდა 1960, 1964, 1968, 1972, 1978 წლების ოლიმპიურ თამაშებში, რადგან იქ ტაივანი იყო მიწვეული. სუეცის კრიზისის გამო 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს ეგვიპტემ, ლიბანმა და ერაყმა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, აგრეთვე, ესპანეთმა, შვეიცარიამ და ნიდერლანდებმა. მიზეზი: უნგრეთში საბჭოთა კავშირის შეჭრა.

* 1978 წელს მონრეალის თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა ტაივანმა იმის გამო, რომ კანადამ ტაივანის ხელისუფლება არ ცნო. ამ ოლიმპიადას ბოიკოტი, აგრეთვე, გამოაუცადა აფრიკის ბევრმა ქვეყანამ იმის გამო, რომ ამ ქვეყნების მორაგბეებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან ითამაშეს.

* 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი სატელიტების ბოიკოტით ჩატარდა (ოლიმპიადა გამოტოვა 67-მა ქვეყანამ) ავღანეთში საბჭოთა ჯარის შეჭრის გამო.

* 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა, სულ 13-მა სახელმწიფომ.

* 1988 წელს კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უარი თქვა სეულში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე, იმის გამო, რომ სეული არ დაეთანხმა თამაშების რამდენიმე სახეობის კსდრ-ის ტერიტორიაზე ჩატარებას. კსდრ-ს მხარი დაუჭირეს კუბამ, ეთიოპიამ და ნიკარაგუამ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# მუშაობდა ბელგრადში დაბომბვის წინ, თბილისში — 2008 წლის ომის პერიოდში. ვინ არის ბრიჯიტ ბრინკი, რომელსაც უკრაინაში აშშ-ის ელჩად დანიშვნას უპირებენ?



## მედიასივრცეში გავრცელდა ინფორმაცია უკრაინაში აშშ-ის ახალ ელჩზე

**ამერიკული მედიის მონაცემებით, უკრაინაში აშშ-ის ელჩობის კანდიდატად განიხილება სლოვაკეთში აშშ-ის ამჟამინდელი ელჩი, კარიერული დიპლომატი ბრიჯიტ ბრინკი, რომელსაც პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, თანაც სპეციფიკური გამოცდილება.**

ბრიჯიტ ბრინკმა კარიერა დაიწყო ბელგრადში. სწორედ ნატოს ავიაციის მიერ იუგოსლავიის დედაქალაქის დაბომბვის წინ — 1999-ში, შემდეგ — 2002 წლამდე მუშაობდა კვიპროსზე აშშ-ის წარმომადგენლობაში.

ბრიჯიტ ბრინკის მუშაობის კიდევ ერთი ეტაპი დაკავშირებულია ყოფილ სსრკ-თან — 2005-დან 2008 წლებში გახლდათ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მდივანი პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებში, ეს იყო სამხრეთ ოსეთში ომისთვის ქართული არმიის მზადების აქტიური პერიოდი. ამ მზადებას კი ახორციელებდნენ ამერიკელი ინსტრუქტორები. სწორედ ბრინკის თბილისში მუშაობის ბოლო წელს დაიწყო აგვისტოს ომი და დასრულდა ქართული არმიის კრახით.

2011 წელს ბრინკი კვლავ დაბრუნდა საქართველოში და მუშაობდა დაიწყო ამერიკის ელჩის მოადგილედ (ეს მოხდა სააკაშვილის პრეზიდენტობისას).

საქართველოში მივლინებებს შორის პერიოდში ბრიჯიტ



ბრინკი მუშაობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, საბერძნეთისა და კვიპროსის საკითხებზე, ე.ი., ამიერკავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის საკითხებზე.

უკრაინის 2014 წლის მოვლენებისას ბრიჯიტ ბრინკი უზბეკეთში იმყოფებოდა — იქ ის აშშ-ის ელჩის მოადგილე იყო. 2015 წლიდან სახელმწიფო დეპარტამენტში ეკავა ევროპისა და ევრაზიის საქმეების ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწის პოსტი და პასუხს აგებდა აღმოსავლეთ ევროპაზე, კავკასიასა და გაჭიანურებულ კონფლიქტებზე ევროპაში (დაკავებული იქნებოდა დონბასის პრობლემატიკით).

ბრიჯიტ ბრინკი ლაპარაკობს რუსულ და სერბულ ენებზე, საბაზისო დონეზე იცის ქართული და ფრანგული.

**strana.tuday-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# უკრაინისთვის მიყიდული უსარგებლო «ჯაველინები»

**რუსეთის ჰიპოთეზური შეტევის მოსაგერიებლად უკრაინას არ ეყოფა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს FGM-148 Javelin-ის ის რაოდენობა, რომელიც ამჟამად აქვს, — მიაჩნია Popular Mechanics-ის მიმომხილველ კაილ მიზოკამის.**

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ეს ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი მართლა ეფექტიანია, მაგრამ ამჟამად უკრაინაში არსებული „ჯაველინებით“ მხოლოდ 3 ბატალიონის (28-დან) აღჭურვა შეიძლება. ამასთანავე, ამ მოწყობილობის დაზიანება ან განადგურება ადვილია არტილერიით, რადგან მონტაჟდება მსუბუქ ჯავშანმანქანებზე. რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში „ჯაველინები“ უკრაინისთვის მეორეხარისხოვან როლს შეასრულებენ.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# ბრიტანელთა საზარბაზნე ხორცი




## საქართველოს, უკრაინასა და პოლონეთს «რუსეთის შეკავების» საქმეში «მნიშვნელოვანი როლის» შესრულებას სთავაზობენ

**ბრიტანეთის გეოსტრატეგიის საბჭომ გამოაქვეყნა მემორანდუმი სათაურით „შავი ზღვის რეგიონი ნატოს საზღვრებს გარეთ“, რომელიც წარმოადგენს „რუსეთის შესაკავებელ“ რეკომენდაციებს. ამ მემორანდუმის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი საქართველოს, პოლონეთსა და უკრაინას რუსეთის „შეკავების საქმეში“ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, ანუ საზარბაზნე ხორცად ყოფნას სთავაზობს.**

კიევი და თბილისი უნდა დაარწმუნონ, რომ ნატოში შესვლის ნაცვლად ყურადღება გადაიტანონ „უფრო მცირე ინიციატივებზე“, ე.ი., ბრიტანეთთან ორმხრივ პროექტებზე. ლონდონი, თავის მხრივ, უკრაინას ჰპირდება მხარდაჭერას იმაში, რომ „რუსეთს წაართვას მისი ზოგიერთი უპირატესობა საომარი მოქმედებებით თეატრის სცენაზე“ — შავი ზღვის ფლოტი, განვითარებული ავიაცია და რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემები. ამასთანავე, ბრიტანული სპეცსამსახურები წინააღმდეგნი არ იქნებიან, თუ გააკონტროლებენ უკრაინის უშიშროებისა და საგარეო დაზვერვის სამსახურებს.

**smi.today-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



# ლეო ბოკერია: სტალინი დიდი ისტორიული ფიგურაა!

**კარდიოქირურგიის ლეგენდამ, რუსეთის აკადემიის პროფესორმა, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ლეო ბოკერიამ, რომელსაც რამდენიმე დღეში 82 წელი შეუსრულდება, სტალინის პიროვნება შეაფასა ვრცელ ინტერვიუში, რომელიც მას tsargrad.tv-ის ჟურნალისტმა ჩამოართვა.**

„რა სისაძაგლეებიც უნდა წერონ ამ დიად ადამიანზე ახლა, სტალინი დიდი ისტორიული ფიგურაა. მას მიაწერენ ისეთ რაღაცებს, რომლებთანაც არაფერი აკავშირებს — თითქოს ადამიანებს ხვრეტდა და ა.შ. ეს ჩემთვის მიუღებელია, რადგან მე მის პერიოდში ვცხოვრობდი და ვიცი. 13 წლის ვიყავი, როდესაც სტალინი გარდაიცვალა“, — ამბობს ლეო ბოკერია.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და ექიმმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ დაბადებულია 1939 წლის 22-დან 23 დეკემბრის ღამეს, მაგრამ მეტრიკაში დაბადების თარიღად სტალინის დაბადების მე-60 წლისთავის პატივსაცემად, მამის თხოვნით, ჩაუწერეს 1939 წლის 21 დეკემბერი (ახლა მას დაბადების თარიღად ვიკიპედიაში 1939 წლის 22 დეკემბერი უწერია).

**tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ესენი რაღაცას გვატყუებენ: ბილ გეიტსმა კორონავირუსის პანდემიის მწვავე ფაზის დასრულება იწინასწარმეტყველა

### „ომიკრონი“ პანდემიას ბოლოს მოუღებს?

**კორონავირუსის პანდემიის მწვავე ფაზა 2022 წელს დასრულდება. მოვლენების ასეთი განვითარება იწინასწარმეტყველა კორპორაცია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა. კორონავირუსის შტამი „ომიკრონი“ შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ დომინანტი მსოფლიოში, არამედ მის წინამორბედ დელტა შტამზე ნაკლებად სახიფათო. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ „ომიკრონი“ უკვე 40-ზე მეტ ქვეყანაშია გამოვლენილი, მისგან სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული, — იუწყება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.**

ამას გარდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ომიკრონი“




უფრო იოლ ფორმებში მიმდინარეობს — ეს შტამი გაციებას უფრო ჰგავს და ადამიანს შეუძლია უფრო ადვილად გადაიტანოს, ვიდრე კოვიდის ადრინდელი ვარიანტები.

ზოგიერთი მეცნიერი უკვე ალაპარაკდა, რომ კოვიდის ბოლო ვერსია პანდემიის დასასრულის დასაწყისად შეიძლება იქცეს, და კორონავირუსი შევიდა იმ სტადიაში, როცა ის უფრო და უფრო შეეთვისება ადამიანის ორგანიზმს და მისთვის ნაკლებად სახიფათო იქნება.

იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც „ომიკრონმა“ საბოლოოდ გააძევა წინა შტამი „დელტა“ (ძირითადად, აფრიკაში), სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა არ გაზრდილა, პირიქით — აფრიკის კონტინენტზე კოვიდით გარდაცვლილთა რაოდენობა 13%-ით შემცირდა.

### „ომიკრონი“ ისე იმუშავებს, როგორც ვაქცინა“

სპეციალისტებმა ნოემბერში ივარაუდეს, რომ უამრავი მუტაციის შედეგად შტამი არამდგრადი გახდა და ეს დღეს დასტურდება.

აშშ-ის მთავარმა ინფექციონისტმა **ენტონი ფაუჩიმ** დაუშვა, რომ „ომიკრონი“ შეიძლება „დელტაზე“ ნაკლებად სახიფათო იყოს და ამიტომ თეთრ სახლს სურს, განიხილოს რამდენიმე აფრიკული ქვეყნიდან აშშ-ში შესვლის აკრძალვის გაუქმების შესაძლებლობა.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009